ეროვნული ბიბლიოთეკა

№125 (12 195)
30 მაისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი. 2 ივნისი. ლიტვა-საქართველო

პირველი ვარჯიში. მზადება დაწყებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, ფრანკფურტში საქართველოს ნაკრებმა პირველი ვარჯიში გამართა. დილით, შოტლანდიიდან, სადაც ჭაბუკთა ნაკრები თამაშობდა, ფრანკფურტში **კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები, ბესიკ ფრიდონაშვილი** და **ზაურ სვანაძე** ჩავიდნენ. გერმანიაში მათ **რალფ მინგე** დახვდათ. სანაკრებო შტაბი შეიკრიბა და ლიტვასა და საფრანგეთთან თამაშებისთვის გამოძახებული ოცდაორივე ფეხბურთელიც უკვე მის განკარგულებაშია:

მეკარეები: **გიორგი ლომაია (კარლ ცაისი, გერმანია), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ზესტაფონი).**

მცველები: **კახა კალაძე (მილანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), დავით კვირკველია (მეტალურგი ზ. უკრაინა), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), გიორგი ონიანი (ოლიმპი), მათე ღვინიანიძე (მიუნხენ 1860, გერმანია), ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია).**

ნახევარმცველები: **ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ლადო ბურდული (კრივბასი, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), დავით მუჯირი (კრილია, რუსეთი), ჯაბა კანკავა (დნეპრი, უკრაინა).**

თავდამსხმელები: **გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი დ. უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ოთარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).**

გუშინ ყველა მათგანმა ივარჯიშა, მათ შორის ნაკრების დებიუტანტმა **ლევან მჭედლიძემაც.**

17 საათზე დაწყებულმა წვრთნამ საათნახევარი გასტანა. ვარჯიში ფრანკფურტის "ვალდშტადიონის" გვერდით მდებარე სპორტული კომპლექსის მოედანზე მიმდინარეობდა. გერმანია ქართველებს პირქუშად, წვიმიანი ამინდით დაუხვდა. ვარჯიშმაც წვიმაში ჩაიარა.

საღამოს გუნდმა სასტუმროს მიაშურა. ფეხბურთელებმა მოისვენეს, ივახშმეს და ამის შემდეგ თეორიული მეცადინეობაც ჩატარდა.

დღეს და ხვალ ეროვნული ნაკრები ფრანკფურტში თითო ვარჯიშს ჩაატარებს. ზეგ, 1 ივნისს, გამთენიისას კი, გერმანიიდან ლიტვას გაემგზავრება. ჯვაროსნები კაუნასში დაბინავდებიან და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მზადებას გააგრძელებენ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები კი თბილისში, სულაქველიძის აკადემიაში ემზადებიან. გუნდი ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლს 5 ივნისს, ესპანეთთან საშინაო მატჩით იწყებს. მწვრთნელი პეტარ სეგრტი, ჯერჯერობით, ფეხბურთელებს არჩევს. ორმოცამდე კანდიდატიდან 18 შეირჩევა და 1 ივნისს შეკრებას დაიწყებს.

ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები ესპანეთი, პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი არიან.

დავით ცაბაძე

გუშინ თბილისში. ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიში. მეკარე გიორგი ლორია და მწვრთნელები - ოთარ გაბელია და სერგო კოტრიკაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ГАЗЕТА...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ლიტვა-საქართველოს წინ

საქართველოს მოლოდინში

ჩესნაუსკისმა ლიუბინსკასთან თამაში არ ისურვა

ქართველებს ლიტვაში მოუთმენლად ელიან

ლიტვა საქართველოს ნაკრების მასპინძლობისთვის ემზადება. ჩვენი გუნდების დაპირისპირება ადრინდელ შესარჩევ ციკლსა და ამხანაგურ მატჩებში ყველას კარგად ახსოვს.

ლიტვის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალგიმანტას ლუბინსკასი** განსაკუთრებულ მოლოდინშია. ეს მატჩი გადაწყვეტს, რეალურად რომელი გუნდი დაიკავებს მეხუთე ადგილს და რომელი ბოლოსწინას. ასეთ ძლიერ ჯგუფში ესეც მნიშვნელობას იძენს. ამასთანავე, მან რამდენჯერმე განაცხადა, რომ შეხვედრა პრინციპულია პირადად მისთვის, რადგან ორი წლის წინანდელ თბილისურ ამხანაგურ მატჩში მსაჯმა დაჩაგრა.

ლიუბინსკასმა უკვე გამოიძახა საკანაკრებო ფეხბურთელები, მაგრამ რამდენიმე მათგანი ვერ ითამაშებს. მაგალითად, ლატვიაში მოთამაშე, ლიეპაიის "მეტალურგსის" 23 წლის ნახევარმცველმა **დარიუს მიცეიკამ** ერთი კვირის წინათ ტრავმა მიიღო. მართალია, სერიოზულად არ დაშავებულა და ვარჯიშიც განაახლა, მაგრამ მწვრთნელს უთხრა, რომ სათამაშოდ მზად არ იყო.

მწვრთნელის მთავარი სატკივარი **ედგარას ჩესნაუსკისის** უარია. რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველი მწვრთნელზე ისეთი გაბრაზებულია, მასთან მუშაობაზე უარს ამბობს. საქმე ისაა, რომ ლუბინსკასი ნაკრებში მოსვლის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას გუნდში ჯანსაღი გარემოს შექმნას აქცევს. ჩესნაუსკისმა რამდენჯერმე პრინციპულ მატჩში წითელი ბარათი მიიღო. 2005 წლის ბოლოს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციაც მიუსაჯეს, რამაც მწვრთნელი მწყობრიდან გამოიყვანა და-გუნდის წაგებები ედგარასის უდისციპლინობას დააბრალა, ფეხბურთელის არაჯანსაღი ამბიციებზეც ალაპარაკდა და მას შემდეგ ნაკრებში აღარ მიუწვევია.

რა თქმა უნდა, მწვრთნელს საქმეების საჯაროდ განხილვა და ზედმეტი ემოციურობა არავინ მოუწონა. ლუბინსკასი თავადაც მიხვდა, რომ გადაამლაშა. სცადა კიდეც შერიგება და ბოდიშის ნიშნად ჩესნაუსკისი ხელახლა მიიწვია, თუმცა ფეხბურთელმა საფრანგეთსა და უკრაინასთან თამაშამდე ტრავმა მოიმიზეზა და შეკრებაზე არ გამოცხადდა.

ახლა ჩხუბის დრო არ იყო და ლუბინსკასმაც ნიჭიერი ნახევარმცველი საქართველოსა და იტალიასთან პრინციპული მატჩებისთვის გამოიძახა. ჩესნაუსკისი გაჯიუტდა და განაცხადა, სანამ ლუბინსკასია მწვრთნელი, ნაკრებში ვერ მიხილავთო.

ორი დღის წინათ "სატურნის" ნახევარმცველი ვილნიუსში ჩამოვიდა, თან ისე, რომ დამალვა არ უცდია და ყოველდღე ქუჩაში სეირნობს. ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე სცადეს მისი გადარწმუნება ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა, მაგრამ გული მაინც ვერ მოულბეს. არადა, ჩესნაუსკისი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია და მისი უთამაშებლობა ლიტვას ძალიან დაეტყობა.

საუკეთესო ფორმაშია არაა თავდასხმის ლიდერი **ედგარას იანკაუსკასი,** რომელიც 2004 წელს "პორტუს" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. ბოლო დროს ედგარასი შოტლანდიის ვიცე-ჩემპიონ "ჰარტსში" ირიცხებოდა, მაგრამ ძირითადში ვეღარ ხვდებოდა და დასრულებულ სეზონში მხოლოდ ერთი ბურთის გატანა მოახერხა. მას შოტლანდიურ კლუბში კონტრაქტი დაუმთავრდა და ალბათ, კარიერას "კაუნასში" გააგრძელებს.

და ბოლოს, ლიტვაში მოთამაშე ქართველებზეც უნდა მოგახსენოთ: "კაუნასის" ფეხბურთელები **ნუკრი მანჩხავა** და **გია კვარაცხელია** საკმაოდ კარგად გამოიყურებიან. გია გუნდის მარცხენა ფლანგურ ლიდერადაც ჩამოყალიბდა. რა თქმა უნდა, ლიტვის ჩემპიონატში მსოფლიო სახელის ვარსკვლავები არ თამაშობენ და არც კვარაცხელიაა ასეთი, მაგრამ ის ლიტვის ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია. სწორედ ამითაა გამოწვეული "კაუნასის" თავკაცთა გაოცება, რომ მას ნაკრებში თავის გამოჩენის ერთი შანსიც არ მისცეს.

ზიგმას იურიავიჩიუსი
გაზეთ "ლიტუვოს რიტასის" კორესპოდენტი
საგანგებოდ "ლელოსთვის", კაუნასიდან

ინტერვიუ ოთარ მარცვალაძესთან

კიევიდან უნდა წავიდე

ოთარ მარცვალაძე იტალიასთან მატჩში

ოთარ მარცვალაძე გამორჩეული თავდამსხმელი იყო საქართველოს პირველობაზე. ახლაც, კიევის "დინამოში" ყოფნისას, არც უთამაშებლობას აბრალებს ვინმეს. 23 წლის ფორვარდს კიევის "დინამოს" ძირითადში მოხვედრის იმედი გადაეწურა, მაგრამ მიზეზს საკუთარ თავში ხედავს და არა უკრაინული კლუბის ხელმძღვანელობაში.

- ოთარ, სეზონი უკრაინაშიც მალე დასრულდება. ორი წელია, კიევის "დინამოში" ჩაირიცხე, მაგრამ ძირითადად შემადგენლობაში ვერა და ვერ მოხვდი...

- ნაკრების ფეხბურთელი დუბლებში გამოსვლით კმაყოფილი ვერ იქნება. სეზონი მალე დამთავრდება და ჩემი საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყვიტო. ამიტომაც ძალიან დიდი შანსია, კიევის "დინამო" დავტოვო.

- კიევის "დინამოს" ქართველებიდან ნაკრებში მხოლოდ შენ შეინარჩუნე ადგილი. ალადაშვილსა და იმედაშვილს ტოპმიოლერი აღარ სწყალობს. თუმცა, დამეთანხმები, ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდება.

- სწორედ ეს მაღელვებს ყველაზე მეტად. კლუბი აუცილებლად უნდა შევიცვალო და უკვე დავიწყე ამაზე ზრუნვა. ჩემთვის ნაკრებში დამკვიდრებაა უმთავრესი საფიქრალი. უნდა გადავიდე ისეთ გუნდში, სადაც დუბლებში არ ამომალპობენ, ნორმალურად მოვემზადები და ვითამაშებ. თორემ, ჩემზე მეტად დუბლებში ჩარჩენას ვინ განიცდის. იქ გასაზრდელად და კარიერის ასაწყობად ნავედი და არა ხელფასის ასაღებად. ტოპმიოლერის მადლობელი ვარ, ამის მიუხედავადაც რომ მიმინვია. თუმცა მეორედ და მესამე ეს აღარ მოხდება.

- დინამოს" პრეზიდენტ იგორ სურკისს თუ ესაუბრე?

- ამას სეზონის შემდეგ ვაპირებ. ყველაფრის მიუხედავად, საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, არც ცუდი და არც კარგი.

- მაგრამ სკეპტიკურად გიყურებენ?

- რა გითხრათ, ჩემი უთამაშებლობიდან სხვა რა დასკვნა უნდა გამოვიტანო? ასეთ მდგომარეობაში არც კიევის "დინამოს" ვჭირდები. ქართველებს აღარ გვსურს გაჩერება. დიდი ტრადიციებისა და ტიტულების მფლობელი გუნდია, მაგრამ ისეთი გამოხმაურებებია უკრაინულ პრესაში, რა გულით უნდა გავჩერდეთ? თავმოყვარეობა ჩვენც გაგვაჩნია.

- იმედგაცრუება აშკარად გემჩნევა...

- უპირველესად, საკუთარი თავით ვარ იმედგაცრუებული. ბოლო წელინადი ძალიან უიღბლო გამოდგა. ორჯერ მივიღე ტრავმა და ძირითადში მოხვედრის იმედიც გადამეწურა.

- იქნებ, გუნდი არასწორად შეარჩიე? დამეთანხმები, ეს ტრანსფერის დროს მნიშვნელოვანი გარემოებაა. შეიძლება, კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ გუნდის სქემებს ვერ მოერგო.

- შეიძლება, ასეცაა, არ გამოვრიცხავ. გუნდის მოძებნას დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა მეორე მხარეცაა - რა სტილის ფეხბურთელიც არ უნდა იყო, კიევის "დინამოს" დონის გუნდს მაინც უნდა მოერგო. როცა ფორმაში ვიყავი, მენდობოდნენ და მეორე ტაიმში მაინც მათამაშებდნენ. ძირითადში თამაშის პრეტენზია არც მქონდა, რადგან მაღალი დონის თავდამსხმელები დამხვდნენ. იმ დროისთვის ჩემზე უკეთესები იყვნენ, მაგრამ შემადგენლობას ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი. სხვა საქმეა, ტრავმა რომ არ მიმელო, ჩემი ნინსკენ სამომავლოდ როგორ გაგრძელდებოდა.

- "დინამო" ოჯარაში დიდ თანხას მოითხოვს?

- არა მგონია. გააჩნია, სად ნავალ. თანხასაც შესაბამისად მოითხოვენ. თუმცა ჯერ არც ვიცი, რომელ გუნდში ვითამაშებ. კონკრეტული მინვევა არ გამაჩნია.

- ლიტვასა და საფრანგეთთან ნაკრების სერიოზული საკადრო პრობლემები ძირითადში მოხვედრის შანსს გაძლევს.

- სიმართლე გითხრათ, დღევანდელ მდგომარეობაში, არა მგონია, ტოპმიოლერმა მათამაშოს. ნაკრებში არიან ფეხბურთელები, რომლებიც საკუთარი გუნდებში ძალიან კარგად თამაშობენ და ამინდს ქმნიან. ასეთ პირობებში მე ნაკლები შანსი მაქვს.

მერაბ მამულაშვილი

მოახერხებს ხიზანიშვილი ფორმის აღდგენას?

ვის ანდობს ტოპი დაცვის ცენტრს?

მალხაზ ასათიანი ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს. მოსკოვის "ლოკომოტივის" ცენტრალურ მცველს რვა თვეა ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია. ბოლო ერთი თვე კი მხოლოდ გუნდში ვარჯიშითა და ორმხრივ შეხვედრებში მონაწილეობით გაილია.

რუსეთის თასის ფინალის შემდეგ "სპორტ-ექსპრესი" ქართველ ლეგიონერს ესაუბრა, რომელმაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ სათამაშოდ მზად არ არის.

"ექიმებმა მითხრეს, რომ სრულფასოვან ვარჯიშს აპრილში შეძლებდი. თუმცა ვგრძნობ, რომ ჯერ ჩემი ფეხი დატვირთვებისთვის მზად არ არის. სამი კვირის შემდეგ საბოლოოდ მოვმჯობინდები."

აქედან გამომდინარე მალხაზი "ჯვაროსნებს" ვერც ლიტვასთან დაეხმარება და ვერც საფრანგეთთან. ამდენად, მისი გამოძახება ნაადრევი აღმოჩნდა. ასე რომ, **კლაუს ტოპმიოლერს** სერიოზული საფიქრალი გააჩნია. ასათიანი ვერ ითამაშებს, **ზურაბ ხიზანიშვილი** ტრავმირებული იყო და ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა ფორმის აღდგენას.

თუკი **კახა კალაძის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა - და იმედია, ასეც იქნება - ვის შეუწყვილებს ცენტრში ტოპი "ბილანის" მცველს?

გიორგი ონიანი საქართველოს პირველობის საუკეთესო ცენტრალური მცველია, მაგრამ ტოპმიოლერი უმთავრესად ლეგიონერებს ენდობა და მისი ძირითადში მოხვედრა საეჭვოა. დაცვის ცენტრში თამაში შეუძლია **მათე ღვინიანიძესაც,** მაგრამ თერთმეტ რჩეულში მოხვედრის შემთხვევაში, მას მარჯვენა მცველის პოზიციაზე თამაშის უფრო მეტი შანსი გააჩნია.

ყაზანის "რუბინის" ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ხვდება **ლაშა სალუქვაძე. ოთარ ხიზანეიშვილმა** მხოლოდ ბოლო მატჩები ითამაშა "ფრაიბურგში", ისიც შეცვლებზე. თუმცა ყველაზე რეალურად სწორედ სალუქვაძის და ხიზანეიშვილის დაყენება გვეჩვენება. ორივეს გვარიანი სანაკრებო გამოცდილება გააჩნია, მაგრამ, ვფიქრობთ, ყველაფერი ზურაბ ხიზანიშვილის მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული.

მერაბ მამულაშვილი

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ესპანეთთან მატჩისთვის მზადება დაწყებულია

სეგრტის მითითებები

21-წლამდელთა ნაკრები

სიურპრიზი ესპანეთისთვის

სეგრტი ჯერ კრებს, მერე დაწურავს

კვირაზე ოდნავ ნაკლები და საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ესპანეთთან 5 ივნისის მატჩით ევროპის ჩემპიონატის ახალ შესარჩევ ციკლს დაიწყებს. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი თანაშემწეებთან, გელა შეყილაძესთან, სერგო კოტრიკაძესა და ოთარ გაბელიასთან ერთად, უკვე სამი დღეა ფეხბურთელებს ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" ნაშუადღევს კრებს, საღამოს კი თენგიზ სულაქველიძის სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის სპორტკომპლექსში ავარჯიშებს. მწვრთნელების განკარგულებაში სულ 20 ფეხბურთელია:

მეკარეები: **გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი).**

მცველები: **გიორგი ლობჟანიძე (ოლიმპი), უჩა ლობჟანიძე (ბათუმი), გურამ კაშია (დინამო), დავით მჭედლიშვილი, გიორგი ელბაქიძე (ორივე ამერი), ლაშა თოთაძე (გაგრა), ვასილ უსენაშვილი (ნორჩი დინამო).**

ნახევარმცველები: **გიორგი მერებაშვილი, სანდრო კობახიძე, ირაკლი ჩირიკაშვილი (ყველა დინამო), ვალტერ ხორგუაშვილი (ტირასპოლი, მოლდოვა), კახა მახარაძე (ჩიხურა), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), ზაზა დათუნაშვილი (გაგრა).**

თავდამსხმელები: **გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), ვლადიმერ დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), ვახტანგ კვარაცხელია (ბათუმი).**

ნელი სირბილი მოედნის გარშემო, ტაშისა და სხვა ტონუსისმომგვრელი კომპონენტებით. ვარჯიშები კოორდინაციაზე, სინქრონულ მოძრაობაზე როგორც წინ და უკან, ასევე მარჯვნივ და მარცხნივ. სხვადასხვა ტაქტიკური კომპონენტების დამუშავება... ბოლოს კი ორკარა. წვრთნამ დაახლოებით ორ საათს გასტანა. სეგრტი მარტივად და გასაგებად უხსნიდა შეგირდებს დავალებებს. მწვრთნელის მითითებებს გელა შეყილაძე საფეხბურთო ტერმინოლოგიით უთარგმნიდა ფეხბურთელებს და ისინიც გულმოდგინედ ასრულებდნენ დავალებებს...

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ პეტარ სეგრტს გავესაუბრეთ...

- ეროვნული ჩემპიონატი 20 მაისს დასრულდა. იქიდან 5 ივნისამდე ორ კვირაზე მეტია. ბუნებრივია, უპრიანი იქნებოდა, მოთამაშეებისთვის ტონუსი შეგვენარჩუნებინა და ერთკვირიანი შესვენების შემდეგ სწორედ ამ მიზნით დავიწყეთ მოსამზადებელი შეკრება. ფეხბურთელებს ვარჯიშები 27 მაისს დავაწყებინეთ. ამჟამად ჩვენს განკარგულებაში 20 ფეხბურთელია. ამ კონტინგენტს დანიაში მოასპარეზე მცველი გიორგი ფოფხაძე ხვალ შეუერთდება. ამას გარდა, 19-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიიდან ჩამოვა და იქიდანაც რამდენიმე მოთამაშეს დავიმატებთ. თუმცა როგორც გავიგე, ჰაინც ტოპმიოლერის ფეხბურთელები ტრავმებმა შეაწუხეს და ჯერ კიდევ არ ვიცი რომელ მოთამაშეების დამატებას შევძლებთ.

- ვის აწუხებს ტრავმები?

- ჩემი ინფორმაციით, ზურაბ გვაძაბიას აქვს ტრავმა, მსუბუქად არიან დაშავებული გიორგი განუგრავა, ლევან ყენია, გიორგი ფანცხავა, ნიკა კვასხვაძე.

ერთი სიტყვით, ყველა ის ფეხბურთელი გვინდა შევკრიბოთ, ვისაც 21-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობა უნევს და ჩვენს ნაკრებს შეესაბამება. ასეთი სულ 40-მდე მოთამაშეა. გვინდა ყველა მათგანს დავაკვირდეთ და მათზე წარმოდგენა შევიქმნათ. დაკვირვების შედეგად, ამ კონტინგენტს 23-მდე დავიყვანთ, საბოლოოდ კი იმ 18 ფეხბურთელს გამოვარჩევთ, ვისაც 5 ივნისს ესპანეთთან მატჩის განაცხადში შევიყვანთ. თუმცა ესპანელებთან თამაშის მერე ჩვენი ნაკრების გაფართოებულ სიაში მყოფ ყველა ფეხბურთელზე გავაგრძელებთ დაკვირვებას.

ამ ასაკში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეთა ნაღებია წარმოდგენილი. ჩვენთვის მთავარია, ამ ფეხბურთელებმა თავიანთი საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ. ჩვენი მთავარი მიზანია, 21-წლამდელთა ნაკრები ძლიერ გუნდად ჩამოვაყალიბოთ.

- მეტოქეზეც გკითხავთ, ესპანეთის ნაკრებზე რას გვეტყოდით?

- მეტოქე ძლიერია, ევროპის ცნობილ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. თუმცა გვინდა მეტოქესა და საერთოდ ევროპას გარკვეული სიურპრიზი შევთავაზოთ და საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

დაბოლოს, ახალგაზრდული ნაკრები "ბასაში" დღესაც 16 საათზე შეიკრიბება. 18 საათზე კი სულაქველიძის აკადემიის მოედანზე ივარჯიშებს.

დავით ცაბაძე

მეკარეებს სერგო კოტრიკაძე და ოთარ გაბელია აკვირდებოდნენ

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

21-წლამდელთა ნაკრები. მეტოქე

ბოიან კრკიჩი თბილისში ითამაშებს!

საქართველოსა და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების მატჩს ესპანეთშიც დიდი ინტერესით რომ მოელიან, ამის დასტურად იქაური მასმედიის აქტიურობაც გამოდგება.

ოცამდე ესპანურმა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა არა მარტო **ინიაკი საესის** სათბილისო განაცხადი, არამედ საქართველოში ესპანელთა ცხოვრების დღის განრიგი. ზოგმა საააგენტომ იმ ჟურნალისტების გვარ-სახელებიც კი გაავრცელა, რომლებიც საქართველო-ესპანეთის 21-წლამდელთა ნაკრებების მატჩის ტელეტრანსლაციაზე იმუშავებენ. გარდა ამისა, მოიპოვება ცნობები საქართველოზე, აქაურ სასტუმროებზე, პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე... ბოლოს მთავარი... ერთ-ერთი საინფორმაციო საშუალების მტკიცებით, ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ინიაკი საესმა "ბარსელონას" ფორვარდ **ბოიან კრკიჩს** თბილისში დებიუტისთვის სათანადოდ მომზადება სთხოვა. სერბული ფესვების მქონე ესპანელი 17 წლისა 28 აგვისტოს ხდება. სხვათა შორის, ეს ის კრკიჩია, რომელიც ახლახან 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონი და ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ასე რომ, ესპანელთა მტკიცებით, კრკიჩი თბილისში ითამაშებს.

დავით ცაბაძე

ბოიან კრკიჩი

ლეგიონერი

კალაძით ლივერპულიც დაინტერესდა

"მილანის" 29 წლის მცველმა **კახა კალაძემ** გუნდში დარჩენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს ნაკრების კაპიტნის განცხადება გუშინ ლამის ყველა საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

"მე შევხვდი "მილანის" ხელმძღვანელებს, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ დავრჩები. ბედნიერი ვარ, რომ "მილანში" კიდევ ოთხი წლით ვრჩები", - განაცხადა კალაძემ.

თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, ზაფხულში როგორ შეიცვლება მოვლენები. იტალიური გაზეთი "ტუტო სპორტი" იუწყება, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი "ლივერპული" ქართველი მცველის გადაბირებას ცდილობს. თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ "მილანში" კიდევ ერთი წლით რჩება **პაოლო მალდინი**, რომელიც კახას პოზიციაზე თამაშობს, წინასწარ მაინც გვიჭირს იმის თქმა, რომ კალაძის გადაწყვეტილება საბოლოო და შეუცვლელია.

მერაბ მამულაშვილი

კახა კალაძე

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

ს.ა. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს უმაღლესი ლიგა. ფეხბურთი XVII ჩემპიონატი

ბორჯომი

ადგილი ჩემპიონატში: 10

ქონაგარი

	მატჩი	ქულები	გოლი	ჯამური	სხვაობა
შ. ჯიქია	23	23	9	6	-
ქარქუზაშვილი	23	23	1	2	1
შეცრილაძე (მეკ.)	18	17	-21	1	-
თედიაშვილი	18	11	-	3	-
გოგიჩაიშვილი	17	11	-	-	-
ნადირაშვილი	15	15	-	3	-
ავალიანი	14	14	-	2	-
დ. ბაძრაძე*	13	13	1	1	-
ლ. მერებაშვილი**	13	13	-	1	-
ლეონიძე	13	7	-	-	-
თ. ღონღაძე**	12	12	1	2	-
კაიდარაშვილი**	12	10	1	2	-
კოშკაძე**	11	11	1	2	-
კვერნაძე**	11	4	-	1	-
შ. გრიგალაშვილი**	10	10	2	4	-
კაკალაძე**	10	9	2	1	-
მემარნიშვილი**	9	9	-	1	-
ბენდელიანი*	8	7	-	1	-
კიკნაძე*	8	2	4	-	-
ნკემი*	7	7	2	1	-
სახვარელიძე**	7	2	-	1	-
ლაზარაშვილი	7	2	-	-	-
ნაკანი*	6	6	1	1	-
მოდებაძე*	6	5	1	-	-
კოდალაევი (მ.)**	5	5	-4	2	1
სუხიაშვილი	5	3	-	-	-
მონგუე*	5	2	-	-	-
სავჯაია*	4	4	3	1	-
დათვაძე*	4	4	-	-	-
დონდოლაძე*	4	3	-	1	-
ტალახაძე	4	1	-	-	-
ჭურაძე (მეკ.)*	2	-4	-	1	-
გარუჩავა*	2	2	-	-	-
პაკორი (მეკ.)*	2	2	-6	-	-
ვომარო*	2	2	-	1	-
ნინი*	2	2	-	1	-
ავერსა*	2	2	-	1	-
ბედინი*	2	2	-	-	-
კასტელო*	2	2	-	-	-
ორმოცაძე*	2	2	-	-	-
ფურთუხია*	2	1	-	-	-
ფრანკი*	1	1	-	-	-
კობახიძე*	1	1	-	-	-
ბ. ბაძრაძე	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

„პირველი წრე კატასტროფული იყო, ბევრი არასასიამოვნო მოვლენა გადავიტანეთ, სეზონის მეორე ნახევარში კი საბედნიეროდ, ყველაფერი გამოსწორდა. რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ, კლუბსაც ნაკლები პრობლემა ჰქონდა და უმაღლესში აუღელვებლად დავრჩით. მთლიანობაში, სეზონს დადებითად ვაფასებ“.

საუკეთესო მატჩი

„მიჭირს რომელიმეს გამორჩევა, მაგრამ ყველაზე კარგად ალბათ მაინც მაშინ ვითამაშეთ, როცა შინ „ამერს“ ვძლიეთ“.

ყველაზე ცუდი მატჩი

„პირველ წრეში ბევრი უსახური შეხვედრა ჩავატარეთ, განსაკუთრებით მწარედ „მერანთან“ ბორჯომში განცდილი მარცხი (3:4) მახსენდება“.

პლუსი

„დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერ გუნდთან შეგვიძლია ბრძოლა. გასულ სეზონში გუნდმა მტკიცე ხასიათი აჩვენა და ბევრი სირთულე გადალახა“.

მინუსი

„პირველ წრეში ძირითად შემადგენლობაში ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა ითამაშა, ბირთვის პოვნა გაგვიჭირდა“.

მზადება მომავალი სეზონისთვის

„გუნდი დაახლოებით ორ კვირაში შეიკრიბება, მანამდე კი კრება გვექნება და მზადების კონკრეტული გეგმა მაშინ გახდება ცნობილი“.

მომავალი სეზონი

„უპირველეს ყოვლისა, თავად უნდა გადავწყვიტო, დავრჩები თუ არა „ბორჯომში“. რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება მაქვს, მაგრამ კლუბის შეცვლა არ მინდა და თუ სერიოზული გეგმები გვექნება, აუცილებლად დავრჩები. ნამდვილად არსებობს იმის რეალური საფუძველი, რომ ახალ სეზონში მაღალი საფეხურებისთვის ვიბრძოლოთ“.

პირველი წრე “ბორჯომისთვის” რბილად რომ ვთქვათ, არასტაბილური იყო. თავიდანვე გაცხადდა, რომ სამცხელები ევროსაგზურისთვის ვერ იბრძოლებდნენ, შარშან შემოდგომაზე განვითარებულმა მოვლენებმა, უვარგისი არგენტინული შვიდეულის ფუჭმა ვოიაჟმა და არასტაბილურმა თამაშებმა გუნდის უმაღლესში დარჩენასაც კი კითხვის ნიშანი დაუსვა. თუმცა გამოცდილმა ვლადიმერ ხაჩიძემ სიტუაცია ნელ-ნელა დაალაგა, ზამთრის სატრანსფერო პაუზისას შემადგენლობაც მნიშვნელოვნად გააძლიერა და მეორე წრეში ჩატარებული რამდენიმე მატჩის შემდეგ ცხადი გახდა, რომ „ბორჯომი“ უმაღლესში ადგილს უპრობლემოდ შეინარჩუნებდა. წესით, კლუბი მომავალი სეზონისთვის გაცილებით მაღალ მიზნებს უნდა შეეჭიდოს.

ვლადიმერ ხაჩიძე
მთავარი მწვრთნელი

საკადრო პოლიტიკა

„ექვსი ბორჯომელი ფეხბურთელის გარდა, დღესდღეობით, კლუბს აღარავინ ეკუთვნის. როგორც იცით, მოთამაშეთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენთან არენდის წესით ასპარეზობდა. ალბათ, მათი ნაწილი დარჩება, ვაპირებთ სხვა ძლიერი ფეხბურთელების დამატებასაც“.

ფინანსური მდგომარეობა

„ფინანსური თვალსაზრისით, „ბორჯომში“ ყველაფერი რიგზეა“.

ჩემპიონატის რჩეულნი

„ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ოლიმპელებმა, **სეთურიძემ** და **ნავალოვსკიმ**. იყო კიდევ რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი, მაგრამ მე ახალგაზრდების წარმატება უფრო მახარებს“.

ბორჯომი და ქომაგი

„გულშემატკივარი ნამდვილად არ გვაკლია, ჩვენს წარმატებაში ქომაგებს სერიოზული წვლილი მიუძღვით“.

ჩემპიონატის ფორმატი

14-გუნდიანი უმაღლესი ლიგა 16-იანს ნამდვილად სჯობს, თუმცა ალბათ, მონაწილეთა კიდევ უფრო შემცირება სჯობს. დღესდღეობით, არ გვყავს ამდენი ფინანსურად წელგამართული კლუბი“.

გამორჩეული კოლეგები

„ქართველ მწვრთნელებს დიდხანს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ, ამიტომაც მათი მუშაობის შეფასება გამიჭირდება“.

მსაჯობა

„ამ მხრივ კვლავაც სერიოზული პრობლემებია. გვყავს რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა არბიტრი, მაგრამ ისეთებიც მრავლად არიან, ამ საქმისა არაფერი რომ გაეგებათ“.

გარიგებული მატჩები

„რომ გითხრათ, საქართველოში თამაშები არ ეწყობა მეთქი, არ დამიჯერებთ. კონკრეტული შემთხვევებზე რომ ვისაუბრო, მაინც ვერაფერს დავამტკიცებ“.

ლევან ჯანეზაშვილი



ვლადიმერ ხაჩიძე



I ტური
29.07.06 ს დინამო 0:3

II ტური
06.08.06 შ ლოკომოტივი 1:0
გოლი: სავჯაია

III ტური
20.08.06 ს დილა 3:0
გოლები: სავჯაია, მოდებაძე, ნაკანი

IV ტური
27.08.06 შ მერანი 3:4
გოლები: სავჯაია, შ. ჯიქია, კიკნაძე

V ტური
09.09.06 ს ამერი 0:2

VI ტური
17.09.06 შ ოლიმპი 0:4

VII ტური
23.09.06 ს ტორპედო 1:2
გოლი: შ. ჯიქია

VIII ტური
14.10.06 შ ვიტ ჯორჯია 2:2
გოლები: ნკემი, კიკნაძე

IX ტური
21.10.06 ს სიონი 0:2

X ტური
29.10.06 შ ჩიხურა 3:1
გოლები: დ. ბაქრაძე, ნკემი, კიკნაძე

XI ტური
05.11.06 ს კახეთი 2:0
გოლები: ქარქუზაშვილი, კიკნაძე

XII ტური
18.11.06 შ ბათუმი 0:0

XIII ტური
26.11.06 ს ზესტაფონი 0:4

XIV ტური
23. 02. 07 შ დინამო 0:2

XV ტური
02.03.07 ს ლოკომოტივი 0:0

XVI ტური
10.03.07 შ დილა 1:0
გოლი: შ. ჯიქია

XVII ტური
17.03.07 ს მერანი 0:0

XVIII ტური
31.03.07 შ ამერი 1:0
გოლი: კაკალაძე

XIX ტური
7.04.07 ს ოლიმპი 0:2

XX ტური
13.04.07 შ ტორპედო 5:1
გოლები: შ. ჯიქია (2), თ. ღონღაძე, კაკალაძე, შ. გრიგალაშვილი

XXI ტური
21.04.07 ს ვიტ ჯორჯია 0:0

XXII ტური
27.04.07 შ სიონი 2:0
გოლები: შ. ჯიქია, შ. გრიგალაშვილი

XXIII ტური
5.05.07 ს ჩიხურა 0:1

XXIV ტური
12.05.07 შ კახეთი 4:1
გოლები: შ. ჯიქია (3), კოშკაძე

XXV ტური
16.05.07 ს ბათუმი 0:1

XXVI ტური
20.05.07 შ ზესტაფონი 1:2
გოლი: კაიდარაშვილი

26 მატჩი, 8 მოგება, 6 ფრე, 12 წაგება, ბურთები 29-35, 30 ქულა

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვალერი აბრამიძესთან

მსუყე და საყოყმანო ლენქორანი

ჩემპიონსა და თასის მფლობელს სლავური ბურთაობა მოენატრა

ლენქორანის "ხაზარი" აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა და გუშინწინ თასიც მოიგო - ფინალში "არაზი" 3:1 დაამარცხა.

27 წლის ვალერი აბრამიძე "ხაზარში" შარშან გადავიდა ბაქოს "ნაფთჩიდან" და როგორც ჩანს, არც შემცდარა - პირველსავე სეზონში აზერბაიჯანულ დუბლს შესწვდა.

აგრესიული მანერით მოთამაშე მცველს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ექვსჯერ უთამაშია, ბოლო ორ შესარჩევში კი ის ნაკრების მწვრთნელთაგან არავის გახსენებია.

აბრამიძე აზერბაიჯანის ჩემპიონი "ნეფთჩიში" იყო, საქართველოში თასი და ჩემპიონობა ქუთაისის "ტორპედოში" მოუგია, ნათამაშები აქვს ჩემპიონთა ლიგაშიც, როცა მოსკოვის "სპარტაკის" ფეხბურთელი იყო.

- ლენქორანის "ხაზარი" აზერბაიჯანის უმდიდრესი საფეხბურთო კლუბია და როგორ ფიქრობ, პირველ რიგში ამან განაპირობა გუნდის წარმატება?

- "ხაზარი" აზერბაიჯანში ყველაზე მდიდარია, მაგრამ მხოლოდ ამით ვერ მოვიგებდით თასს და ჩემპიონობას. აზერბაიჯანში კიდევ 2-3 ისეთი გუნდია, ყველანაირი პირობები რომ აქვთ "ხაზარისთვის": კონკურენციის გასაწევად. მაგალითად, "ნეფთჩი" და "ბაკი".

- ლეგიონერები გუნდში ბევრი ხარ?

- ჩემ გარდა "ხაზარში" კიდევ ორი უცხოელია - ლიტველი მცველი დარიუს ჟუტაუტასი და განელი ფორვარდი ედმუნდ ნტიამოა, ვინც ჩვენთან საფრანგეთიდან მოვიდა, მას ფრანგული პასპორტი აქვს.

- აზერბაიჯანის საკლუბო ფეხბურთში დიდი ფული კი ტრიალებს, თუმცა ამ ქვეყანაში მწვავედ იდგა ნორმალური მოედნების საკითხი...

- ჩვენ შინ ძალიან კარგ მინდორზე ვთამაშობთ, "ხაზარის" ახალი სტადიონი შარშან აშენდა. ლენქორანი პატარა ქალაქია ირანის საზღვართან, თუმცა ჩვენს საშინაო მატჩებზე სულ მცირე ათი ათასი მაყურებელი დადის.

- აზერბაიჯანის პერიფერიაში ცხოვრება ალბათ იოლად შესაგუებელი არ არის...

- ლენქორანში არც ვცხოვრობ, "ხაზარი" ბაქოში ვარჯიშობს და მეც დედაქალაქში ვცხოვრობ, ლენქორანში მხოლოდ სათამაშოდ ჩავდივართ.

- "ხაზართან" კონტრაქტი დაგიმთავრდა, რას აპირებ?

- აქ დარჩენა შემომთავაზეს, მაგრამ გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. რუსეთ-უკრაინის ვარიანტებიც გამოჩნდა. მოკლედ, ვფიქრობ...

- "ნეფთჩიდან" "ხაზარში", პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ გადახვედი, რომ უკეთესი პირობები შემოგთავაზეს...

- მასეა, თუმცა სხვა ფაქტორიც იყო - "ხაზარში" "ნეფთჩის" მწვრთნელი აგასალიმ მირჯავადოვი გადავიდა და მეც მირჩია, ჩემთან წამოდიო. ის შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და "ხაზარიც" შემტევ ფეხბურთს თამაშობს.

- "ხაზარი" რომელიმე სამთავრობო სტრუქტურის კლუბია?

- არა, კლუბის მფლობელი შეძლებული ბიზნესმენი ნუბარიზ მანსიმოვია. "ხაზარის" წლიური ბიუჯეტი მილიონ დოლარზე მეტია, სტადიონის მშენებლობა კი ოცი მილიონი დაჯდა, თუმცა ჯერ არ ვიცი, ევროტურნირზე ლენქორანში ვითამაშებთ თუ არა. ალბათ ბაქოში ვითამაშებთ, რადგან ლენქორანთან ახლოს აეროპორტი არ არის, რასაც უეფა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.



ვალერი აბრამიძე

- შარშან აზერბაიჯანის ჩემპიონი საქართველოს ჩემპიონთან დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. წელსაც ასეთი პაექრობა რომ გაიმართოს, როგორ ფიქრობ, გამარჯვების ვის უფრო მეტი შანსი ექნება?

- არა მგონია, საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონებს შორის დიდი სხვაობა იყოს. შარშან ბოლნისის "სიონმა" "ბაკის" კი მოუგო, თუმცა ბოლნისელებს მაშინ აშკარად გაუმართლათ. თუ წელსაც საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონები შეხვდებიან ერთმანეთს, უპირატესობა უფრო "ხაზარისკენ" უნდა იყოს.

- დაბოლოს, თასი და ჩემპიონობა "ხაზარმა" როგორ აღნიშნა?

- ბანკეტი ფინალის შემდეგ გვქონდა ბაქოში, ხვალ კი ლენქორანში სტადიონზე გავალთ გულშემატკივრებთან შესახვედრად.

დავით თავართქილაძე

საუკეთესო აბრამიძის ოქროს დუბლი

აზერბაიჯანში მოთამაშე ქართველი ლეგიონერი **ვალერი აბრამიძე** ერთბაშად ორ ტიტულს შესწვდა - მისმა "ხაზარმა" ჯერ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა, ხუთ დღეში კი თასის ფინალში "არაზის" 1:0 დამარცხებით ოქროს დუბლი გაიფორმა. გამარჯვების გოლი ბოლო წუთზე **რაშიდ ქერიმოვმა** გაიტანა. ფინალში ვალერიმ ყველასთვის მოულოდნელად შეიცვალა პოზიცია, მან დაცვის მარჯვენა ფლანგის ნაცვლად ლიბეროდ ითამაშა და თან უშეცდომოდ. ერთხელ აბრამიძის პასის შემდეგ რუმინელმა ილეშმა ბურთი "არაზის" კარის ძელს გაარტყა. მანამდე კი ვალერი "ხაზარის" საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს. კლუბის გულშემატკივართა 41%-მა ხმა სწორედ ჩვენს თანამემამულეს მისცა. აბრამიძემ ფრანგ **ნტიმოას** და რუმინელ **ილეშს** აჯობა. ფინალის შემდეგ ვალერიმ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: *"სიმართლე გითხრათ, უკვე დამატებით დროზე ვფიქრობდი, ჩვენი გოლი ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. "ხაზარს" გაუმართლა, თუმცა გამართლება ძლიერთა ხვედრია. მოხარული ვარ, კლუბმა სეზონის წინ დასახული ყველა გეგმა შეასრულა".*

ირანიც მორჩა

ირანში დასრულდა საფეხბურთო პირველობა. **აქსენტი გილაურის** "ესტეღლალმა" ვერცხლის მედლები მოიპოვა, ხოლო **ჯაბა მუჯირის** "სეფაჰანი" 49 ქულით ფინიშზე მეხუთე მივიდა.

ბოლო ტურში "ესტეღლალი" "ფაასს" დაუზავდა. ქართველ ფეხბურთელს საკმაო ხანია არ უთამაშია კლუბში, ის არც გუშინ გამოჩენილა მოედანზე. მატჩს თეირანში 20 ათასი მაყურებელი დაესწრო. ისფაჰანში "სეფაჰანმა" 3:2 დაამარცხა თეირანის "საბა". მასპინძელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა ყოფილმა ვიტჯორჯიელმა" ჯაბა მუჯირმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილება, სამძიმარს უცხადებენ ვეტერან მსაჯს ვლადიმერ ეჯიბიას

დედის

გარდაცვალების გამო.

ფედერაცია ტეიშეირას შეუთანხმდა



გოგი ქავთარაძე

დღეს ციურიხში ფიფას კონგრესი დაიწყება, რომელიც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნებით დასრულდება. კანდიდატი ერთია - მოქმედი პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი** და ცხადია, მისი პრეზიდენტობა გაგრძელდება.

ციურიხშია ქართული დელეგაციაც - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი**, ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა**.

- დღეს ციურიხში ფიფას ახალი ოფისი საზეიმოდ გაიხსნა და მერე ბანკეტიც იყო. კონგრესი კი ხვალ და ზეგ გაიმართება. გუშინ, აქვე, ციურიხში უეფას ერთდღიანი კონგრესი იყო. უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის გამოსვლა მნიშვნელოვანი გამოდგა. მან მკაფიოდ განაცხადა, რომ ევროპულ ფეხბურთში არანაირი დაჯგუფება არ უნდა იყოს, ის სეპარატიზმი, რასაც G 14 ქადაგებს, ყოვლად დაუშვებელია - გვითხრა ქავთარაძემ და მერე ისიც ვკითხეთ, შეხვდება თუ არა ციურიხში ქართული დელეგაცია ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდუ ტეიშეირას**, რამეთუ, ნოემბერში თბილისში საქართველოს და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩის გამართვაზე შეთანხმებას არა და არ დაადგა საშველი.

- ტეიშეირას დღეს უკვე შევხვდი და შევთანხმდით, რომ ხვალ ან ზეგ მასთან ამ საკითხზე მოლაპარაკებას გავმართავთ, - გვამცნო ქავთარაძემ.

დავით თავართქილაძე

CDN ჯავჯასიის სიფრცული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 155 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACIRCUIT ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, მეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკა ტონი და ტომაშ უიფალუში

ცინცხალი ტრანსფერი

ახლა უკვე ოფიციალურად: ტონი ბაიერნშია

რეკორდმაისტერს უიფალუშიც აინტერესებს...

მაშ ასე: ტრანსფერი, რომელიც დიდი ხანია, გაჩარხულად ითვლება, ახლა უკვე ოფიციალურადაა დადასტურებული: იტალიის ნაკრებისა და "ფიორენტინას" გოლეადორი **ლუკა ტონი** კარიერას მიუნხენის "ბაიერნში" გააგრძელებს. ეს ინფორმაცია გუშინ ფლორენციულმა კლუბმა ოფიციალურად დაადასტურა. იტალიური "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, დღეს მიუნხენური გიგანტისა და "ფიორენტინას" ხელმძღვანელები ერთმანეთს ფლორენციაში შეხვდებიან და უკანასკნელ დეტალებს შეათანხმებენ. ცნობილი გახდა, რომ რეკორდმაისტერი ტონის სანაცვლოდ 13 მილიონ ევროს გადაიხდის. გაირკვა ისიც, რომ ბავარიელები ტონის ერთი თვის წინათ შეუთანხმდნენ და წინასწარი კონტრაქტიც გაუფორმეს. ლუკა მიუნხენურ გიგანტში 2011 წლამდე ითამაშებს და წლიურად 5 მილიონ ევროს მიიღებს.

"ის, რომ ტონიმ "ბაიერნში" გადასვლა გადაწყვიტა, "ფიორენტინისთვის" უდიდესი პატივისცემაა," - აცხადებს ფლორენციული კლუბის პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე** და იქვე ამატებს, - *"ლუკას იტალიური გრანდებიც უხმობდნენ, მაგრამ მან ანგარიში გაგვიწია და ჩვენს უშუალო კონკურენტებს უარი უთხრა, რის გამოც მადლიერები ვართ."*

ტონის ტოსკანის მთავარქალაქთან გამოთხოვება ძალიან გაუჭირდა. აი, რას ამბობს 30 წლის აყლაყუდა იტალიელი "კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში: *"ფლორენციას ჩემს გულში უდიდესი ადგილი უკავია, ეს შესანიშნავი ქალაქია და აქ გატარებული ორი ფანტასტიკური სეზონი არასდროს დამავიწყდება. აქ საუკეთესო მეგობრებსა და გრანდიოზულ ატმოსფეროს ვტოვებ."* შეგახსენებთ, რომ ტონი "ფიორენტინაში" 2005 წლიდან თამაშობდა და ორ სეზონში 49 გოლის გატანა შეძლო. მსოფლიოს ჩემპიონი ლუკა ამჯერად ტრავმირებულია, რის გამოც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მოახლოვებულ მატჩებში (2 ივნისს ფარერებთან, 6 ივნისს ლიტვასთან) იტალიის ნაკრებს ვერ დაეხმარება.

გუშინვე, "კიკერმა" გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღეს ფლორენციაში დაგეგმილ შეხვედრაზე, მიუნხენელები "ფიორენტინას" ბოსებს ჩეხ მცველ **ტომაშ უიფალუშის** შესახებაც ჩამოუგდებენ სიტყვას.

იანსენი: ბაიერნში სკამის სახეხად არ მივდივარ

ამასობაში, მიუნხენელთა ახალწვეულმა **მარსელ იანსენმა** განაცხადა, რომ რეკორდმაისტერში სკამის სახეხად არ გადადის. *"ბაიერნში" იმიტომ ნამდვილად არ მივდივარ, რომ იქ სათადარიგო ფეხბურთელი ვიყო,* - ამბობს 21 წლის მოთამაშე "მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *არაფრის მეშინია. ასე რომ იყოს, გერმანიის საუკეთესო კლუბში არ გადავიდოდი. მინდა, რომ რეგულარულად "ბაიერნის" სასტარტო შემადგენლობაში ვიასპარეზო და ამ მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავ."*

იანსენი მარცხენა მცველია და შესაბამისად, მიუნხენურ კლუბში მისი კონკურენტი **ფილიპ ლამი** იქნება. ექსგლადბახელი ამბობს, რომ ლამის კონკურენციის არ ეშინია, თუმცა იქვე ამატებს, უარს არც მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე ვიტყვიო. შეგახსენებთ, რომ იანსენმა "ბაიერნთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა. ბავარიელებს მისი შეძენა 9 მილიონი ევრო დაუჯდათ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ემერსონი ემზადება

თუ კაპელო რეალს დატოვებს, ბრაზილიელს როსონერიში ვიხილავთო

კარლო ანჩელოტიმ ერთ-ერთი იტალიური ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში **ემერსონის** შეძენის სურვილი გამოთქვა. "მილანის" მწვრთნელმა განაცხადა, რომ კლუბის ხელმძღვანელები უახლოეს მომავალში მოლაპარაკებებს დაიწყებენ. გუშინ ანჩელოტის კომენტარს ემერსონი გამოეხმაურა. აი, რა თქვა სამეფო კლუბის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა: *"ჩემთვის ანჩელოტის სიტყვები ძალიან მნიშვნელოვანია. მან ხაზი გაუსვა, რომ ემერსონის შრომასა და შესაძლებლობებს სერიოზულად აფასებს. "მილანი" უდიდესი კლუბია. მან ეს წლეულსაც დაამტკიცა. ჩემპიონთა თასის მეშვიდედ მოპოვება ხუმრობა არ არის. არ დავმალავ, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დიდი გუნდის ინტერესი გამოვიწვიე. რაც შეეხება იმას, გადავალ თუ არა "სან სიროზე", ჯერჯერობით, ვერაფერს მოგახსენებთ. სეზონი უნდა დასრულდეს. ახლა თავიდან ბოლომდე "რეალის" თამაშებზე ვარ კონცენტრირებული. გვინდა, ესპანეთის ჩემპიონები გავხდეთ. სეზონის დასრულების შემდეგ კი დროც მექნება და მორალური უფლებაც, რათა მოლაპარაკებების მაგიდას მივუჯდე."*

აღნიშნულთან დაკავშირებით "რეალის" ოფიციალურ პირებს არაფერი უთქვამთ, თუმცა მადრიდულ გრანდთან დაახლოებული წყაროები აღნიშნავენ, რომ ემერსონის ბედი კაპელოს მომავალზეა დამოკიდებული. თუ სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონში გაიმარჯვებს, სინიორ ფაბიოს თანამდებობაზე დატოვებენ. იტალიელი სპეციალისტი კი, მოგეხსენებათ, ემერსონზეა შეყვარებული. ბოლო წლებში მას ბრაზილიელის გარეშე არსად უმუშავია.

ემერსონი
შეიძლება მილანში ვიხილოთ

ბრაზილიის ნაკრები

კოპა ამერიკისთვის მზადება დაიწყო

დუნგას გაფართოებული სია ექვსი დებიუტანტითა და მხოლოდ შვიდი ფეხბურთელით შარშანდელი მუნდიალიდან...

ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **კარლოს დუნგამ** ის 34 ფეხბურთელი შეარჩია, რომელთაგან 22-ს კოპა ამერიკაზე წაიყვანს. მათი გვარები 6 ივნისის პრესკონფერენციაზე დასახელდება. გაფართოებულ სიაში 2006 წლის მუნდიალის მონაწილე რვა ფეხბურთელი ვერ მოხვდა. არჩეულთა შორის არ არიან **კაკა** და **რონალდინიო**. "მილანისა" და "ბარსელონის" ვარსკვლავებმა თვითონ ითხოვეს გათავისუფლება. მათ თქვეს, რომ მომქანცველი სეზონის შემდეგ გადაღლილები არიან და ნაკრებს ვერაფრით დაეხმარებიან. დუნგამ თხოვნა ყურად იღო, თუმცა ინგლისთან ამხანაგური მატჩისთვის მაინც ორივე გამოიძახა. ინგლისი-ბრაზილია პარასკევს განახლებულ "უემბლიზე" გაიმართება. სეუ კარლოსმა კვლავ უარი თქვა **რონალდოსა** და **ადრიანოზე**.

უცნაურია, მაგრამ დუნგას 34-კაციან სიაში ყველაზე ცნობილი მოთამაშეა "რეალის" ახალგაზრდა თავდამსხმელი **რობინიო**. შვიდი ფეხბურთელი – **ჟუანი, ჟილბერტო, სისინიო, ზე რობერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა** და **ფრედი** – მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობდა. ექვსი მათგანი კი დებიუტანტია – "ატლეტიკო მინეიროს" მეკარე **დიეგო**, "ფლუმინენსეს" მცველი **ტიაგო სილვა**, "ვასკო და გამის" ნახევარმცველი **მორაიში**, "გრემიოს" ნახევარმცველი **კარლოს ედუარდო**, "პორტუს" ნახევარმცველი **ანდერსონი** და "შალკეს" ნახევარმცველი **ლინკოლნი**. შეგახსენებთ, შარშანდელი მუნდიალის წინ ამ ფეხბურთელს გერმანიის ნაკრებში თამაში სურდა. ის შთამბეჭდავ ფორმაში იყო და გერმანელი მიმომხილველების ერთი ნაწილი მის გამოძახებას უჭერდა მხარს. საბოლოოდ, სპეკულაციებს ბუნდესგუნდის მაშინდელმა თავკაცმა **იურგენ კლინსმანმა** დაუსვა წერტილი. კლინსმი თქვა, რომ გერმანიას ლინკოლნი არ სჭირდებოდა. და აი, ამ ფეხბურთელს პენტაკამპეონებში თამაშის საშუალება მიეცა.

დასასრულს შეგახსენებთ, რომ სამხრეთი ამერიკის პირველობა 26 ივნისიდან 15 ივლისამდე ვენესუელაში ჩატარდება. ბრაზილიელები ტიტულის დაცვას შეეცდებიან. B ჯგუფში მათი მეტოქეები იქნებიან მექსიკა, ჩილე და ეკვადორი. მექსიკასთან პირველი მატჩი 27 ივნისს გაიმართება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

რეკობა აბლეტიკოში?

ურუგვაელი ინტერს ეთხოვება და ესპანური და ინგლისური ვარიანტების განხილვას იწყებს

რეკობას ინგლისსა და ესპანეთში იწვევენ

შესაძლოა, **ალვარო რეკობამ** "ატლეტიკოს" მიაშუროს. ესპანურმა სააგენტოებმა ეს საინტერსო ინფორმაცია გუშინ გაავრცელეს. მართალია, ურუგვაელ ფორვარდს "ინტერთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ მიმმხილველები ფიქრობენ, რომ მადრიდელებს ტრანსფერის გაჩარხვის ჩინებული შანსი აქვთ. საქმე ის არის, რომ რეკობა მილანური ცხოვრებით უკმაყოფილოა. სამხრეთამერიკელი დაუფარავად ამბობს, **რობერტო მანჩინი** არ მენდობა და "სან სიროზე" ჩემი დარჩენის აზრს ვერ ვხედავო.

ამით წახალისებულმა ესპანელებმა საქმეს სერიოზულად მოჰკიდეს ხელი. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, "ატლეტიკოს" პრეზიდენტის **ენრიკე სერესოს** განცხადებას გაგაცნობთ: *"ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ჩვენ მომავალი სეზონისთვის მზადებას შევუდექით. დირექტორთა საბჭოს კრებაზე "როხიბლანკოს" პერსპექტივებზე ვიმსჯელეთ. სავარაუდო ტრანსფერებიც განვიხილეთ. აღმოჩნდა, რომ დირექტორების უდიდეს ნაწილს ალვარო რეკობას შეძენა სურს. არ მესმის, რატომ არ უნდა წამოვიწყოთ ბრძოლა მიზნის მისაღწევად? ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა ურუგვაელმა მომავალ წელს სწორედ "ატლეტიკოში" ითამაშოს. მოლაპარაკებებს კვირის ბოლოს დავიწყებთ. ჯერ ფეხბურთელის მენეჯერებს გავესაუბრებით, შემდეგ კი "ინტერის" ხელმძღვანელებს შევხვდებით."*

გუშინ თავად რეკობას განცხადებაც გავრცელდა: *"ინტერში", ალბათ, აღარ ვითამაშებ. "ტორინოს" წინააღმდეგ ამ კლუბის მაისურით ბოლო შეხვედრა ჩავატარე. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ კარიერას იტალიაში არ გავაგრძელებ. ვერ წარმომიდგენია, "ინტერს" როგორ უნდა დავუპირისპირდე. ეს გამორიცხულია. როგორც შევიტყვე, თანამშრომლობას მთავაზობენ ესპანური და ინგლისური კლუბები. რატომაც არა? მზად ვარ, ყველა წინადადება განვიხილო. ჩემს სიმპათიას ცხადია, ის გუნდი მოიპოვებს, რომელიც საუკეთესო პირობებს შემომთავაზებს."*

პობორჟსკი წავიდა

ჩეხეთის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა **კარელ პობორჟსკიმ** კარიერა დაასრულა. 35 წლის ნახევარმცველმა ბოლო სეზონი "ბუდეიოვიცეში" გაატარა. მას ეროვნულ გუნდში 118 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ მაჩვენებლით ყველა დროის რეკორდსმენია. პობორჟსკის სანაკრებო აქტივში რვა გოლიც წერია. ის 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და 2004 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალისტია. კარელს სხვადასხვა დროს "მანჩესტერ იუნაიტედში" (1996-97, 32 მატჩი, 5 გოლი), "ბენფიკაში" (1998-01, 61 მატჩი, 11 გოლი), "ლაციოში" (2001-02, 47 მატჩი, 5 გოლი), "სლავიასა" (1995-96, 26 თამაში, 11 გოლი) და "სპარტაში" (2002-05, 87 მატჩი, 26 გოლი) უთამაშია. ერთი თვის წინათ ის ჩეხეთის ნაკრების ტექნიკურ დირექტორად დაინიშნა.

დიეგო, გერმანიის წლის საუკეთესო

"ვერდერის" ნახევარმცველი **დიეგო** გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან "კიკერის" ტრადიციულ გამოკითხვაში გაიმარჯვა. პოპულარული ჟურნალი ბუნდესლიგის 268 ფეხბურთელის აზრით დაინტერესდა. 50.7-მა პროცენტმა უპირატესობა ბრემენელ ვარსკვლავს მიანიჭა. მეორე ადგილზე "ბოხუმის" ბერძენი თავდამსხმელი **თეოფანის ვეკასი** გავიდა – ხმათა 10.7-მა პროცენტით. გეკასმა ბუნდესლიგა 20 გოლითა და საუკეთესო ბომბარდირის ტიტულით დაასრულა. მომავალი სეზონიდან ის "ლევერკუზენში" ითამაშებს. მესამე ადგილი წილად ხვდა "შტუტგარტის" თავდამსხმელს **მარიო გომესს**. მას გამოკითხულთა 6.3-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი. წლის საუკეთესო მეკარედ "შალკეს" 21 წლის კარის დარაჯი **მანუელ ნოიერი** აღიარეს. ნოიერმა სეზონი **ფრანკ როსტი** დუბლიორის რანგში დაიწყო, თუმცა დეკემბერში, "ბაიერნთან" უპრინციპულეს შეხვედრაში ძირითადში დააყენეს და მას მერე სკამზე აღარც დაუსვამთ.

ინტერვიუ ჯანლუიჯი ბუფონთან

ლიპი? ნეტავ მოვიდოდეს...

ბუფონი დეშამს მადლობას უხდის. დარჩება, თუ მარჩელოს დანიშნავენ

ბუშინ, "იუვენტუსის" ფეხბურთელებმა და ხელმძღვანელებმა "ეიზელის" ტრაგედიის 22 წლისთავი აღნიშნეს. 1985 წლის 29 მაისს, ბრიუსელში, "ლივერპულსა" და "იუვენტუსს" შორის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის დროს, ინგლისელი ფანების თავაშვებულობას 39 გულშემატკივრის დაღუპვა მოჰყვა... ამ დროისთვის კი, ალესანდრო დელ პიერო და ჯანლუიჯი ბუფონი უკვე რობერტო დონადონის განკარგულებაში არიან. ისინი შესარჩევი მატჩებისთვის ემზადებიან. ცხადია, ყურადღების ცენტრში ბუფონია. რას აპირებს მსოფლიოს საუკეთესო მეკარე? რჩება "იუვენტუსში" თუ მიდის? რას ფიქრობს მარჩელო ლიპის ახალ ტურინულ კარიერაზე? ...და სხვაზეც. ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ჯიჯის "რაი დუეს" კორესპონდენტი ესაუბრა. პირველი კითხვა დეშამის გადადგომას ეხებოდა...

- რა შეფასებას მისცემდით დიდიე დეშამის გადადგომას?

- აბსოლუტურად მოულოდნელი იყო... მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ყველა გაოცებულები დავრჩით. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ დეშამსა და ხელმძღვანელობას შორის რაიმე უთანხმოება იყო, გარეგნულადაც არაფერი ემჩნეოდათ, არც მას, არც სეკოს... ახალი კონტრაქტიც შესთავაზეს... რა გითხრათ, ეს მისი არჩევანია და ყველა შემთხვევაში, პატივისცემას იმსახურებს, თუმც კი, ძალზე საწყენია. დიდიემ უზარმაზარი სამუშაო გასწია. ვაღიარებ, რომ პირადად ჩემთვის ძალიან ძნელი იყო სერია B-ზე მოტივირება, და ალბათ, სხვებისთვისაც... მაგრამ მან შეძლო და გუნდი ერთ მუშტად შეკრა. ეს აუცილებლად უნდა დაფასდეს. მე მაგალითად, მასთან მუშაობა მსიამოვნებდა. მინდა, მას მადლობა ვუთხრა. დეშამს ფეხბურთი კარგად ესმის და მნიშვნელოვანია, როცა ფეხბურთელი ამას გრძნობს.

- ნორმალური მოვლენაა მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას შორის უთანხმოება?

- შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე ასე გეტყვით: დიახ, ნორმალურია. ოღონდ, ეს საწვრთნელ პროცესსა და ზოგადად კლუბში არსებულ კლიმატზე არ უნდა აისახოს. არ შეიძლება, ყველას ერთი აზრი ჰქონდეს, მით უმეტს, როცა საქმე ეხება დიდ კლუბს, კლუბს, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ვიმეორებ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ არ ვიცი, შეიძლებოდა თუ არა საერთო ენის გამონახვა. თუ დეშამი გადადგა, ესე იგი, მას ამისთვის სერიოზული საფუძველი ჰქონდა. ის ფეხბურთში გუშინ არ მოსულა...

- ისე გამოდის, თითქოს "იუვენტუსის" მესვეურებს აკისრებთ პასუხისმგებლობას...

- არანაირად. თქვენ დეშამზე მეკითხებოდით და მეც გიპასუხეთ. რაც შეეხება კლუბის ბოსებს, ცხადია, მწვრთნელის მიმართ გარკვეული პრეტენზიები მათაც ექნებოდათ... უთანხმოება ცალმხრივი არ შეიძლება იყოს. თითოეულ მხარეს ჰგონია, რომ სწორედ ისაა მართალი... მაგრამ მოდით, შევეშვათ ამაზე საუბარს.

- და ლიპი? რას ფიქრობთ მის სავარაუდო მოსვლაზე?

- ლიპი? ნეტავ დაინიშნოს! მივესალმები მარჩელოს მოსვლას. ჩემი აზრით, ეს ბევრ ეჭვს გაფანტავდა...

- რა ეჭვებს?

- ეჭვები არსებობს... ალბათ, დიდიეს არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ მარჩელო აბსოლუტურად სხვა განზომილებაა. ის არის... თუ გნებავთ, უსაფრთხოების სინონიმი. ხომ ხედავთ, ყველა მას ეძებს. ლიპიზე კარგად არავინ იცის, რა სჭირდება "იუვენტუსს". თუ მას ვერ ჩამოიყვანენ, მაშინ მე ჩავთლი, რომ დეშამის გაშვება გაუმართლებელი იყო. ლიპი უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის გარანტიაა. ამაშია სხვაობა.

- ...მაგრამ მარჩელოს დასვენება გაუტკბა. ის ამბობს, რომ ფეხბურთში დაბრუნებას, არ აპირებს, ჯერჯერობით...

- გააჩნია, რას შესთავაზებენ. თუ კლუბი ლიპისა და "იუვეს" ამბიციებთან შესაბამის პროექტს დადებს, დარწმუნებული ვარ, მომავალი სეზონიდან ტურინში დიდი მწვრთნელი იმუშავებს. ეს უკვე დიდი უპირატესობა და სტიმული იქნება ახალი სეზონის წინ.

- გულახდილად თქვით, ლიპისთან არ გილაპარაკიათ?

- როგორ არ მილაპარაკია?!

- და არ გაგრძნობინათ, მოდის თუ არა?

- არა, ჩვენ ადრე ვისაუბრეთ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დეშამის წასვლა აზრადაც არავის მოუვიდოდა. ცხადია, მარჩელოს "იუვენტუსი" არც უხსენებია. ტყუილად ეძებთ სენსაციას (იცინის).

- კი, მაგრამ ბუფონის დარჩენა ხომ დიდწილად ლიპის მოსვლაზეა დამოკიდებული?

- არასწორად სვამთ კითხვას. ჩემი დარჩენა ბევრ სხვა ფაქტორზეცაა დამოკიდებული. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ერთ მშვენიერ დღესაც დავკრავ ფეხს და წავალ. ასე ვერ ვიზამ თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ "იუვენტუსის" მოთამაშე ვარ და ეს ბევრს მავალდებულებს. მაგრამ მე მაინტერესებს, რას აპირებს კლუბი სამომავლოდ. ჩვენ ხმაურით უნდა დავბრუნდეთ ჯერ სერია A-ში, მერე ევროპაშიც. ამისთვის, სერიოზული ძალისხმევაა საჭირო... ვნახოთ, რა მოხდება.

- მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ ერთგვარი ულტიმატუმია?

- რას ნიშნავს ულტიმატუმი? როგორ ფიქრობთ, შარშან ზაფხულში არ შემეძლო წასვლა? მე ასტრონომიულ ხელფასს კი არა, გუნდის გაძლიერებას ვითხოვ. ეს უნდათ დელ პიეროსაც, ნედვედსაც, ტრეზეგესაც... ყველას. ლიპიც წამოაყენებს ამ პირობას და მართალიც იქნება. არ შეიძლება, "იუვენტუსი" სუდეტოსთვის არ იბრძოდეს. რამდენადაც ვიცი, ბოსებს აქვთ უკვე რაღაც მონახაზი. მარტო ის ფაქტი, რომ ლიპის დანიშვნა უნდათ, მათ გეგმებს სრულიად გასაგებს ხდის. სხვათა შორის, ჩვენ გვქონდა შეხვედრა ერთი კვირის წინათ. ვთვლი, რომ ჩემი კალიბრის მოთამაშეს, და "იუვეში" ასეთი კიდევ ოთხია, მათ შორის დელ პიეროც, უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის დაფიქსირების საშუალება არა მარტო წმინდა საფეხბურთო საკითხებზე. და ჩემი აზრით, ეს ნორმალურია...

- და მაინც, ამბობენ, რომ სილვიო ბერლუსკონიმ დაგირეკათ და ზღაპრული წინადადება შემოგთავაზათ...

- სასაცილოა. მეტს არაფერს ვიტყვი...

- არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, "მილანს" აირჩევდით თუ "ინტერს"?

- "იუვენტუსს". იმიტომ, რომ "იუვენტუსის" ფეხბურთელი ვარ და ამით ძალიან ვამაყობ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ზლატანი: მილანი თუ მანჩესტერი?

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, შეიძლება, "ინტერი" დატოვოს. ფეხბურთელისა და კლუბის ურთიერთობა საგრძნობლად გაუარესდა. შვედმა თავდამსხმელმა ხელფასის გაზრდა მოითხოვა. მას წლიურად 3.5 მილიონ გირვანქას უხდიან, თუმცა ზლატანს ეს აღარ აკმაყოფილებს და ორჯერ მეტს ითხოვს. "ნერაძურის" ხელმძღვანელობა მისი ულტიმატუმების დაკმაყოფილებას არ აპირებს. "ინტერი" თანახმაა, პირველსავე ხელსაყრელი შემთხვევისას, ფორვარდი სარფიანად გაყიდოს. იტალიურმა სააგენტოებმა "მილანის" თავკაცის **კარლო ანჩელოტის** განცხადება გამოაქვეყნეს. ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ არა ერთი სახელგანთქმული ფეხბურთელის აგენტი შეგვეხმიანა და გარიგება შემოგვთავაზაო. მიმომხილველებმა რატომღაც ივარაუდეს, რომ ამ ფეხბურთელთაგან ერთი აუცილებლად იბრაჰიმოვიჩი იქნებოდა. ზლატანის წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. ისინი არც "სანის" სტატიას გამოხმაურებიან. ინგლისური ტაბლოიდი გვაუწყებს, რომ "ინტერისა" და იბრას კონფლიქტს "მანჩესტერი" ადევნებს თვალს და მოლაპარაკებების დასაწყებად ემზადება. ზლატანმა **სერ ალექს ფერგიუსონის** ყურადღება მაშინ მიიქცია, როცა "მალმიოს" ღირსებას იცავდა. ფეხბურთელის ფასი უცნობია.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ინგლისს ფერდინანდი გამოაკლდა?

რიო ფერდინანდმა, შეიძლება, ბრაზილიასა და ესტონეთთან მატჩები გამოტოვოს. ნაკრების გუშინდელ ვარჯიშზე ფეხბურთელმა საზარდულის ტრავმა მიიღო. ექიმებმა მას დასვენება და ძალების აღდგენა ურჩიეს. "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველს საზარდულის ქრონიკული ტრავმები დასჩემდა. მან ჩემპიონატის ბოლო ტურებში ამავე პრობლემის გამო ვერ ითამაშა. უცნობია, გამოიძახებს თუ არა **სტივ მაკლარენი** რიოს შემცვლელს.

ლანსი უმწვრთნელოდ დარჩა

"ლანსი" მთავარ მწვრთნელს გამოეთხოვა. **ფრანსის ჟიიომ** კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ვერ გაიყვანა. შესაბამისად, მან ვერ შეასრულა სეზონის წინ დასახული ამოცანა და უმუშევარი დარჩა. ბოლო ტურში "ლანსმა" "ტრუასთან" 0:3 წააგო და ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა. ის მესამეადგილოსან "ტულუზს" ერთადერთი ქულით ჩამორჩა. გაისად ლიგაში საფრანგეთის მესამე საგზურით სწორედ ეს კლუბი იასპარეზებს. უცნობია, ვინ დაიკავებს მოსიე ჟიიოს ადგილს.

კაიზერი ფიფაში ინიშნება

ფრანც ბეკენბაუერი ფიფას აღმასკომის წევრი გახდება. მას ამ პოსტზე უეფა წარადგენს. გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა კაიზერის შეხვედრა ფიფას პრეზიდენტ **იოზეფ ბლატერთან**. ბლატერმა მიმომხილველებთან ასეთი კომენტარი გააკეთა: *"მას პირდაპირ ვკითხე, რისი გაკეთება სურდა ყველაზე მეტად. ფრანცმა მომიგო, რომ სიამოვნებით იმოგზაურებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფეხბურთის ელჩად, ისე, როგორც მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტში მუშაობისას გააკეთა. თუმცა მე არ მსურს, მხოლოდ ამ ერთი საქმით შემოიფარგლოს. ფრანცს ვთხოვე, სათავეში ჩაუდგეს კომისიას, რომელიც ფეხბურთელების, მწვრთნელებისა და მსაჯების საქმიანობას გაუწევს კურირებას."*

პლატინი: დაშალეთ G14

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** მსოფლიოს უმსხვილეს კლუბებს მოუწოდა, შეწყვიტონ სასამართლო დავები და აღარ მოითხოვონ კომპენსაციები ნაკრებებში დაშავებული ფეხბურთელების სანაცვლოდ. ამას გარდა, ფრანგმა ჩინოვნიკმა გრანდებს შესთავაზა, დაშალონ რამდენიმე წლის წინათ შექმნილი ორგანიზაცია G14. პლატინი დარწმუნებულია, რომ უეფას ახალ ორგანოს, სტრატეგიულ საბჭოს, ხელეწიფება ყველა იმ უთანხმოების მოგვარება, რომელიც უეფასა და წამყვანი კლუბების ხელმძღვანელებს შორის არსებობს: *"ვფიქრობ, დადგა დრო, რათა ურთიერთობა სასამართლოს გარეშე გავარკვიოთ. ბატონო პრეზიდენტებო, თქვენთვის უეფას კარი ღიაა. პირობას ვიძლევი, რომ ჩვენი წინადადებებით კმაყოფილნი დარჩებით."*

დაპირისპირება

ანდეზის ქვეყნები ფიფას წინააღმდეგ

ბოლივიის, პერუსა და კოლუმბიის დედაქალაქებს უფეხბურთოდ დარჩენა ემუქრებათ...

სამხრეთ ამერიკის მაღალმთიანი სახელმწიფოები ფიფას იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომლის მიხედვით ზღვის დონიდან 2 500 მეტრის (8 200 ფუტი) მაღლა მატჩების გამართვა იკრძალება. ბოლივიის პრეზიდენტმა **ევო მორალესმა** აკრძალვას დისკრიმინაციული უწოდა. მან მთავრობის საგანგებო სხდომა მოიწვია და სხვა მკვეთრი განცხადებებიც გააკეთა. ბოლივიელთა დედაქალაქი ლა პასი ზღვის დონიდან 3 600 მეტრზე მდებარეობს. ფიფას გადაწყვეტილებამ ეკვადორის, კოლუმბიისა და პერუს ხელისუფლებაც შეაშფოთა. მათ კონტინენტის სხვა სახელმწიფოებს სოლიდარობისკენ მოუწოდეს. ფიფას განცხადებაში ნათქვამია, რომ დიდ სიმაღლეზე თამაში ჯანმრთელობას ვნებს. ეკვადორელებს ეს არგუმენტი სასაცილოდ არ ჰყოფნით. მათი თქმით, არანაკლებ სახიფათოა სიცხეში თამაშიც. ამ ლოგიკით, ფეხბურთს მხოლოდ ჩრდილოეთის ქვეყნებმა უნდა მისდიონ. *"არ მახსენდება სპორტსმენთა დალუპვის ერთი შემთხვევაც კი, როცა ისინი ზღვის დონიდან 2 500 მეტრზე მაღლა თამაშობდნენ. ბოლო ამოსუნთქვამდე დავიცავთ ღვთისგან მონიჭებულ უფლებას, ვითამაშოთ ჩვენი ქვეყნის მთავარ ქალაქ კიტოში (2 800 მეტრი)"* - ეს ეკვადორის ნაკრების მეორე მწვრთნელის **არმანდო ოსმას** სიტყვები გახლავთ. ეკვადორელებმა ბოლო ორ მუნდიალზე ითამაშეს, საკუთარ მოედანზე კი ექვსი წელიწადია, არ დამარცხებულან.

ბოლივიელები შვეიცარიაში დიპლომატიური მისიის გაგზავნასაც კი გეგმავენ. დელეგაციას ფიფასთან მოლაპარაკებების გამართვა დაევალება. პრეზიდენტ მორალესის აზრით, ფიფას გადაწყვეტილება ფეხბურთის უნივერსალობას უქმნის საფრთხეს. ბოლივიის ნაკრებს შინ ბრაზილია და არგენტინა ჰყავთ დამარცხებული. 1997 წელს ქვეყანამ კოპა ამერიკასაც კი უმასპინძლა. კონტინენტის პირველობაზე ეკვადორელებმა ფინალში ბრაზილიასთან წააგეს.

სამხრეთი ამერიკის საფეხბურთო კონფედერაციამ განაცხადა, რომ ის ვალდებულია, ფიფას დირექტივებს დაემორჩილოს. კონფედერაციის ხელმძღვანელობა ბუნებრივად მიიჩნევს აკრძალვის ზონაში მოყოლილი ქვეყნების პროტესტს, მაგრამ კონფლიქტში ჩარევას არ აპირებს. რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ფრანსისკო ფიგერედომ განაცხადა, რომ ყველა ქვეყანას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა 2 500 მეტრის ქვემოთ. ამიტომ აკრძალვა მათ განსაკუთრებულ პრობლემებს არ უქმნის. სხვათა შორის, კოლუმბიელები სანაკრებო მატჩებს, როგორც წესი, კარიბის საზღვაო პორტ ბარანკიაში მართავენ. მათი დედაქალაქი ბოგოტა 2 700 მეტრზე მდებარეობს. კოლუმბიელები ფიფას დირექტივას მაინც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

ლა პასის ხედი. ბოლივიის დედაქალაქი 3 600 მეტრზე მდებარეობს

ინტერვიუ დევიდ ბექჰემთან

სარაგოსასთან პრიმერა დივიზიონის ფინალია

გალაქტიკოს აზრით, თუ სამეფო კლუბი მომავალ უქმეებზე გაიმარჯვებს, ჩემპიონობაში ველარავინ შეეცილება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევიდ ბექჰემი და რაული

დევიდ ბექჰემი "რეალის" მაისურას კიდევ ორჯერ მოირგებს და ლოს ანჯელესის "გალაქსიში" გადაბარგდება. სამეფო კლუბის გულშემატკივრებს ამ ფაქტთან შეგუება უჭირთ. ინჩასები ყველა შეხვედრაზე საგანგებოდ დამზადებული პლაკატებით დადიან. ისინი უზარმაზარ ტრანსპარანტებს აფრიალებენ და ინგლისელს დარჩენას სთხოვენ. ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ფანები თავისას არ იშლიან. სხვათა შორის, გულშემატკივრები ბექსის წასვლაში გუნდის ხელმძღვანელობასა და მთავარ მწვრთნელს ადანაშაულებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი ჯეროვნად ვერ დააფასეს, რაც საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ფეხბურთელს ამერიკულ კლუბთან გაეფორმებინა კონტრაქტი. უახლოეს წარსულს თუ გავიხსენებთ, აღმოვაჩენთ, რომ ხუან რამონ კალდერონი და ფაბიო კაპელოს დევიდის კითხვებს თავს არიდებდნენ. არადა, ინგლისელი უჩვეულოს არაფერს ამბობდა. ის მხოლოდ ითხოვდა, მითხარით, რა გეგმები გაქვთ ჩემთან დაკავშირებითო. დრო გადიოდა, პასუხი კი არა და არ ჩანდა. პარალელურად, ბექჰემი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ვერ ახერხებდა. მას თვეების განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა. ინგლისელი იძულებული გახდა, საკუთარი ბედი თავად გადაეწყვიტა. მენეჯერებმა ფინანსური თვალსაზრით ფანტასტიკური ვარიანტი გამოუნახეს. "გალაქსიში" გატარებული ყოველი კვირის სანაცვლოდ ბექსი თითქმის მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. მადრიდში ახლა ყველა ნანობს, რომ ნახევარმცველს ვერ გაუფრთხილდნენ. სამეფო კლუბის ბოლოდროინდელ წარმატებებში ბექჰემს უდიდესი წვლილი მიუძღვის. თამაში ისე არ ჩაივლის, საგოლე გადაცემა არ მიითვალოს. ის ერთნაირად სასარგებლოა დაცვასა და შეტევაში. ამასწინათ, ფაბიო კაპელომ დაუფარავად თქვა, ბექჰემი ისე კარგად თამაშობს, როგორც არასდროსო. გასაოცარი პროგრესი ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობისთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. სტივ მაკლარენმა "რეალის" ვარსკვლავი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებში დააბრუნა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც სამშობლოში ჩასულ ფეხბურთელს BBC-ის მიმომხილველებმა ჩამოართვეს.

- როგორ აფასებთ "რეალში" გატარებულ წლებს? გვახსოვს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში დაუნდობლად გაკიტიკებდნენ...

- ყოველთვის უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ გვიხდებოდა თამაში. როცა ისეთ დიდ გუნდში თამაშობ, როგორიც "რეალია", შენგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან. მით უმეტეს მაშინ, როცა "ბარსელონა" ტიტულს ტიტულზე იგებს. არავის აინტერესებს, რა გაწუხებს და რა გიშლის ხელს. პრინციპში, ეს არც არის გასაკვირი. გულშემატკივრებს ყველა უფლება აქვთ იმისთვის, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაგვატარონ. ვფიქრობ, კარგად გესმით, თუ რატომ ვფიქრობ ასე. "რეალი" უდიდიესი ტრადიციებისა და ისტორიის გუნდია. ქომაგები ამ ტრადიციებით აღიზარდნენ. ისინი ვერასოდეს შეეგუებიან, რომ კლუბმა ზედიზედ რამდენიმე სეზონის განმავლობაში ვერაფერი მოიგოს. ჩვენ კი სწორედ ამ გზით დავდიოდით. სხვადასხვა მიზეზის გამო, სიბელესზე ერთი ფიესტაც კი ვერ მოვაწყვეთ. აქედან გამომდინარე, რაც მადრიდში ჩამოვედი, მუდამ ფსიქოლოგიურ წნეხში ვიმყოფებით.

- "მანჩესტერიდან" წასვლა არასოდეს გინანიათ?

- ყველაფრის მიუხედავად, სამეფო კლუბში ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს. თამაში განუსაზღვრელ სიამოვნებას მანიჭებდა. ახლაც ძალიან მსიამოვნებს და მსურს, გუნდს ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში დავეხმარო. "მანჩესტერიდან" წასვლა არ მინანია. თავიდანვე ვიცოდი, რომ ჩემი გადაბირება პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს კოლექტივს სურდა. მე ზიდანთან, ფიგუსთან, რობერტო კარლოსთან, რაულთან, რონალდოსთან და სხვებთან თამაშისა და ცხოვრების საშუალება მომეცა. პროფესიონალი მოთამაშისთვის მათ მხარდამხარ ასპარეზობა უდიდესი ბედნიერებაა. ჩვენ ერთმანეთისგან ბევრი რამ ვისწავლეთ.

- მას შემდეგ, რაც "სანტიაგო ბერნაბეუზე" აღმოჩნდით, "რეალს" მწვრთნელები და პრეზიდენტები რამდენჯერმე შეეცვალა. საინტერესოა, კლუბში მიმდინარე პროცესებს როგორ ხვდებოდით? რამდენად აისახებოდა ეს ყველაფერი თქვენს თამაშზე?

- ჩემი აზრით, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ეს ცვლილებები იყო. აღარც კი მახსოვს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რამდენი პრეზიდენტი და მწვრთნელი წავიდა. მაგალითად, "მანჩესტერ იუნაიტედს" მრავალი წლის განმავლობაში ერთი კაცი ავარჯიშებს. სამეფო კლუბში კი ხალხი მაშინ მიდიოდა, როცა საკუთარი იდეების 20 პროცენტიც კი არ ჰქონდა განხორციელებული. შემდეგ ახლები მოდიოდნენ, მაგრამ ვერც ისინი ასწრებდნენ საქმის გაკეთებას. გულწრფელად მოგახსენოთ, დღემდე ვერ ვხვდები, რატომ იქცეოდნენ ასე. ჩემი აზრით, ორგანიზაციულ საკითხებში "მანჩესტერი" "რეალზე" გაცილებით უკეთ მუშაობს. "წითელმა ეშმაკებმა" ყოველთვის ზედმიწევნით იციან, როდის რა აკეთონ. ერთი სიტყვით, "რეალმა" დიდი არეულობებისა და ქაოსის წლები გამოიარა.

- რა იგრძენით, როცა "მანჩესტერიდან" წასვლის შემდეგ "ოლდ ტრეფორდზე" პირველად მოხვდით?

- თავდაპირველად ძალიან ცუდად და უხერხულად ვგრძნობდი თავს, თუმცა შემდეგ დავმშვიდდი. თავის დროზე კლუბი ისე დავტოვე, რომ ბევრ ადამიანთან დამშვიდობება ვერ მოვასწარი. მაგალითად, "მანჩესტერის" ბაზის კაფეში მომუშავე ქალბატონებს ვერ გამოვემშვიდობე. ის ადამიანებიც ვერ ვნახე, რომლებიც 14 წლის ასაკიდან მიცნობდნენ. რატომღაც ისე მოხდა, რომ დრო საერთოდ არ მქონდა. სიტუაციაც უჩვეულო გახლდათ.

- როგორ ფიქრობთ, შეძლებს, "რეალი" ესპანეთის ჩემპიონობის მოპოვებას?

- ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მიზანს მივაღწევთ. სეზონის შუაში არანაირი იპტიმიზმი არ არსებობდა, მაგრამ შემდეგ მოვლენები რადიკალურად შეიცვალა და ლიდერები გავხდით. მართალია, "ბარსელონას" მხოლოდ ურთიერთშეხვედრებით ვუსწრებთ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პირველები ვართ და ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, ყველაფერს მომდევნო ტურის შეხვედრა გაარკვევს. სარაგოსაში ურთულესი გასვლა გველის. თუ იმ მატჩს მოვიგებთ, ესპანეთის ჩემპიონობაში ვერავინ შეგვეცილება. ასე რომ "სარაგოსასთან" პრიმერა დივიზიონის ფინალი გველის (იცინის).

- დასასრულს, რა თქმა უნდა, ინგლისის ნაკრებზეც მინდა გკითხოთ. როგორი გრძნობა დაგეუფლათ, როცა გაიგეთ, რომ მაკლარენმა გამოგიძახათ?

- ძალიან გამიხარდა. გულწრფელად გეტყვით, გული მწყდებოდა, რომ არ მათამაშებდნენ. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ინგლისის ნაკრებისთვის ბევრი სიკეთის მოტანა შემეძლო. სასიხარულოა, რომ ისევ ეროვნულ გუნდში ვარ.

ილია ნიკოლაიშვილი

ბარსელონა

რონალდინიო უბრალოა

თუ სარაგოსა რეალს ქულებს დააკარგვინებს, კატალონიელებისაგან მეფურ საჩუქარს მიიღებენ...

ალფონსო პერეს ბურული რონალდინიოს აძევებს

"ბარსელონა" ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაში აპელაციას შეიტანს. მისი მიზანი "ხეტაფეესთან" მატჩში **რონალდინიოსთვის** ნაჩვენები წითელი ბარათის გაუქმებაა. შეგახსენებთ, ბრაზილიელმა ვარსკვლავმა თამაშის მე-40 წუთზე **დავიდ ბელენგერის** უხეშობა ვერ მოითმინა და მეტოქეს წიხლი ამოარტყა. კატალონიური გიგანტის იურიდიული სამსახურის თანამშრომელი **დავიდ კასკერო** მოგვითხრობს: *"ერთი შეხედვით, რონალდინიო გარეწარივით მოიქცა, მაგრამ ეს ასე არ არის. გადავწყვიტეთ, აპელაცია მოვამზადოთ. სააპელაციო კომიტეტში ვიდეოკადრებს წარვადგენთ. ბელენგერმა რონის ბინძური პროვოკაცია მოუწყო. მთელი ტაიმის განმავლობაში დაუნდობლად ურტყამდა ფეხებში, ბოლოს კი აქილევსის მყესში მიზნობრივად უთავაზა. რონალდინიო ამბობს, რომ აუტანელი ტკივილი იგრძნო და ნერვები ველარ მოთოკა. ჩვენი აზრით, მოედანზე ძალადობა რომ არ ვიხილოთ, პირველ რიგში, სწორედ პროვოკატორებს უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა. გაუჩოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციიდან და ფსიქიატრიული კლინიკებიდან შეუძლია, ცნობა წარმოადგინოს, რომ არც შეშლილია და არც ხულიგანი. ბუნებრივია, უმი ზე ზოდ ფეხს არ მოიქნევდა. სადისციპლინო კომიტეტი ვალდებულია, ჩვენი არგუმენტები მოისმინოს და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს."*

ამასობაში, "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ "სარაგოსის" ფეხბურთელებს ფანტასტიკური წინადადება შესთავაზა. მოგეხსენებათ, 10 ივნისს არაგონელები მშობლიურ "ლა რომარედაზე" "რეალს" უმასპინძლებენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხვედრაზე პრიმერა დივიზიონის ბედია დამოკიდებული. თუ სამეფო კლუბი მოიგებს, "ბარსელონა" ჩემპიონობის შანსს, ფაქტობრივად, დაკარგავს. წარმოუდგენელია, **ფაბიო კაპელოს** ბიჭებმა ბოლო ტურში "ბერნაბეუზე" "მალიორკას" ვერ აჯობონ. ამიტომ, **ხოან ლაპორტამ** სწორედ სარაგოსელების წახალისება გადაწყვიტა: *"ვაცნობიერებთ, რომ "ბარსა" მხოლოდ საკუთარ თავზე აღარაა დამოკიდებული. ეს სამწუხარო გარემოებაა, მაგრამ ახლა ამ თემაზე საუბრის დრო არ არის. ჩვენ "სარაგოსის" წარმატება გვჭირდება. თუ არაგონელები სამეფო კლუბს ქულებს დაკარგვინებენ, თითოეულ ფეხბურთელს პრემიის სახით 50 ათას ევროს გადავუხდით. ბუნებრივია, ვიქტორ ფერნანდესის შეგირდებს მოტივაცია ისედაც არ აკლიათ, მაგრამ "ბარსელონის" ხელმძღვანელობა მაინც საჭიროდ თვლის, "სარაგოსა" კიდევ უფრო წაახალისოს."*

ცნობილია, რომ არაგონული კლუბი "რეალისთვის" ძალიან უხერხული მეტოქეა. თუნდაც გასული სეზონი გავიხსენოთ – "ლა რომარედაზე" მასპინძლებმა დედაქალაქელები სათასო შეხვედრაში 6:1 დაამარცხეს. 2004 წელს კი სულაც ესპანეთის სამეფო თასის ფინალი მოუგეს. ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ **ვიქტორ ფერნანდესის** კოლექტივს უეფას თასის საგზურის გასანაღდებლად გამარჯვება სჭირდება.

მექსე რომაში 2011 წლამდე

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, **ფილიპ მექსემ** "რომასთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის დედაქალაქში 2011 წლამდე დარჩება. ამგვარად, ეპოპეა ფრანგი მცველის მოსალოდნელი აბარგების შესახებ დასრულებულია. მექსეს შეძენა "ინტერსა" და "რეალს" სურდათ. მან კი "ჯალოროსიში" დარჩენა გადაწყვიტა. გრძელდება მოლაპარაკებები კიდევ ერთ წამყვან მცველ **კრისტიან კივუსთან**, რომელსაც არანაკლები მსურველი ჰყავს.

ვალენსიას ფორლანი მოუნდა

"ვალენსია" "ვილიარეალის" თავდამსხმელ **დიეგო ფორლანს** აკვირდება. ურუგვაელი ვარსკვლავი "ღამურების" თავკაცის **კიკე სანჩეს ფლორესის** ფავორიტია. ვალენსიელებს შეტევის გაძლიერება სურთ. ფორლანის ფასი მისივე კონტრაქტითაა განსაზღვრული - 16 მილიონი ევრო, თუმცა სენიორ ფლორესს ეს თანხა არ აშინებს. ფეხბურთელს თვითონაც სურს "ვალენსიასთან" ხელშეკრულების გაფორმება.

რივალდომ აეკ-ს მიაშურა

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი **რივალდო** მომავალი სეზონიდან ათენის აეკ-ში ითამაშებს. 35 წლის ფორვარდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, "ოლიმპიაკოსი" დატოვა და აეკ-თან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონს გერმანული "პანოვერიც" ეპატიჟებოდა.

რობი კინის ახალი კონტრაქტი

რობი კინმა "ტოტენჰემთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ირლანდიელი "უაით ჰართ ლეინზე" კიდევ ხუთი წელი დარჩება. 26 წლის თავდამსხმელი ლონდონში 2002 წლის აგვისტოში "ლიდსიდან" გადავიდა. "მანჩესტერ სიტისთან" ბოლო ტურის მატჩი მე-200 იყო მის ტოტენჰემურ კარიერაში. კინმა სეზონი 22 გოლით დაასრულა. ლონდონში მოღვაწეობის განმავლობაში რობის 84 გოლი აქვს გატანილი. ჩემპიონატის მსვლელობისას მას სხვადასხვა კლუბში გადაბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ გუშინდელმა ინფორმაციამ სპეკულაციებს წერტილი დაუსვა. "ტოტენჰემმა" ახალი კონტრაქტები ახალგაზრდა ნახევარმცველებს, **აარონ ლენონსა** და **მაიკლ დოსონსაც** გაუფორმა. **დიმიტარ ბერბატოვსა** და **დიდიე ზოკორას** კი კლუბთან ხანგრძლივი ხელშეკრულებები აკავშირებთ.

პანდიანი: ვოლფსბურგში არ მინდა

"ესპანიოლის" ურუგვაელი თავდამსხმელი **ვალტერ პანდიანი** "ვოლფსბურგში" არ გადავა. უეფას თასის საუკეთესო ბომბარდირმა (11 გოლი) "მგლებს" უარი შეუთვალა. *"არსად წასვლა არ მინდა. ბარსელონაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და გუნდი რატომ უნდა გამოვიცვალო? მით უმეტეს, სხვა ქვეყანაში რატომ უნდა გადავიდე?"* - განუცხადა პანდიანმა "მარკას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

ბეკენბაუერი: ლიოვი იდეალურია

კაიზერი იოგისთვის კონტრაქტის გაგრძელებას ითხოვს

გერმანიის ნაკრები შაბათს ჰამბურგში სან მარინოს უმასპინძლებს და სარეკორდო ანგარიშით მოგებას შეეცდება. 6 ივნისს კი, ალემანები ნიურნბერგში სლოვაკეთს დაუხვდებიან. ბუნდესგუნდის მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** შეგირდები გუშინ, ტრადიციულად ჰერცოგენაურახში შეკრიბა. როგორც იცით, გერმანიის ნაკრებს ამ შეხვედრებში კაპიტანი **მიხაელ ბალაკი** ვერ დაეხმარება, რომელმაც ახლახან ოპერაცია გაიკეთა. იოგის მიერ გამოძახებული სხვა ფეხბურთელები კი მწყობრში არიან. *"თითოეულმა მათგანმა ჩემგან ინდივიდუალური პროგრამა მიიღო. მჯერა, დასვენებაზე ჯერ არ ფიქრობენ და ამ ორ თამაშში 100 პროცენტით დაიხარჯებიან,"* - ამბობს ბუნდესმწვრთნელი.

ამასობაში, **ფრანც ბეკენბაუერმა** გაზეთ "ველტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლიოვთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. *"მნიშვნელობა არა აქვს, რას მიაღწევს ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე. ჩემი ნება რომ იყოს, იოახიმს ახლავე ახალ, უფრო გრძელვადიან ხელშეკრულებას გავუფორმებდი. პირადად მე, გერმანიის ნაკრებისთვის არც მასზე უკეთესი სპეციალისტი მეგულება და არც მის შტაბზე უკეთესი შტაბი. ლიოვმა შეძლო ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ბუნდესგუნდმა არ მოუკლო და დღესდღეობით ევროპაში ყველაზე სტაბილურები რომ ვართ, ესეც მისი დამსახურებაა. დღევანდელი გადასახედიდან, ჩემი აზრით, ევრო 2008-ის უმთავრესი ფავორიტი სწორედ გერმანიაა. იმ დროს, როცა სხვა გრანდები გადარჩენისთვის იბრძვიან, ლიოვის გუნდი წინ მიიწევს და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ შესარჩევი ციკლის ნახევარია გასული, ეჭვი არ გვეპარება, რომ ბუნდესნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. ეს სერიოზული მიღწევაა,* - აცხადებს კაიზერი და იქვე ამატებს, - *კლინსმანის წასვლის შემდეგ ლიოვის დანიშვნა ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო იმ გადაწყვეტილებებს შორის, რაც კი გერმანიის საფეხბურთო კავშირს ოდესმე მიუღია!"*



იოახიმ ლიოვი



მოჰამედ ზიდანი

ჰამბურგი

ზიდანი და HSV: არის შეთანხმება

მოჰამედი ჩრდილოელებთან ოთხწლიან კონტრაქტს აფორმებს

"კიკერის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული "მაინცის" ფორვარდი **მოჰამედ ზიდანი** "ჰამბურგს" მოურიგდა. მართალია, ეს ცნობა ჯერ ოფიციალურად არავის დაუდასტურებია, მაგრამ ეჭვი აღარავის ეპარება, რომ 25 წლის ფორვარდი, რომელმაც ბუნდესლიგის მეორე წრეში 13 გოლი გაიტანა, კარიერას HSV-ში გააგრძელებს. ზიდანს არაერთი წინადადება აქვს, მაგრამ ცნობილია, რომ უპირატესობას "ჰამბურგს" ანიჭებს. რამდენიმე დღის წინათ პირდაპირ თქვა, მაგალითად, "შტუტგარტში" გადასვლას, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, "ჰამბურგი" მირჩევნიაო. და ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, ჩრდილოგერმანულ კლუბს, რომელიც ინტერტოტოს თასზე იასპარეზებს, მან უკვე განუცხადა თანხმობა.

"კიკერის" ცნობით, ზიდანი "ჰამბურგთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ჩრდილოელებს მოჰამედის სანაცვლოდ 5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. როგორც იცით, "მაინცმა" ეს თავდამსხმელი ზამთარში "ვერდერიდან" 2.8 მილიონად იყიდა, მაგრამ მას მერე ზიდანის ფასი 5 მილიონამდე ავიდა. ის, რომ ზიდანმა "ჰამბურგში" გადასვლა გადაწყვიტა, პირველ რიგში, ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ჰუუბ სტევენსის** დამსახურებაა, რომელიც მოჰამედს რამდენიმე დღის წინათ შეხვდა და იმაში დაარწმუნა, რომ მის გეგმებში უმთავრეს როლს თამაშობს. ჰოლანდიელი სპეციალისტი მაინცელს 4-2-3-1 და 4-4-2 ტაქტიკურ სქემებში მთავარი როლის შემსრულებლად მოიაზრებს.

ახლო მომავალში HSV-ს ხელმძღვანელები **ბენი ლაუთსაც** მიხედავენ, 26 წლის ფორვარდს, რომელიც იანვრის შემდეგ "შტუტგარტშია" განათხოვრებული. ლაუთმა მეორე წრეში ჩემპიონთა რიგებში 11 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა. ჩრდილოელებთან მას კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს.

ინამოტო: გალათასარაიდან აინტრახტში

გუშინ ფრანკფურტის "აინტრახტმა" მომავალი სეზონისთვის პირველი ახალწვეული წარადგინა. ეს გახლავთ იაპონელი ნახევარმცველი **იუნიში ინამოტო**, რომელიც ფრანკფურტულ კლუბში თურქული "გალათასარაიდან" გადავიდა. "აინტრახტის" ბოსებს იაპონელის სანაცვლოდ ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუხდათ, რადგან 27 წლის ფეხბურთელს "გალათასარაისთან" კონტრაქტი ამოეწურა და თავისუფალი აგენტი გახდა. შეგახსენებთ, რომ ინამოტო თურქეთში 2006 წელს გადავიდა. მანამდე ის ხუთი წლის განმავლობაში ინგლისში თამაშობდა და "ვესტ ბრომვიჩის", "კარდიფ სიტის," და "ფულჰემის" ლირსებას იცავდა. იაპონიის ნაკრებში მას 65 თამაში აქვს ჩატარებული და 3 გოლი გაიტანა.

მანუელ ფრიდრიხი ლევერკუზენში

ლევერკუზენის "ბაიერმა" "მაინციდან" გერმანიის ნაკრების მცველი **მანუელ ფრიდრიხი** გადაიბირა. 27 წლის უკანახაზელმა "ფარმაცევტებთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, ლევერკუზენმა "მაინცს" ფრიდრიხის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაუხადა. *"მაინცის"* დატოვება *ძალიან მიმძიმს, მაგრამ მეორე ბუნდესლიგაში თამაში არ მსურს,"* - განაცხადა ფრიდრიხმა, რომელიც ბუნდესგუნდშია გამოძახებული. ფრიდრიხმა "მაინცში" 8 წელიწადი გაატარა და გერმანიის ნაკრებში 7 მატჩი აქვს ჩატარებული. **თეოფანის გეკასის, ლუკას ზინკევიჩისა** და **არტურო ვიდალის** შემდეგ, მანუელ ფრიდრიხი "ლევერკუზენის" რიგით მეოთხე ახალწვეულია. აქვე შეგახსენებთ, რომ "ბაიერს" **ჰანს-იორგ ბუტი, ჟუანი, ანდრეი ვორონინი, მარკო ბაბიჩი, ფრედრიკ შტენმანი** და **აპმედ მადუნი** დატოვებენ.

ლივერპული: ტეილორი 5 მილიონად

"ლივერპულმა" "პორტსმუთს" მარცხენა მცველის, **მეტ ტეილორის** სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა შესთავაზა. ამდენივეს გადახდა სურთ "ტოტენჰემს", "ფულჰემსა" და "ასტონ ვილას". ტეილორს დაცვის გარდა, შუა ხაზში თამაშიც ეხერხება. ერთი წლის წინათ მას "ტოტენჰემი" და "ფულჰემი" ეპატიჟებოდნენ. "პორტსმუთმა" ფეხბურთელი კინაღამ 2 მილიონად გაყიდა. მეტმა გასულ სეზონში ორი გოლი გაიტანა, თუმცა ორივე მათგანი პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე ეფექტური გოლის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოლი ევერტონელთა კარში, რომელიც ტეილორმა ცენტრიდან გაიტანა.

გასკოინს ოპერაცია გაუკეთეს

პოლ გასკოინს გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს. ის საავადმყოფოში მუცლის მწვავე ტკივილით მოათავსეს და მაშინვე ქირურგებს გადააბარეს. გაზა ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად 40 წლისთავს აღნიშნავდა, როცა მოულოდნელად ცუდად იგრძნო თავი. ექიმების თქმით, ოპერაციამ გართულებების გარეშე ჩაიარა. პაციენტს სახლში მალე გაწერენ.

რეო კოკერი: ტოტენჰემი თუ ლივერპული?

"ვესტ ჰემის" კაპიტანმა **ნაიჯელ რეო-კოკერმა** ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა. 23 წლის ფეხბურთელს მაშინვე გამოუჩნდა მსურველი "ტოტენჰემის" სახით. რეო-კოკერის შეიძლება "ლივერპულიც" დაინტერესდეს. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. ფეხბურთელის აგენტი **ტონი ფინიგანი** გაკვირვებულია, რომ "ვესტ ჰემი" მისი კლიენტის შენარჩუნებას არცკი შეეცადა. კლუბმა ფეხბურთელისთვის პირობების გაუმჯობესება არ ისურვა და მაშინვე დასთანხმა მის თავიდან მოშორებას.

მწვრთნელი

უბერებელი რკინის ჰანსი

სად არის სიბერე? მაიერის ახალი ქალი მასზე 28 წლით უმცროსია...

ჰანს მაიერი 1942 წელს დაიბადა, იმ დროს, როცა მეორე მსოფლიო ომი ნელ-ნელა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. ასეთ დროს გერმანიაში დაბადებას კაცი მტერსაც კი არ უსურვებდა. დღეს კი 64 წლისაა და შესაბამისად, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი მწვრთნელი გახლავთ. ეს ისეთი ასაკია, როცა ადამიანები ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც გადიან სამედიცინო შემოწმებას. შაქარი, წნევა, პროსტატიტი, ზურგის ტკივილი, გარღვევები მეხსიერებაში, შარდის ბუშტის შემოტევები ღამით, მშრალი პირი დილას - ეს ის პრობლემებია, რაც 64 წლის მამაკაცს სტანჯავს ხოლმე. ამ დროს ადამიანებს, მხოლოდ და მხოლოდ, ასეთი კითხვები ებადებათ ხოლმე: რატომ აქვს ხმა ჩაწეული ტელევიზორს? რატომ დაპატარავდა ასოები გაზეთში? ნუთუ, აღარავის ვჭირდები? ნეტა, რას მეტყვის ხვალ ექიმი? მაგრამ "ნიურნბერგის" თავკაცს არცერთი ზემოთხსენებული პრობლემა არ აწუხებს და არცერთი ზემოთ დასმული კითხვა არ ებადება. სამაგაიროდ, ჩვენ გვებადება კითხვები: რატომ არ აწუხებს მაიერს ასაკის შესაბამისი პრობლემები? რატომ არის მისი თმა ასეთი ხშირი და მუქი? რატომ არ ეტყობა, რომ ყველაფერი სტკივა და, ბოლოს და ბოლოს, რატომ არის ჰანსი ასეთი ახალგაზრდა 64 წლის ასაკში? ადამიანები მილიონობით ევროს ხარჯავენ იმაში, რაც ამ კაცს უფასოდ აქვს - რატომ? პასუხი მხოლოდ ერთია: ჰანს მაიერი რკინისაა და აქვს უფლება, რომ დროს დასცინოს. ეს ყველაფერი მას კიდევ უფრო ადიდებს.

გასულ შაბათს "რკინის ჰანსმა" "ნიურნბერგთან" ერთად გერმანიის თასი მოიგო. მის მიერ გაწვრთნილმა, უვარსკვლავო, მაგრამ ერთ მუშტად შეკრულმა გუნდმა, გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" 3:2 დაამარცხა. ბევრისთვის ეს, შესაძლოა, დიდი სენსაცია იყოს, მაგრამ ვინც ბუნდესლიგის ახალდამთავრებულ სეზონს თვალს თვალიდანვე ყურადღებით ადევნებდა, მისთვის "ნიურნბერგის" ტრიუმფი მოულოდნელი ოდნავადაც არ იქნებოდა. და მაინც: ეს სენსაცია იყო. თუნდაც იმიტომ, რომ ფრანკებმა 39- წლიანი პაუზის შემდეგ პირველი ტიტული მოიგეს. და პირველად მოხდა ისე, რომ აღმოსავლელმა მწვრთნელმა ერთიანი გერმანიის ტიტული მოიპოვა.

ამ ხნის განმავლობაში ის ერთადერთხელ იყო დიდ ტიტულთან ყველაზე ახლოს, კერძოდ 1981 წელს, როცა იენის "კარლ ცაისი" თასების მფლობელთა თასის ფინალში გაიყვანა და ცხადია, შეხსენებას აღარ საჭიროებს, თუ ვინ შეაჩერა მაშინ "რკინის ჰანსი" - არაერთხელ უთქვამს, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გრანდთან განცდილი ის მარცხი, კუბოს ფიცრამდე ემახსოვრება, რადგან ის წაგება მისთვის უდიდესი იმედგაცრუება იყო. ჰო, ვის ვის და, ჰანს მაიერს ყველაზე უკეთ მოეხსენება თბილისის "დინამოს" შესახებ.

ბერლინში მოგებული ფინალის შემდეგ, მაიერი ფრანკების ბანკეტზე ახალ მეგობარ ქალთან ერთად გამოცხადდა და კიდევ ერთხელ, ვინ იცის, მერამდენედ განაცვიფრა ჩვენი გერმანელი კოლეგები. 64 წლის კაცს გვერდს 36 წლის ქალი, **მარენ ციმერმანი** უმშვენებდა და წყვილს ოდნავადაც არ ეტყობოდა ის, რომ მათ შორის განსხვავება 28 წელია და რომ ჰანსს მარენი ლამის შვილადაც აღარ ეკუთვნის. ფეხბურთელებმა შებედეს, უნდა გაცეკვოთო, მაგრამ "რკინის კაცი" რკინასავით ცივ უარზე იდგა: *"მართალია, დიდ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ ასეთების გამო ბავშვობაში და ახალგაზრდობაშიც კი არ ვცეკვავდი და ცხადია, რომ არც ახლა ავმჩატდები. მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც ცეკვისთვის არასდროს სცხელოდა."*

მარენ ციმერმანი ნიურნბერგის თეატრის დრამატურგია და ჰანსიც სწორედ თეატრში გაიცნო. მანამდე, 2006 წლის აგვისტოში, მაიერი 40-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, მეუღლე **ანელორეს** გაშორდა და მასთან სამი ზრდასრული შვილი დარჩა. თუმცა ცნობილია, რომ ოჯახი ამ ახალგაზრდა ქალის გამო არ დაუნგრევია - ანელორესთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მაშინ დაეძაბა, როცა მიონხენგლადბახის "ბორუსიის" მწვრთნელი იყო. *"ჰანს მაიერმა ნიურნბერგში ბედნიერება იპოვა - არა მხოლოდ საფეხბურთო მოედანზე, არამედ პირად ცხოვრებაშიც,"* - ამბობს ნიურნბერგული კლუბის ბოსი **მიხაელ ა. როთი**.

ჰანს მაიერი ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად

ფინალში, 47-ე წუთზე გატანილი გოლის შემდეგ, ნიურნბერგელთა ნახევარმცველმა **მარკო ენგელჰარდტმა** ჰანს მაიერს უხამსი ჟესტი უჩვენა - ცერა თითი, შუა და საჩვენებელ თითებს შორის ჰქონდა მოქცეული და რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, იცინოდა. ეს როგორ გაუბედაო, გაოგნდა ყველა. ენგელჰარდტი ამბობს: *"ფინალამდე, "ჰანოვერთან" 3:0-ზე მოგებულ შეხვედრაში გოლი თავით გავიტანე, რაზეც ჰანსმა მითხრა, ეს ხომ შემთხვევითობა იყოო. თანაც, დააყოლა, თუ "შტუტგარტსაც" თავით გაუტან, შეგიძლია, ეს ჟესტი მიჩვენოო..მეც ვუჩვენე! ცხადია, არ გაბრაზებულა. პირიქით, კმაყოფილი იყო და გულში ჩამიკრა."*

აი, ასეთია ჰანს მაიერი - მკაცრი, მაგრამ არა დესპოტი; კეთილი, მაგრამ არა ანგელოზი; ხუმარა, მაგრამ არა ჯამბაზი; სამართლიანი, მაგრამ არა მოსამართლე; რკინის, მაგრამ არა უგულო...

გოტფრიდ ლენცი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰიღათბურთი

დავით უსტიაშვილი

ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

ეროვნული კატეგორიის აზოტის მწვრთნელი

რეგულარული ჩემპიონატი 25 ტურისგან შედგება. ჰოდა, სეზონის დაწყებიდან მაისამდე, 25 ოთხშაბათს ტურის მიმოხილვას, ლიდერთა მონაგარსა და ტურის საუკეთესო კალათბურთელის ინტერვიუს გთავაზობდით. 2006-07 წლების სეზონი კვირას სუპერთასის მატჩით დასრულდა და სეზონის ბოლო ოთხშაბათს საბოლოო სტატისტიკას გთავაზობთ. რადგან ჩემპიონატის MVP-ს, კოტე ტულუშს გასულ კვირას შეგახვედრეთ, დღეს გამოკითხვის მიხედვით საუკეთესო მწვრთნელის, დავით უსტიაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

- ალბათ, ყველაფერი ისე გამოგვიდათ, როგორც სეზონის დასაწყისში ჩაიფიქრეთ...

- "აზოტი" რომ ჩავიბარე, ორი მიზანი დავისახეთ - კარგი გუნდის გაკეთება და ქვეყნის ჩემპიონობა. რადგან, ოქრო ჩვენია, ე.ი. გუნდის შეკვრაც მოგვიხერხებია. ასე რომ, ორივე მიზანს მივაღწიეთ.

- საქართველოში ყველა პირველობისკენ ისწრაფვის. ეს გუნდურ თამაშს ხელს უშლის. "აზოტს" კი ასე თამაში ყველაზე უკეთ გამოსდიოდა...

- შემადგენლობაში 15 კაცი გვყავდა. მათგან ყოველ მტჩზე 12 კალათბურთელი გადიოდა. რთული განსახორციელებელი იყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც შევძელით თხუთმეტივე მოთამაშისთვის ფუნქციების თანაბრად გადანაწილება. ხოლო, როცა ყველა თავის საქმეს კარგად ასრულებს, გუნდური თამაშიც გამოდის და მას შედეგიც მოსდევს.

- ლიდერ-აუტსაიდერთა მატჩებისას, როგორც წესი, გახსნილი კალათბურთი მიდის. "აზოტი" კი არც სუსტ მეტოქეებთან იხსნებოდა და თამაშს დაცვიდან იწყებდა...

- მართალია. დაცვას დიდ ყურადღებას ვაქცევდით. სეზონის დასაწყისიდან ბოლომდე ყოველ შეხვედრას დაცვის გასაუმჯობესებლად ვიყენებდით, რამაც შედეგი ფინალებში გამოიღო. სერიის მესამე გადამწყვეტი მატჩისას "აზოტმა" საუკეთესო დაცვითი თამაში უჩვენა. მაგრამ არ მინდა ისე გაიგოთ, თითქოს იოლად მოვახერხეთ ჩემპიონობის მოპოვება. "ავიამშენმა" და თსუმ ღირსეული კონკურენცია გაგვიწიეს. გაიხსენეთ ჩვენი გუნდის მათთან დაპირისპირებები და დარწმუნდებით, რომ ძლიერი მოწინააღმდეგეები გვყავდა.

- უფროსობა გუნდის ევროთასებზე გაყვანას არ გეგმავს?

- ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ "ენერჯი ინვესტმა" "აზოტის" ძლიერ გუნდად ქცევით დიდი საქმე გააკეთა, რისთვისაც მინდა მადლობა ვუთხრა. სწორედ ხელმძღვანელობასთან ერთად მოვხაზეთ გეგმები, მიზნად ჩემპიონობა დავისახეთ და მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ მათ გარჯა დავუფასეთ - სეზონის ოთხი ტიტული მოვიპოვეთ. ხოლო, რაც შეეხება ევროტურნირებს, იქ თამაშის სურვილი უფროსობამ გამოხატა, მაგრამ კონკრეტულად საუბარი ჯერ ადრეა.

- ახალგაზრდული ნაკრების წევრებს, მიხეილ ჭოჭუასა და გიორგი ცეკვავას საკვანძო მატჩებში იშვიათად უხდებოდათ თამაში...

- როგორც უკვე აღვნიშნე, თხუთმეტივე კალათბურთელს თავისი ფუნქცია ჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში, მოედანზე შესული "ანსამბლიდან" ამოვარდნილი ნამდვილად არ იყო. რაც შეეხებათ ცეკვავას, ჭოჭუასა და დიდიას, ისინი უმაღლესი ლიგის პარალელურად ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც თამაშობდნენ და "აზოტი-2"-ის ლიდერებიც იყვნენ. სხვათა შორის, დუბლებშიც ჩემპიონები გავხდით - ფინალურ სერიაში "მაკაბი" 2:0 დავამარცხეთ.

- ჩენი გაზეთისა და კალათბურთის ფედერაციის გამოკითხვის შედეგებზე რას იტყვით?

- ძნელია შედეგს არ დაეთანხმო, კოტე ტულუშს მართლაც კარგი სეზონი ჰქონდა, მაგრამ მასთან ერთად სხვებმაც მაღალ დონეზე ითამაშეს. ამიტომაც, გამოკითხვისას ჩემი სამეულიდან (ტულუში, გამყრელიძე, უგრეხელიძე) უპირატესობა ვერავის მივანიჭე - ქულები თანაბრად გავუნაწილე. ზოგი ფიქრობს, მათთვის საზღვარგარეთ თამაში უკეთესი იქნებოდაო... ვერ დავეთანხმები, რადგან მათთვის ამ ეტაპზე მთავარი სათამაშო პრაქტიკა იყო. თანაც არც ისე ცუდ გუნდში თამაშობდნენ...

- საკლუბო კალათბურთიდან სანაკრებომდე რამდენიმეკვირიანი დასვენება მოგინევთ?

- 4 ივნისს ახალგაზრდული ნაკრები თბილისში იკრიბება და ივლისში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას შევუდგებით.

- შემადგენლობა გარკვეულია?

- თავიდან 15 კალათბურთელს შევკრებთ, სლოვენიაში გამგზავრების წინ კი 12 საუკეთესოს შევარჩევთ.

- შარშანწინ 20-წლამდელთა ნაკრების ძირითად ბირთვს ლეგიონერები შეადგენდნენ. წლეულს უცხოეთიდან ვის ელით?

- ლაშა ფარღალავასა და გიორგი გაფრინდაშვილს. პირველი ამერიკის კოლეჯების ახალგაზრდულ ლიგაში თამაშობდა, ხოლო მეორე - ლატვიის ჩემპიონატში.

- ევროპის ჩემპიონატზე უმთავრესად 1987 წელს დაბადებულები იქნებიან. ჩვენც გვყავს ამ ასაკის რამდენიმე კარგი მოთამაშე (ჭოჭუა, ცეკვავა, დიდია, მიხეილ ბერიშვილი), მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში მათზე ორი წლით უმცროსებიც კარგად ასპარეზობენ.

- გასაგებია, ვისაც გულისხმობთ. 1989 წელს დაბადებულები რიჩარდ მათიაშვილი და გიორგი შერმადინი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულები არიან და 4 ივნისს სხვებთან ერთად ვარჯიშს შეუდგებიან.

- შარშან, A ლიგის საგზური 1986 წელს დაბადებულებმა მოიპოვეს. ის გუნდი სამი წელინადი შენდებოდა, წლეულს კი მთლიანად ახალი გუნდის შეკრება მოგინევთ...

- 1986-წლიანებმა მარკოიშვილმა, სანიკიძემ, ცინცაძემ, გამყრელიძემ, საყვარელიძემ და მათმა მეგობრებმა ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად სამი ეტაპი გაიარეს, შემდეგ ახალგზარდულშიც ორი წელი ითამაშეს და მეტად შეკრული შემადგენლობა იყო. 1987 წელს დაბადებულებს კი მხოლოდ კადეტთა ნაკრებში აქვთ ნათამაშები და უმეტესობას პირველად მოუწევს ერთმანეთის გვერდით დგომა. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, მათთვის ევროპის ჩემპიონატი სერიოზული გამოცდა იქნება. სლოვენიიდან საერთაშორისო გამოცდილებით დაბრუნდებიან.

- კალათბურთის ფედრაცია რა მიზანს გისახავთ?

- მაღალ მიზნებზე საუბარი ძნელია. ჩვენი მთავარი ამოცანა A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება იქნება. ამისთვის საჭიროა, ბოლო ორ ადგილზე არ აღმოვჩნდეთ.

- ევროპის პირველობისთვის მხოლოდ თბილისში მოემზადებით?

- დაგეგმილია შეკრების მოწყობა უკრაინაში, სადაც რამდენიმე საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ. ოღონდ, კიევში გამგზავრების ვადებზე კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ვიტყვი. ახლადშეკრებილი შემადგენლობისთვის ამხანაგური თამაშები აუცილებელი იქნება. შეხვედრებს თბილისშიც ჩავატარებთ.

- ახალგაზრდული გუნდიდან ეროვნული ნაკრების კანდიდატად ვინ ითვლება?

- 20-წლამდელებმა ჯერ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე უნდა უჩვენონ, რა შეუძლიათ და ამის შემდეგ იფიქრონ პირველ ნაკრებზე.

- ივლისის დასაწყისში ეროვნული ნაკრების ის წევრები შეიკრიბებიან, ვინც საქართველოში თამაშობდა...

- წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შარშარდელების გვერდით ახალი კანდიდატებიც იქნებიან. მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი კანდიდატის შერჩევის ფუფუნება არ გვაქვს...

ვაჟა სიმონიშვილი

ქულა

		გუნდი	თ.	თ. ფლ.	ქ ფინ.	ქ ფლ.	ქ. საშ.	ქ. ჯ.	ქ. საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	0	0	0	0.0	639	37.6
2	ზვიად გაგიაშვილი	ავია.	30	6	52	121	20.2	649	21.6
3	ნოდარ ბერაია	სტუ	21	0	0	0	0.0	425	20.2
4	დავით გვიმრაძე	დინამო	26	6	45	79	13.2	421	16.2
5	ბესიკ ლეჟავა	თსუ	31	6	25	77	12.8	482	15.5
6	სოსო შერმადინი	მაკაბი	25	0	0	0	0.0	366	14.6
7	ლეძსო ლაფანაშვილი	დინამო	28	6	60	110	18.3	405	14.5
8	შიო ხეცურიანი	თსუ	27	6	44	79	13.2	385	14.3
9	ირაკლი ბერიშვილი	ავია.	29	6	32	103	17.2	409	14.1
10	ირაკლი ხოფტარია	ავია.	26	3	17	17	5.7	352	13.5
11	გულივერ ახალკაცი	სტუ	25	0	0	0	0.0	338	13.5
12	გიორგი ბარბაძაძე	სტუ	24	0	0	0	0.0	304	12.7
13	გივი ვაშაკიძე	მაკაბი	11	0	0	0	0.0	139	12.6
14	კოტე ტულუში	აზოტი	28	6	40	57	9.5	353	12.6
15	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	27	6	41	77	12.8	330	12.2
16	ლუკა შანიძე	თსუ	31	6	31	55	9.2	370	11.9
17	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	29	6	18	71	11.8	345	11.9
18	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	30	6	34	58	9.7	350	11.7
19	დავით უგრეხელიძე	აზოტი	30	6	43	70	11.7	347	11.6
20	ვაკო ბეჟანიშვილი	აზოტი	25	6	36	50	8.3	287	11.5
21	ირ. გულისაბედ.	დინამო	30	6	42	71	11.8	344	11.5
22	გ. მარკოიშვილი	აზოტი	31	6	34	69	11.5	355	11.5
23	შალვა კოზრეიძე	სტუ	25	0	0	0	0.0	284	11.4
24	დავით მაისურაძე	სტუ	21	0	0	0	0.0	234	11.1
25	ზურაბ ბადრიძე	დინამო	28	6	35	76	12.7	312	11.1

მოსნა

		გუნდი	თ.	თ. ფლ.	მ. ფინ.	მ. ფლ.	მ. საშ.	მ. ჯ.	მ. საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	0	0	0	0.0	239	14.1
2	სოსო შერმადინი	მაკაბი	25	0	0	0	0.0	224	9.0
3	ზვიად გაგიაშვილი	ავია.	30	6	27	55	9.2	262	8.7
4	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	29	6	18	46	7.7	227	7.8
5	დავით უგრეხელიძე	აზოტი	30	6	29	51	8.5	209	7.0
6	გულივერ ახალკაცი	სტუ	25	0	0	0	0.0	171	[illegible].8
7	დავით მაისურაძე	სტუ	21	0	0	0	0.0	139	6.6
8	ალასიდი როდუტა	ავია.	25	6	20	43	7.2	141	5.6
9	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	30	6	11	30	5.0	165	5.5
10	ჟურივეტ ტუჯანი	აზოტი	25	5	11	28	5.6	131	5.2
11	ირაკლი ჯგერენაია	მაკაბი	9	0	0	0	0.0	46	5.1
12	დავით გვიმრაძე	დინამო	26	6	13	25	4.2	132	5.1
13	კოტე ტულუში	აზოტი	28	6	14	21	3.5	133	4.8
14	ნოდარ ბერაია	სტუ	21	0	0	0	0.0	99	4.7
15	შალვა კოზრეიძე	სტუ	25	0	0	0	0.0	117	4.7
16	ლეძსო ლაფანაშვილი	დინამო	28	6	21	37	6.2	131	4.7
17	დავით იმნაძე	თსუ	21	6	22	33	5.5	98	4.7
18	ირაკლი ხოფტარია	ავია.	26	3	12	12	4.0	119	4.6
19	გივი ვაშაკიძე	მაკაბი	11	0	0	0	0.0	49	4.5
20	თორნიკე ნინიაშვილი	ავია.	17	2	0	1	0.5	74	4.4
21	დავით ბარბაძაძე	ავია.	15	6	8	26	4.3	64	4.3

პასი

		გუნდი	თ.	თ. ფლ.	პ. ფინ.	პ. ფლ.	პ. საშ.	პ. ჯ.	პ. საშ.
1	ირაკლი დოლიძე	მაკაბი	25	0	0	0	0.0	147	5.9
2	ბოიან მალეშევიჩი	აზოტი	12	6	9	23	3.8	62	5.2
3	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	28	6	18	28	4.7	139	5.0
4	ირაკლი ბერიშვილი	ავია.	29	6	10	15	2.5	138	4.8
5	შალვა კოზრეიძე	სტუ	25	0	0	0	0.0	115	4.6
6	დავით ბერიშვილი	ავია.	28	6	11	23	3.8	116	4.1
7	ირაკლი ხოფტარია	ავია.	26	3	9	9	3.0	103	4.0
8	კოტე ტულუში	აზოტი	28	6	13	20	3.3	113	4.0
9	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	0	0	0	0.0	68	4.0
10	ლეძსო ლაფანაშვილი	დინამო	28	6	9	18	3.0	103	3.7
11	ზურაბ ბადრიძე	დინამო	28	6	17	28	4.7	101	3.6
12	ნოდარ ბერაია	სტუ	21	0	0	0	0.0	74	3.5
13	შიო ხეცურიანი	თსუ	27	6	9	15	2.5	95	3.5
14	ბუბა ბერიშვილი	თსუ	30	6	13	22	3.7	99	3.3
15	გიორგი ნიკოლაძე	ავია.	30	6	6	16	2.7	94	3.1
16	ნიკო ნოზაძე	დინამო	31	6	8	13	2.2	97	3.1
17	გ. პირველაშვილი	მაკაბი	24	0	0	0	0.0	75	3.1
18	ირ.გულისაბედაშ.	დინამო	30	6	10	16	2.7	90	3.0

ჩაჭრა

		გუნდი	თ.	თ. ფლ.	ჩ. ფინ.	ჩ. ფლ.	ჩ. საშ.	ჩ. ჯ.	ჩ. საშ.
1	ბუბა ბერიშვილი	თსუ	30	6	8	17	2.8	79	2.6
2	შალვა კოზრეიძე	სტუ	25	0	0	0	0.0	61	2.4
3	ნიკო ნოზაძე	დინამო	31	6	6	14	2.3	65	2.1
4	ი. გულისაბედაშვილი	დინამო	30	6	5	11	1.8	61	2.0
5	ზურაბ ბადრიძე	დინამო	28	6	11	16	2.7	56	2.0
6	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	28	6	2	8	1.3	55	2.0
7	ირაკლი დოლიძე	მაკაბი	25	0	0	0	0.0	49	2.0
8	კოტე ტულუში	აზოტი	28	6	5	10	1.7	54	1.9
9	ნოდარ ბერაია	სტუ	21	0	0	0	0.0	39	1.9
10	ლ. ლაფანაშვილი	დინამო	28	6	4	11	1.8	47	1.7

დაფარება

		გუნდი	თ.	თ. ფლ.	დ. ფინ.	დ. ფლ.	დ. საშ.	დ. ჯ.	დ. საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	0	0	0	0.0	39	2.3
2	ალასიდი როდუტა	ავია.	25	6	5	9	1.5	27	1.1
3	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	29	6	1	5	0.8	31	1.1
4	გულივერ ახალკაცი	სტუ	25	0	0	0	0.0	13	0.5
5	დავით უგრეხელიძე	აზოტი	30	6	1	3	0.5	15	0.5
6	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	30	6	2	3	0.5	15	0.5
7	დავით გვიმრაძე	დინამო	26	6	2	2	0.3	13	0.5
8	ზვიად გაგიაშვილი	ავია.	30	6	2	2	0.3	14	0.5
9	გივი ვაშაკიძე	მაკაბი	11	0	0	0	0.0	5	0.5

შეცდომა

		გუნდი	თ.	თ. ფლ.	შ. ფინ.	შ. ფლ.	შ. საშ.	შ. ჯ.	შ. საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	17	0	0	0	0.0	115	6.8
2	ირაკლი დოლიძე	მაკაბი	25	0	0	0	0.0	113	4.5
3	შალვა კოზრეიძე	სტუ	25	0	0	0	0.0	109	4.4
4	გ. პირველაშვილი	მაკაბი	24	0	0	0	0.0	90	3.8
5	ზურაბ კოჩოტაძე	მაკაბი	25	0	0	0	0.0	91	3.6
6	ნოდარ ბერაია	სტუ	21	0	0	0	0.0	75	3.6
7	სოსო შერმადინი	მაკაბი	25	0	0	0	0.0	78	3.1
8	დავით მაისურაძე	სტუ	21	0	0	0	0.0	63	3.0
9	გიორგი ბარბაძაძე	სტუ	24	0	0	0	0.0	71	3.0
10	გულივერ ახალკაცი	სტუ	25	0	0	0	0.0	73	2.9
11	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	28	6	5	13	2.2	78	2.8
12	ბესიკ ლეჟავა	თსუ	31	6	6	10	1.7	85	2.7

თ. - თამაში (ფლეი ოფსა და რეგულარულში); თ.ფლ.-თამაში ფლეი ოფში; ქ. ფინ.-ქულა ფინალში; ქ.ფლ.-ქულა ფლეი ოფში; ქ.საშ.-ქულა საშუალოდ (ფლეი ოფში); ქ.ჯ. - ქულათა ჯამი (ფლეი ოფსა და რეგულარულში);

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდრაჭი

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

ფრე ჩინეთთან, ერთადერთი მიღწევა

მაია ჩიბურდანიძე.

გუნდში საუკეთესო შედეგი ლელა ჯავახიშვილს ჰქონდა

ნოვაციამ, ცხადია, გაამართლა - მსოფლიოს საჭადრაკო რუკაზე კიდევ ერთი დიდი ტურნირი გაჩნდა, მაგრამ თუკი შემდეგში არ გაითვალისწინეს პირველი ტურნირის შეცდომები და გამოცდილება, დიდ პოპულარობას ვერ მოიპოვებს. ჩვენ ვწერდით, რომ გუნდების შერჩევის სისტემა არ იყო სწორი; საერთოდ, რა კრიტერიუმებით მოხდა მიწვევა, ესეც ვერ გავარკვიეთ. ტურნირის მსვლელობის დროს აქა-იქ გაჩნდა მოსაზრებები, თითქოსდა, ეკატერინბურგში ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ძლიერმა გუნდებმა, უფრო სწორად ქვეყნების ფედერაციებმა არ ისურვეს ციმბირში ჩასვლა - აქაოდა, ეკატერინბურგი ინდუსტრიული ქალაქია, ჰავა იქ მძიმე და უვარგისია და წვალებად არ ღირსო.

ჩვენის აზრით, სუსტი არგუმენტია. არა მგონია, ისრაელის თაკარა მზეში უფრო იოლი იყოს თამაში, ვიდრე მაისის ეკატერინბურგში (ისრაელში, აშდოდში, გახსოვთ, 2005 წელს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი გაიმართა კაცთა შორის, სადაც ასევე 10 გუნდი იყო შერჩეული). შესაძლოა, ვიღაცამ უარი თქვა, მაგრამ ყველა ერთად პირს არ შეკრავდა და მასპინძლებს და ორგანიზატორებს მეტი მარიფათის გამოჩენა მართებდათ; მით უფრო, წინასწარ იყო ცნობილი, რომ ინდოეთის ნაკრები სათადარიგო ვარიანტი იყო. ბოტსვანა თუ ძირითადის ღირსია და ინდოეთი სათადარიგო, ამობრუნებულა ქვეყანა და ეს არის. სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა აფრიკელებზე ცუდის თქმა; არც ქილიკს ვაპირებდი, მაგრამ 36 პარტიაში ერთ ყაიმსაც რომ ვერ მიაღწევს გუნდი?

ახლა ჩვენი სატკივარიც ვთქვათ. სამწუხაროდ, ქართული ჭადრაკი ბოლო დროს მართლაც სატკივრად უფრო გვექცა, ვიდრე სიხარულად. მიზეზებზე აღარ ვიტყვით, იმას კი აღვნიშნავთ; რომ ოთხი თანაბარი სიძლიერის, მაღალი კლასის მოჭადრაკეთა შეყრა ერთ გუნდად ვერ მოხერხდა: ოლიმპიადებზეც ამის გამო დავთმეთ პოზიციები, ევროპის ჩემპიონატზეც და ახლა უკვე მსოფლიო ჩემპიონატზეც მოგვეცარა ხელი. საქართველოს ქალთა ნაკრები მყარად ჩამოყალიბდა მეორე ეშელონის გუნდად და თუკი სადმე სამეულს, ანუ მესამე ადგილს გამოკრა ხელი, დიდ წარმატებად ეთვლება.

ჯერჯერობით მესამესაც ვერ ვწვდებით - 2002 წლის ბლედის ოლიმპიადაზე მეოთხე ვიყავით; 2004 წელს კალეიაში მესამე-მეოთხე გავიყავით, მაგრამ კოეფიციენტით მეოთხეზე გადავედით; შარშანდელ ტურინის ოლიმპიადაზე კი - მეოთხე-მეექვსე ადგილზე გავედით და მეექვსე გავხდით კოეფიციენტით. საქმე სახარბიელოდ არ არის. ამაზე ისიც მეტყველებს, რმო პირველ დაფაზე მთავარ დარტყმას კვლავ **მაია ჩიბურდანიძე** იღებს, რომლის ასაკიც, დასამალი რაა და 46 წელია! ახალგაზრდობა მხარს ვერ უბამს ჩიბურდანიძეს, თუ არ ჩავთვლით **ლელა ჯავახიშვილს**, რომელმაც ეკატერინბურგშიც ბრწყინვალედ იასპარეზა და საერთოდაც, გუნდში ყოველთვის სტაბილურად ძლიერად თამაშობს. ლელას ნდობა, ვფიქრობ, შემდგომშიც შეიძლება და ყოველგვარი შესარჩევის გარეშე - სწორედ ისე, როგორც ვენდობით ჩიბურდანიძეს. სხვებს კი მართლაც დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ.

უდიდესი გამოცდილება აქვს **ნინო ხურციძეს**, მაგრამ არასტაბილურობა დასჩემდა და ერთ პარტიას რომ ბრწყინვალედ ჩაატარებს, მომდევნოში შესაძლოა ახალბედასავით შეცდეს. არადა, თუ გვინდა ძველებური გამარჯვებები მოვიპოვოთ, სტაბილურობაა მთავარი. ახალბედებმა **სოფიკო ხუხაშვილმა** და **სოფიო გვეტაძემ** ვერ დაძლიეს სადებიუტო მღელვარება და სუსტად ითამაშეს. ასეა, ნაკრებში თამაში უდიდესი პასუხისმგებლობაა - იმ მეტოქეს, რომელსაც შესაძლოა მატჩში დიდი ანგარიშით აჯობო, სანაკრებო შეხვედრაში ეგებ ვერაფერიც დააკლო. აქ გამოცდილებაა ბევრის მთქმელი, ამიტომ მთავარია, კარგად ისწავლონ საკუთარ შეცდომებზე.

ცხადია, გუნდის დაბრუნების შემდეგ ცუდად გამოსვლის მიზეზებზე დავეკითხებით ნაკრების მესვეურებს, მაგრამ გვგონია, რომ ვიცით, რა უნდა გვიპასუხონ, **ნინო გურიელი** გამგზავრებამდეც ამბობდა - ნაკრების ამ წესით დაკომპლექტების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ჩემი აზრი არ გაითვალისწინესო...

ბოლო ტურში ქართველები სომხებს ხვდებოდნენ. აქ ბრძოლა არ შედგა და ყველა დაფაზე მალევე გაფორმდა ყაიმები. საერთო ანგარიში - 2:2 (ჩვენგან თამაშობდნენ ჩიბურდანიძე, ხურციძე, **ხუხაშვილი** და **გვეტაძე**); შედეგად - პლუს ერთი ქულა და მეოთხე ადგილი, სომხებს კი ამ ქულამ ვერაფერიც ვერ შესძინა - მერვეზე დარჩნენ. მართალია, გვქონდა თეორიული შანსი, რომ მესამეზე გავსულიყავით, მაგრამ ამისთვის უკრაინელებს ვიეტნამელებთან უნდა წაეგოთ. ასეთი ვარიანტის რომ არ გვჯეროდა, გუშინდელ ნომერშიც ვთქვით, მართლებიც აღმოვჩნდით - უკრაინელებმა იქით გაანადგურეს აზიელები - 3,5:0,5. რუსებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოტსვანას 4:0 მოუგეს, ჩინელებმა კი ბოლო ტურში ოდნავ დაზოგეს ძალები და გერმანიას მინიმალური ანგარიშით - 2,5:1,5 აჯობეს.

საქართველოს ნაკრებს ეკატერინბურგიდან ნუგეშად ის თუ წამოყვება, რომ ერთადერთი ქულა დააკარგვინა მსოფლიო ჩემპიონ ჩინეთს - 2:2.

ზვიად შათირიშვილი

ბოლო ტური

უკრაინა-ვიეტნამი	**3,5:0,5**
სომხეთი-საქართველო	**2:2**
ჩინეთი-პოლონეთი	**0,5:3,5**
ბოტსვანა-რუსეთი	**0:4**
გერმანია-ჩინეთი	**1,5:2,5**

საბოლოო მდგომარეობა: 1. ჩინეთი - 17 (30,5); 2. რუსეთი - 15 (24); 3. უკრაინა - 14 (23); 4. საქართველო - 11 (20); 5. პოლონეთი - 9 (19,5); 6. გერმანია - 8 (18); 7. ვიეტნამი - 8 (16,5); 8. სომხეთი - 5 (17); 9. ჩეხეთი - 3 (11,5); 10. ბოტსვანა - 0 (0).

ჩოგბურთი

შანსი სტამბოლში

სტამბოლში WTA-ტურის 200-ათასიანი ტურნირის დასრულების შემდეგ (სადაც **ანა ტატიშვილმა** და **სოფიო შაფათავამ** იასპარეზეს), გაცილებით მცირე მასშტაბის ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. შეჯიბრება ჰარდზე მიმდინარეობს. თუკი სოფიო შაფათავა WTA-ტურნირის საკვალიფიკაციო წრეში გამოვიდა, აქ მას ძირითად ბადეში მე-7 ნომრად განთესვის პატივი ერგო. მის გარდა კიდევ სამი ქართველი ჩოგბურთელი თამაშობს: **მანანა შაფაქიძე** (განთესვის მე-8 ნომერი), **სოფიო ქვაცაბაია** და **თინათინ ყავლაშვილი**.

შაფათავას მეტოქე პირველ წრეში თურქი ჩოგბურთელი **ეილულ ბენლი** (1059) იყო, ქართველმა იოლად იმარჯვა - 6:2, 6:1. ძალიან ადვილად გადალახა პირველი ბარიერი მანანა შაფაქიძემ, მან ბელგიელი **სილვია კეეოლი** დაამარცხა - 6:0, 6:0. მოიგო სოფიო ქვაცაბაიამაც, მანაც ყველაფერი ორსეტში მომამთავრა გერმანელ **ტრეისი კასტილიოსთან** მატჩში - 6:2, 6:2. პირველ წრეში თინათინ ყავლაშვილი ავსტრალიელ **ჯეიდ ჰოპერს** შეხვდება.

წინ როლან გაროსია

გუშინ 18-წლამდელთა ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგ-ლისტი გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც 16 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა** 6 საფეხურით წაინია წინ და მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ორმოცდაათეულში კვლავ შევიდა. ლაზარე 49-ე ჩოგანია, თუმცა ნანვარში ის 36-ეც იყო. კუხალაშვილის "ტროფეო ბონფილიოზე" მერვედფინალში გასვლა დაუფასდა. **გიორგი ჭანტურია** რეიტინგში 324-ე ადგილზეა, ხოლო **რევაზ ოსაძე** - 546-ე. 18-წლამდელთა ასპარეზს გაუშინაურდა 15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილიც**, რომელიც უკვე 648-ე პოზიციაზე იმყოფება.

ოქსანა კალაშნიკოვამ ცუდად ითამაშა "ტროფეო ბონფილიოზე", რაც უმალ აისახა მის რეიტინგზე, ოქსანამ ხუთი საფეხურით უკან დაიხია და ის მსოფლიოს 30-ე ჩოგანია ახალგაზრდებში. **ანა ტატიშვილი** წელიწადია უკვე აღარ თამაშობს ამ ტურნირებში, ის რეიტინგში ჯერ კიდევ არის, თუმცა მხოლოდ 857-ე პოზიციაზე, **ეკა გორგოძე** კი 929-ეა.

ლაზარე კუხალაშვილი და ოქსანა კალაშნიკოვა 3 ივნისიდან "როლან გაროსის" ახალგაზრდულ ტურნირში ჩაებმებიან. მანამდე ოქსანა მე-8 ნომრად განთესეს შარლერუას პირველი კატეგორიის ტურნირ "ასტრიდ ბოულზე". პირველ წრეში ის ისვენებდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფარიკაობა

ორი ტურნირი ივნისში

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია მალე ზედიზედ ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებას ჩაატარებს.

8-10 ივნისს, ვაკეში, ფარიკაობის დარბაზში, გაიმართება საქართველოს 17-წლამდელთა პირველობა. 15-17 ივნისს კი მოვლენათა ეპიცენტრი გადაინაცვლებს დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში, სადაც საერთაშორისო ტურნირი ჩატარდება. ამ ტურნირს ჩვენი ფარიკაობის შეფებმა ორი წლის წინათ ჩაუყარეს საფუძველი და აქამდე მაისის შუა რიცხვებში ატარებდნენ. თუმცა, წლეულს შეჯიბრებამ ერთი თვით გადაიწია. წლევანდელ საერთაშორისო ტურნირზე ირანელი, აზერბაიჯანელი, სომეხი და თურქი მოფარიკავეები ჩამოვლენ.

ჭიდვა

ორი ბრინჯაო და ერთი გასანაღდებელი ოქრო

უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში დასასრულს უახლოვდება კოსმონავტ პოპოვიჩის სახელობის ახალგაზრდული ტურნირი. მწვრთნელმა **ბეჟან ჭიჭინავამ** უკრაინაში ხუთი მოკრივე წაიყვანა.

ხელმძღვანელობა ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი გუნდის დანარჩენ კანდიდატებს სხვა შეჯიბრებაზე მისცემს თავის გამოჩენის შანსს.

როგორც გუშინ საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** გვაცნობა, ბრინჯაოს მედლები მოუპოვებიათ **კახა ლაზარაშვილსა** (54 კგ) და **გაგა ელიაშვილს** (75 კგ). ამ მოკრივეებმა წლეულს თავის ასაკში ქვეყნის ჩემპიონობა იოლად მოიპოვეს, უფროსთა ეროვნულ ჩემპიონატში კი პრიზიორები გახდნენ და არც საერთაშორისო ტურნირებზე ირცხვენენ თავს. ამიტომ, წესითა და რიგით, ევროპის პირველობაზე აუცილებლად უნდა მოხვდნენ.

კიევში კიდევ ერთი მედალოსანი გვყავს. კერძოდ, **არტიომ კულახსზიანი** (60 კგ) ფინალში გავიდა, სადაც გუშინ, გვიან საღამოს უნდა ეჩხუბა. ასე, რომ, მას მინიმუმ ვერცხლის მედალი ჯიბეში აქვს, რომლის "ოქროდ" ქცევა შეუძლია. კულახსზიანმა ოქრო რომც ვერ მოიპოვოს, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობისკენ მაინც დიდ ნაბიჯს გადადგამს. მან უშუალო კონკურენტ **ამირან ჯანჯღავას** საქართველოს ახალგაზრდულ პირველობაზეც აჯობა და უკრაინაშიც დაგვანახა, რომ საერთაშორისო ასპარეზზეც შეუძლია წარმატების მიღწევა.

კობა ხატისაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. U-12

დები ბიჭების ჭურნირში

"სავარდო და სამაისოს" სახელით გამართული ორდღიანი ტურნირის შემდეგ, რომელიც 15-16 მაისს გაიმართა ქუთაისის საჭადრაკო კლუბ "მაიაში", ერთმანეთს 12 წლამდე ასაკის გოგო-ბიჭები დაუპირისპირდნენ და საქართველოს ჩემპიონატის მედლები გაითამაშეს. ამით საქართველოს ჩემპიონატები ასაკობრივ ჯგუფებში დასრულდა.

გოგონებში 32 მონაწილე იყო, ვაჟებში კი - 93, თუმცა აქაც ორი გოგონა იყო - ორივე გვარად **ხომერიკია - ნინო და ქეთევანი**. აღსანიშნავი ისიც არის, რომ გოგონები საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, **გოგი ხომერიკის** შვილები გახლავან. შვილების შესაძლებლობები კარგად შეაფასა გამოცდილმა მწვრთნელმა და გეგმასტრატეგია დასახა - გოგონებს მხოლოდ ვაჟებში ათამაშებს და იშვიათად, რომ თანატოლებთან გააჯიროს. ასეთი მიდგომა უბრალო ახირება არ გეგონოთ - ორივენი ამართლებენ იმედებს და ამ მხრივ ქუთაისური ტურნირი განსაკუთრებული გამოდგა - ნინო ხომერიკმა, რომელიც მხოლოდ 9 წლის გახლავთ და თავის დაზე ერთი წლით უმცროსია, უდიდესი სენსაცია შემოგვთავაზა - 9 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა და 2-3 ადგილები გაიყო; უარესი კოეფიციენტის გამო კი, მეორე ადგილი **აკაკი რუხაძეს** დაუთმო.

აშკარაა, მამის მეთოდი ამართლებს, - ქეთევანმაც არ ითამაშა ცუდად და 4.5 ქულით 54-ე ადგილზე გავიდა, როცა რეიტინგით 90-ე იყო; ამ მაჩვენებლით ნინო ხომერიკი 89-ე გახლდათ.

ვაჟთა ტურნირზე ამით შეიძლებოდა დაგვესრულებინა საუბარი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მეორე შესანიშნავი შედეგი, რომელიც **ირაკლი ბერაძემ** აჩვენა - 9-დან 8.5 ქულა. ირაკლი ყოველ წელიწადს ამტკიცებს საკუთარ ძალას და ახლაც ერთი ამოსუნთქვით მოიგო საქართველოს ჩემპიონატი.

გოგონათა შორის 7 ქულით **ნატო იმნაძემ** გაიმარჯვა. ამდენივე დააგოვა **ნანი უნაფქოშვილმა**, მაგრამ კოეფიციენტი ნატოს აღმოაჩნდა უკეთესი. პირველ ნომრად გოგონებში **თეკლა მაჭარაშვილი** იყო განთესილი, მეორე უნაფქოშვილი გახლდათ. თეკლამ 5.5 ქულა დააგროვა და მეექვსე ადგილი დაიჭირა. ნატო იმნაძეს განთესვის ნომერი 15 ჰქონდა და ამიტომაც გახდა მოულოდნელი მისი წარმატება. თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ნატოც გოგი ხომერიკის მოსწავლეა და მწვრთნელი ნატოსაც ვაჟთა შორის თამაშს ურჩევს. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა თანატოლთა შორის ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატის საგზურებია მოსაპოვებელი. ნატომ, სხვათა შორის, თბილისის ჩემპიონატზე გაიმარჯვა ვაჟთა შორის, ასე რომ, ხომერიკის მეთოდი შედეგს იღებს და ვინძლო, პოლგარების ცნობილი ისტორიის ქართული ვერსიაც მივიღოთ...

შეგახსენებთ, პირველ ადგილზე გასულნი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს იღებენ, მეორეზე კი - ევროპის ჩემპიონატისას.

გოგონები: 1. ნატო იმნაძე-7; 2. ნანი უნაფქოშვილი-7; 3. ანა შამათავა-6.5; 4. მარიამ სამურკასოვი-6.5; 5. ასმათ სალდაძე-6.

ვაჟები: 1. ირაკლი ბერაძე-8.5; 2. აკაკი რუხაძე-7; 3. ნინო ხომერიკი-7; 4. რატო ცომაია-7; 5. გოგი ლომიძე-6.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში. ამოცანები ორგანიზატორებს ცნობილმა ქართველმა საჭადრაკო კომპოზიტორმა **დავით გურგენიძემ** მიაწოდა.

გოგონებში პირველ ადგილზე 30 ქულით თბილისელი **ანა კუჭავა** გავიდა; მეორეზე - ფოთელი **მარიამ სამურკასოვა**, 28 ქულით; მესამე ადგილი ქუთაისელ **მარიამ ფაჩუაშვილს** ერგო - 36.6 ქულა.

ვაჟებში პირველი ადგილი ქუთაისელმა **გიორგი დანგაძემ** დაიკავა - 28 ქულით. მეორეზე თბილისელი **გიორგი ლომიძეა** - 28 ქულით; მესამე ადგილი ქუთაისელი **ალექსი ჩხიკვაძის** სარგო გახდა - 28 ქულა.

შენიშვნა: თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა მოჭადრაკეს, რომელიც უფრო სწრაფად ამოხსნიდა ამოცანებს.

ტურნირების ორგანიზატორი იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია იყო, დირექტორი - ამავე ფედერაციის გენერალური მდივანი - **ალექსანდრე არსენიძე**.

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N56, 2006

ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

როგორც ვნახეთ, 1985 წელს საქართველოში სპორტული ცხოვრება ყველა მიმართულებით გაიშალა. მართალია, ჩვენს საუბრებში ყურადღებას ვერ ვამახვილებთ მასობრივ სპორტზე, უნდა ითქვას, რომ ფიზიკულტურულ კოლექტივებში საქმიანობა ერთიან სისტემაში იყო ჩართული პრინციპით - "მასობრიობიდან ოსტატობისკენ"! და ამით, ყველაფერი იყო ნათქვამი. საბჭოთა სპორტი მძლავრ ინდუსტრიად იქცა, და აქ ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია საქართველოს ეკავა. მაგრამ დავუბრუნდეთ ძირითად ასპარეზობებს...

კახა წაქაძე



ლეილა მესხი


გურამ ბიგანიშვილი

სამთო თხილამურები. ყველაზე თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია 17 წლის წაღვერელმა სპორტის ოსტატმა **ელგუჯა ორჯონიკიძემ**. იმ წელს, ის ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებაში ("ჩრდილოეთის დღესასწაული", ქალაქი კიროვსკი), საშუალო ტრამპლინზე, უძლიერესი იყო ორჭიდში. საქართველოს ნაკრებმა კი მთავარი პრიზი მოიგო, უკან ჩამოიტოვა რა რსფსრ-ისა და ესტონეთის გუნდები. შემდეგ, ორჯონიკიძე ტერესკოლში, ასევე ტრადიციულ ასპარეზობაში ჩაება და სპეციალურ სლალომში მესამე პრიზიორი გახდა. იგივე ჯილდო მოიგო მან საკავშირო ტურნირში (პერმი), ყინულოვან ტრასაზე და კვლავ სპეციალურ სლალომში. ჭაბუკთა ზამთრის პირველ საკავშირო თამაშებში (კიროვსკი) საქართველოდან წარმატება ნილად ხვდა მხოლოდ **იბრაგიმ გობოზოვს**. ეს ბაკურიანელი სპორტსმენი მესამე იყო 50-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ამავე სპორტსმენის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა საკავშირო ტურნირი "ვერცხლის თასზე" (სვერდლოვსკი) - პირველი ადგილი სამივე ტრამპლინის ჯამში. აქ მეორე ადგილზე გავიდა ასევე ბაკურიანელი, ლეგენდარული **კობა წაქაძის** ვაჟი **კახა წაქაძე**. საერთაშორისო კალენდარში პირველად გაჩნდა მოთხილამურე არქიტექტორთა ტურნირი. ამ პირველ საერთაშორისო ასპარეზობას ბაკურიანმა უმასპინძლა. საქართველოდან **კოკა ურუშაძემ** მოიპოვა უძლიერესის სახელი სწრაფდაშვებაში, მეორე-მესამე ადგილები კი შესაბამისად, დაიკავეს ძმებმა - **ზაზა** და **კონსტანტინე იაშვილებმა**. სპეციალურ სლალომში მეორე იყო **ვახტანგ მიქელაძე**. კ. იაშვილი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა სამჭიდში, საშუალო ასაკის მოასპარეზეთა შორის.

ფიგურული სიგურაობა. საერთაშორისო ტურნირში ("ვენის თასი", ქალაქი ვენა) ვერცხლის მედალი მოიპოვა 18 წლის თბილისელმა **ანდრეი ტოროსიანმა**. შემდეგ, ის მთავარ პრიზს ("ბროლის თასი") ეუფლება პროფკავშირების ეგიდით, დიდ საერთაშორისო ტურნირში (როსტოვი), ამასთან, ის სავალდებულო და ნებისმიერ პროგრამაში პირველობას არავის უთმობს, მოკლე პროგრამაში კი ვერცხლის მედალს სჯერდება. იმ წლებში, საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე ციგურებით რბენაში ნარმატებით გამოდიოდა პირველი ქართველი ოსტატი **ინგა გილაური**, რომელიც თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. ის სსრკ თასის გათამაშებაში მესამე ადგილზე გავიდა (2000 და 1500 მ), ვერცხლის მედალი დაიმსახურა სსრკ ჩემპიონატში (მოსკოვი), რბენაში. ერთხანს, ის სსრკ ნაკრებშიც შეიყვანეს.

ცურვა. 200 მ. თავისუფალი სტილით და ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში ქუთაისელი **ირინა გერასიმოვა**, შესაბამისად, ბრინჯაოსა და ვერცხლის მედალს დაეუფლა სსრკ ჩემპიონატში (ბაქო). სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებს შორის საკავშირო თასის გათამაშებაში (ზაპოროჟიე) საქართველოს სახელით არმიელი **სერგეი კიშკო** გამოდიოდა და ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

წყალში ხტომა. სპეციალისტთა შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია უნიჭიერესი გოგონა **დიანა მჭედლიძე**. საკავშირო თასის გათამაშებაში (მოსკოვი) მისი გამარჯვებით დასრულდა ტრამპლინიდან მხტომელთა პაექრობა. თბილისში მოიგო ჭაბუკთა შორის სსრკ პირველობა (1 მ. ტრამპლინი). ეს ტურნირი მოიგო **გიორგი ჩოგოვაძემაც** (3 მ. ტრამპლინი). ორივე სპორტსმენი გამოვიდა ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებშიც. მჭედლიძე (1 მ. ტრამპლინი) ჩემპიონი გახდა, ჩოგოვაძე ვერცხლის პრიზიორი (კოშკი). ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **ანა როსტიაშვილი** (კოშკი). პრალის საერთაშორისო ტურნირში (3 მ. ტრამპლინიდან ასპარეზობაში) **ნანა ქარდავა** მეორე იყო, მჭედლიძე კი მესამე. მჭედლიძის თანაგუნდელებიდან, საკავშირო თასზე ჩოგოვაძესა და **ელენე ბილიოვას** მესამე ადგილი ხვდათ წილად კოშკიდან ხტომებში. პროფკავშირთა საკავშირო პირველობიდან შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ **გოჩა გახარია** (7 მ. ტრამპლინი) და **საიხა კაიფაჯანი** (კოშკი).

აფროსნობა. 1985 წელს, ამ სახეობიდან საქართველოს ისტორიაში ოთხი გამარჯვება შევიდა და ოთხივე **გურამ ბიგანიშვილის** წილად. "ვარსკვლავის კლასში" ის იგებს საბჭოთა სამხედრო ძალების პირველობას, საკავშირო თასის გათამაშებას, "ბალტიის რეგატასა" (ტალინი) და "შავი ზღვის რეგატას" (სოჭი).

ნიჩბოსნობა. მედლები მოაქვთ მხოლოდ ჭაბუკებსა და იუნიორებს. **კახა ლომიძე** ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ოქროს მედალს დაეუფლა 500 მ. ბაიდარებით ასპარეზობაში, მეორე იყო ორადგილიან ნავში (1000 მ.) და მესამე - ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში. ასპარეზობის ოქმში ფიგურებს ვინმე **ქაშაკაშვილი**, რომელიც მეორე ადგილზე გასულა, როგორც ოთხადგილიანი ნავებით მოასპარეზეთა ერთ-ერთი ეკიპაჟის ნევრი. **კახა ლომიძემ** მოიგო იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატიც სსრკ ნაკრებში (ოთხადგილიანით). სარატოვის ოლქის ქალაქ ენგელსში გაიმართა ტურნირი ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების პროგრამით. ვერცხლის პრიზიორი (ორადგილიანი მესაჭით) გახდა საქართველოს ეკიპაჟი (**ნიკოლოზ გაბრიჩიძე, მირიან დევიძე,** მესაჭე **ტრისტან ბინაძე**). ერთადგილიანი ნავებით მოასპარეზეთა შორის ფინიშთან მესამე იყო **გოჩა ელკანიშვილი**, ასევე მესამე იყო ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟი მესაჭის გარეშე - **ზურაბ თომაშვილის, მერაბ ჩიქობავას, ოლეგ რუდენკოსა** და **ჯამბულატ კანდელაკის** შემადგენლობით.

მეკლდეურობა. საკავშირო ჩემპიონატის წინ, გაგრაში, იოფშარას ხეობაში, ჩატარდა მიხეილ ხერგიანის სახელობის საკავშირო მემორიალი. ინდივიდუალურ გარბენში ყველას აჯობა **ზინა ჭკადუამ**, ვაჟებში მეორე იყო **გულადი უმფერიანი**; წყვილთა გარბენი მოიგეს **ზინა** და **ეკატერინე ჭკადუებმა**, ვაჟებში მესამე ადგილზე გავიდა **უმფერიან-ბენაშვილის** წყვილი.

ჭადრაკი. ქვემოთ ოცამდე სხვადასხვა დონის ასპარეზობაში ქართველ მოჭადრაკეთა გამოსვლის შედეგებს გაგაცნობთ. ცხადია, აქ ქალთა წარმატებები სჭარბობს. ამთავითვე ვიტყვით, რომ 1985 წლის შედეგების მიხედვით, ფიდე-მ გამოაქვეყნა ქალთა და ვაჟთა საუკეთესო ათეულები. რჩეულთა შორის, ქალებიდან პირველ ნომრად დასახელდა **მაია ჩიბურდანიძე**, ათეულში მეოთხე ნომრად შევიდა **ნონა გაფრინდაშვილი**, მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყვეს **ნანა ალექსანდრიამ** და **ნანა იოსელიანმა**. საჭადრაკო "ოსკარი" ზედიზედ მეორედ გადაეცა **მაია ჩიბურდანიძეს**. ახლა კი კონკრეტულად ასპარეზობების შესახებ. იუგოსლავიის ქალაქი იაცე. ქალთა ტრადიციული, რიგით მეოთხე საერთაშორისო ტურნირი. დასკვნითი ტური. **ნანა იოსელიანი** ხვდება **ირინა ლევიტინას** (ლენინგრადი). ლევიტინას ყაიმიც აძლევს ხელს პირველობის მოსაპოვებლად, მაგრამ ქართველი მოჭადრაკე მძაფრ ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევს. მეტოქეებმა პირველი-მეორე ადგილები 10-10 ქულით გაიყვეს. შემდეგ, ლევიტინამ თბილისის საერთაშორისო ტურნირშიც ითამაშა და ისევ ნანა იოსელიანთან გაიყო ადგილები, ოღონდ, ამჯერად მესამე-მეოთხე. პირველობა მოიპოვა **ქეთევან არახამიამ**. მაგრამ არახამიას მთავარი წარმატება წინ იყო: ის მსოფლიო ჩემპიონი გახდა გოგონათა შორის (ქალაქი დობრნა, იუგოსლავია). კვლავ გაიბრწყინა **ნონა გაფრინდაშვილმა**. მან მოიგო საფრანგეთის დიდი საერთაშორისო ტურნირი და მეხუთედ გახდა სსრკ ჩემპიონი (ერევანი). ჩიბურდანიძე ერთადერთი ქალი იყო, რომელიც იმ წელს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (ბანია-ლუკა, იუგოსლავია) ჩაება და გასაოცარ შედეგსაც მიაღწია: დაუმარცხებლად მოიპოვა პირველობა. ზემოხსენებულ სსრკ ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალს დაეუფლა **ნინო გურიელი**. საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში (ვოლგოგრადი) საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ჩაება: **ნანა ალექსანდრია, თამაზ გიორგაძე, ედუარდ გუფელდი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა იოსელიანი, ბუხუტი გურგენიძე, გენადი ზაიჩიკი, ზურაბ სტურუა**. ჩვენი ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა. ქართველი მოჭადრაკეები წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო ნაკრებშიც. **ზურაბ აზმაიფარაშვილმა,** მაგალითად, მეორედ მოიგო მსოფლიოს პირველობა (ბუენოს-აირესი) ახალგაზრდებს შორის. კოლუმბიაში საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა **თამაზ გიორგაძემ**. ასევე საერთაშორისო ტურნირში (ვარნა, ბულგარეთი) გაიმარჯვა **ელიზბარ უბილავამ**. მანვე, ჯერ ანგოლაში მოიგო საერთაშორისო ტურნირი, ხოლო შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში - ამ ქვეყნის ღია პირველობა. ძლიერი ნაკრები ჰყავდა საქართველოს სპორტსაზოგადოება "კოლმეურნეს". ამ გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ **ელენე ახმილოვსკაია, ჰენრიეტა ლაგვილავა, ბუხუტი გურგენიძე, დავით ჩაჩიბაია, გოჩა თორია, გია გოგოლაძე,** პირველობა მოიპოვა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშებში (ნახჭევანი). ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშებიდან (ლენინგრადი) საქართველოს ნაკრები (**თამაზ ტაბატაძე, კახა ჯანჯღავა, დავით ლობჟანიძე, ხვიჩა სუპატაშვილი, აკაკი შალამბერიძე, ქეთევან არახამია, ცირა მერეკლიშვილი, ქეთევან კახიანი**) შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე (სოჭი) კი მეორე ადგილი დაიკავა **ქეთევან კახიანმა**. დაბოლოს, საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში საერთაშორისო კონკურსში მეორე საპრიზო ადგილი დაიმსახურა საგარეჯოელმა **დავით გურგენიძემ**.

წყალბურთი. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი ხდება **მიხეილ გიორგაძე**. მსოფლიო უნივერსიადაზე (კობე, იაპონია) ოქროს მედალს ეუფლება **დევი გვახარია**. მოზარდ წყალბურთელთა საკავშირო ტურნირს იგებს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები.

ხელბურთი. თელავმა იმდენად გაითქვა სახელი, რომ "სწრაფი ბურთის პრიზზე" მოსწავლეთა საკავშირო პირველობის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. ეს ტურნირი საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. ამავე დროს, სსრკ ნაკრებში განაგრძობს გამოსვლებს **ალექსანდრე ანპილოგოი**. 1985 წელს ამ ნაკრებმა დასავლეთ გერმანიის დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო.

რაგბი. 1985 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატის მესამე პრიზიორის ბედი მოსკოვში გადაწყდა. ქუთაისის "შშენებელმა" ბოლო ორი მატჩი მოსკოვის "ლოკომოტივთან" გამართა და ორივე შეხვედრა მოიგო ერთნაირი ანგარიშით 23:14. "ოქროს ოვალი" - ეს იყო საკავშირო ტურნირი 13-14 წლის მოზარდებისთვის. იმ წელს, მოსკოვიდან შინ ამ მთავარი პრიზით დაბრუნდა თბილისის განთლების სამმართველოს ნორჩ მორაგბეთა გუნდი.

ფრენბურთი. თბილისში გაიმართა საკავშირო ზონალური ტურნირი 1969-70 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. საქართველოს ნაკრები მე-2 ადგილზე გავიდა.

ბადმინტონი. სოცქვეყნების ნორჩ ბადმინტონისტთა საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა **დავით კავილაძემ**. შემდეგ, კავილაძემ ომსკელ **ანდრეი ანდროპოვთან** ერთად, რომელთანაც ერთეულთა წყვილში დამარცხდა ფინალში, წყვილთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი მოიპოვა.

მაგიდის ჩოგბურთი. ყრუთა საკავშირო პირველობაში საქართველოს ნაკრები მესამე იყო. პირად შეჯიბრებაში, **გულიარდ მამალაძემ,** ალმა-ათელ **ანა უსპანოვასთან** ერთად, ქალთა წყვილში ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩოგბურთი. ქართული საჩოგბურთი ტრადიციების განმტკიცებაგაღრმავების თვალსაზრისით, 1985 წლის სპორტული სეზონი შთამბეჭდავი გამოდგა. სხვადასხვა შეჯიბრებებში ბრწყინვალედ ასპარეზობს ქართული ჩოგბურთის უნიჭიერესი წარმომადგენელი **ლეილა მესხი.** ეჭვს არ იწვევდა, რომ ქართველი გოგონა თავის სიტყვას იტყოდა ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში (ლენინგრადი). ასეც მოხდა. ლეილა უძლიერესი იყო ერთეულთა თანრიგში, **ირინა გერაძესთან** ერთად გაიმარჯვა წყვილთა თანრიგში, ხოლო შერეულ წყვილში **ვლადიმერ გაბრიჩიძესთან** ერთად დაეუფლა ოქროს მედალს. წყვილთა თანრიგში საქართველოს ნაკრებიდან ვერცხლის მედალი ერგოთ ვლადიმერ გაბრიჩიძესა და **დავით კაჭარავას**. რაც შეეხება გუნდურ შედეგებს. როგორც გოგონები, ისე ჭაბუკები, ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. გოგონათა გუნდის შემადგენლობა: **ლეილა მესხი, ირინე გერაძე, ხათუნა ტრაპაიძე, ეკა ბოკუჩავა, ეკატერინე თოხაძე;** ჭაბუკთა გუნდი: **ვლადიმერ გაბრიჩიძე, ირაკლი მეტრეველი, გიორგი მირიანაშვილი, დავით კვარაცხელია, დავით კაჭარავა**. ამ უკანასკნელმა ევროპის ახალგაზრდა ჩოგბურთელთა პირველობაც მოიგო, პირველი იყო იუნიორთა თბილისურ საერთაშორისო ტურნირში , ერთეულთა და წყვილთა თანრიგში, უუგოროდელ **კროჩკოსთან** ერთად. შერეულ წყვილში კი ლეილა მესხთან ერთად მეორე ადგილზე გავიდა. გაბრიჩიძემ, ასევე ერთეულთა და წყვილთა თანრიგში (კოჩკოსთან), გაიმარჯვა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში (ტაშკენტი) და კალინინგრადელ **კონსტანტინ ვოლკოვთან** ერთად ვერცხლის მედალი ხვდა წილად საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. 16-წლამდელ ჩოგბურთელთა მსოფლიო პრიველობას იაპონიამ (კობე) უმასპინძლა. სსრკ ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა დავით კაჭარავა, მესამე ადგილზე გავიდა. ლეილა მესხმა ბრინჯაოს მედლით დაასრულა სსრკ ჩემპიონატი ერევანში. დიდი ინტერესი გამოიწვია საკავშირო ტურნირმა, რომელიც ბათუმში გაიმართა. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა **ირინე მალაციძემ** პირველი ადგილები დაიკავა ერთეულთა თანრიგში, წყვილში თავის დასთან, მარინესთან ერთად, და შერეულ წყვილში **გიორგი მირიანაშვილთან** ერთად. ვაჟებში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა ოსტატმა, ლეგენდარული **ალექსანდრე მეტრეველის** ვაჟმა **ირაკლი მეტრეველმა**. ის პირველი იყო ერთეულთა თანრიგში და ვაჟთა წყვილში. ჭაბუკთა საკავშირო ტურნირები გაიმართა აგრეთვე თბილისში, ლვოვში, ოდესასა და ერევანში. თბილისში ერთეულთა ფინალი მოიგო **რუსუდან მძინარიშვილმა,** მესამე იყო **ელენე ქელეხსაევა**. ლვოვში ოქროს ორი მედალი დაიმსახურა დავით კაჭარავამ (ერთეულთა თანრიგში და წყვილში ა. ჩერკასოვთან ერთად). ოდესაში პირველ ადგილზე გავიდა თბილისის 68-ე სკოლის მოსწავლე **ლევან გელაშვილი**. ერევანში პირველი იყო **ანატოლი ახალაძე,** მეორე **თეა მუჩაიძე,** მესამე **თამარ ბერიძე** (სამივე - ერთეულთა თანრიგში).

გაგრძელება იქნება

თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩატარდა

IRB-ის ერთა თასი

მაჩხანელიც გამოგვაკლდა

საქართველოს ნაკრებმა IRB-ის ერთა თასის გათამაშებისთვის მზადება დაიწყო. ბორჯღალოსნები ბუქარესტში გამგზავრებამდე, პარიზთან ახლოს, სარაგბო კლუბ "მასის" ბაზაზე შეიკრიბნენ. სამწუხაროდ, გუნდს ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთი მოთამაშე დააკლდება. გარემარბ **ირაკლი მაჩხანელის** ნაცვლად მწვრთნელებმა ნაკრებში კონსტანცას "ფარულში" მოთამაშე კვაჭს **ირაკლი ნატრიაშვილს** უხმეს.

ამასობაში შემადგენლობა დაასახელა ჩვენი გუნდის კიდევ ერთმა მეტოქემ, სამხრეთი აფრიკის A ნაკრებმა.

სამხრეთი აფრიკა A:

ბრედლი ბარიტი (ნატალ შარქსი, 22 წლის) **ნიკოლაი ბლიგნიო** (ნატალ შარქსი, 22), **სხალკ ბრიცი** (დას. კონცხი, 26), **ეშტონ კონსტანტი** (მპუმალანგა, 24), **ტონდერაი ჩავანგა** (დას. კონცხი, 24), **ლუის ლუდიკი** (ლაიონზი, 22), **სანგონი მსოლი** (ნატალ შარქსი, 22), **ჰოვარდ ნობლი** (ნატალ შარქსი, 22), **ოდვა ნდუნგანე** (ნატალ შარქსი, 26), **იაკო პრეტორიუსი** (ლაიონზი, 28), **იაბეზ სტენკამპი** (ბლუ ბულზი, 22), **როს სკიტი** (დას. კონცხი, 25), **ჰაინრიხ ადამსი** (ბლუ ბულზი, 27), **ედი ენდრიუზი** (ნარინჯი, 30), **ბევინ ფორჩუნი** (ნარინჯი, 28), **მაიერ ბოსმანი** (ნარინჯი, 22), **ერნსტ ჟუბერი** (ლაიონზი, 22), ჰილტონ **ლობერტსი** (ბლუ ბულზი, 21), **ბანდიზე მაკუ** (ბლუ ბულზი, 21), **ჯონათან მოკუენა** (ნარინჯი, 26), **იანო ფერმააკი** (ლაიონზი, 23), **მარიუს დელპორტი** (ბლუ ბულზი, 22), **ლუკას ფლოორსი** (ნარინჯი, 27), **პიტერ გრანტი** (დას. კონცხი, 23), **სოლომზი ჩიბილიკა** (ლაიონზი, 28), **ჰენდრიკ ფანდერმერვე** (ლაიონზი, 22); მწვრთნელი **პიტერ დე ვილიერსი**

ბესიკ ჯანგავაძე

მძლეოსნობა

შვიდნი ნაკრებში, სამი ზილბერშტეინია

შვიდეული ბელგრადისთვის ემზადება — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევროპის ახალგაზრდული სპორტული ფესტივალი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით ტარდება და ცალკეულ ქვეყნებში სპორტსმენთა მზადება-მონაწილეობას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები უზრუნველყოფენ. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ათლეტთა მზადება სეოკ-ისა და ფედერაციების მიერ შემუშავებული ერთობლივი გეგმით მიმდინარეობს.

გუშინ, თბილისში, ეროვნულ სტადიონზე მძლეოსანთა ნაკრები გუნდი წარუდგინეს მასმედიას.

- ბელგრადში 20-23 ივლისს ევროპის ახალგაზრდულ სპორტულ ფესტივალზე საქართველოდან 7 მძლეოსანი იასპარეზებს - 5 რბენებში და 2 ტყორცნებში. რბენებში გამოვლენ ტყუპი ძმები და ბიძაშვილები ახალციხიდან **ზილბერშტეინები** - ისინი სამნი არიან, აგრეთვე **გაიანე გალუსტიანი**, ბირთვის კვრაში - **გიორგი ბედოშვილი** და **სალომე რიგიშვილი** - ბადროს ტყორცნაში. **ვიკა დვალიშვილი** - სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომაში. - გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა **მაია აზარაშვილმა**.

ღია პირველობა ქუთაისში

ქუთაისის სპორტული ორგანიზაციების თაოსნობით ჩატარდა გამოჩენილი ქუთაისელი მძლეოსნების **იური კოზელსკის, ილია ჩირიკაშვილისა** და **რამაზ ქობულაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საქალაქო პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქუთაისის, ბათუმის, ვანის, ბორჯომის, გორის, გარდაბნის, ჭიათურისა და წყალტუბოს სპორტსმენები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 100 მ: **სოფიკო გაფრინდაშვილი** (გორი), **ბექა ჯიშკარიანი** (ქუთაისი); 200 მ: **სოფიკო გაფრინდაშვილი, ბესო ყელეტი** (ბათუმი); 400 მ: **ირინა ლოზოვაია** (გორი), **ნუგზარ ყორჟოლიანი** (ქუთაისი); 800 მ: **ირინა ლოზოვაია, თორნიკე კაპანაძე** (ქუთაისი); 1500 მ: **გიული დეკანოიძე** (ვანი), **გიორგი რუსიაშვილი** (გარდაბანი); 400 მ. თარჯრბენი - **ბექა ჯიშკარიანი**; ბირთვი - **თამარ გოგოლაძე** (ქუთაისი); სამხტომი: **ქრისტინე შალამბერიძე, ვახტანგ ჯინჭველაშვილი** (ორივე - ქუთაისი); სიგრძეზე ხტომა: **ნანა კაშია, ვახტანგ ჯინჭველაშვილი** (ორივე - ქუთაისი).

სპორტის დეპარტამენტში

ქალაქის მერი სპორტის დეპარტამენტში

გიგი უგულავა

დღეს, თბილისის მერი **გიგი უგულავა** სპორტის დეპარტამენტს ესტუმრება რამდენიმე ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად. ჩვენი ინფორმაციით, მიზეზი არასწორად პრივატიზებული სპორტული ობიექტებია, თუმცა კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ სპორტული სამყარო იმავე ბრალდებას საპასუხოდ შეაგებებს მერსო... ამასობაში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა თავად სპორტის დეპარტამენტის შენობასთან დაკავშირებით. მოარული ხმებით, ამ გიგანტური შენობის ერთი ნაწილის პრივატიზაციაც იგეგმება.

შეგახსენებთ, რომ პრივატიზაციაზე ლაპარაკი ამ რამდენიმე წლის წინათაც იყო, მაგრამ მაშინ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ იგი ისევ სპორტს დარჩებოდა. მაშინ ყველაზე მეტად მოჭიდავეებმა იყოჩაღეს და გადაწყვეტილი იყო იქ საჭიდაო ცენტრის შექმნა. მაშინდელი ინფორმაციით, რამდენიმე დარბაზი უნდა გაკეთებულიყო და ფედერაციასაც იქ უნდა გადაეცა-ცვლებინა. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ მაშინ პრივატიზაცია შეჩერდა და ყველაფერი ძველებურად დარჩა, ახლა კი, ეტყობა, ახალი ტალღა წამოვიდა. საერთოდაც, მაგ ტერიტორიაზე - ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სპორტული ობიექტები დიდი ხნის წინათ იქცა ხელისუფლებისა თუ ბიზნესმენთა დაინტერესების ობიექტად.

საერთოდ, ხელისუფლება ბოლო ხანებში აქტიურად დაინტერესდა სპორტით. რატომღაც ისე ჩანს, რომ ამ ყველაფერს სათავე ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებიდან დაედო. მაშინ, რამდენიმე დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმა, რომ სპორტის დეპარტამენტში კონტროლის პალატა შევიდა, ახლა უგულავას ვიზიტი...

და ბოლოს, ბოლნისის ამბებიც, სადაც ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს **გოდერძი ველიჯანაშვილსა** და ადგილობრივი გამგეობის ზოგიერთ თანამშრომელს ქალთა ძიუდოსთვის თანხების არამიზნობრივ ხარჯვას ედავებიან...

შეგახსენებთ, რომ ბოლნისის რაიონის გამგებელი გახლავთ საფეხბურთო კლუბ "სიონის" პრეზიდენტი **გიორგი არევაძე**. ამავე კლუბის საპატიო პრეზიდენტი კი პარლამენტარი **დავით კირკიტაძეა**...

ვნახოთ, რა გაირკვევა უგულავას ვიზიტის შემდეგ.

ირაკლი თავაძე

ოლიმპიურ კომიტეტში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის 2007 წლის 24 მაისის სხდომის

დადგენილება

პეკინის 2008 წლის XXIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის დევიზით "სპორტი და ოლიმპიზმი" ჩატარების შესახებ

სეოკ-ის აღმასკომის ბიურო აღდგენს

1. საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად 2007-2008 წწ. პერიოდში ჩატარდეს პეკინის 2008 წლის XXIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი დევიზით "სპორტი და ოლიმპიზმი" საქართველოს რეგიონალური გამოფენა-კონკურსი.

2. საქართველოს რეგიონალური გამოფენა-კონკურსის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. დამტკიცდეს საქართველოს რეგიონალური გამოფენა-კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ე. ზენაიშვილი (ხელმძღვანელი), რ. ხასია, ნ. ზაალიშვილი, პ. ნაცვლიშვილი, თ. გაჩეჩილაძე, დ. კინწურაშვილი, კ. ღლონტი.

საორგანიზაციო კომიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს გამოფენა-კონკურსის სათანადო დონეზე მომზადებისა და ჩატარების გეგმა.

4. ეთხოვოს საქართველოს მხატვართა კავშირს წარმოადგინოს ნევრები დასამტკიცებლად გამოფენა-კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში

სეოკ-ის აღმასკომი

პეკინის 2008 წლის XXIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის დევიზით "სპორტი და ოლიმპიზმი"

დებულება

1. საერთო დებულება

1. ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის დევიზით "სპორტი და ოლიმპიზმი" ტარდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ და ეძღვნება პეკინის 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს.

2. გამოფენა-კონკურსი ეწყობა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - რეგიონალური - ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დონეზე - 2008 წლის მარტამდე და მეორე ეტაპი - საერთაშორისო - 2008 წელს.

გამოფენა-კონკურსი ეწყობა ორ ნომინაციაში (გრაფიკა, ქანდაკება) და თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები - 30, 20 და 10 ათას დოლარი.

3. საერთაშორისო გამოფენა-კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები გამოიფინება ქ. პეკინში, შემდეგ კი განთავსდება საერთაშორისო ოლიმიურ მუზეუმში (ქ. ლოზანა, შვეიცარია).

2. მიზნები და ამოცანები

1. გამოფენა-კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა შორის სპორტისა და ოლიმპიზმის პროპაგანდას, მათ შემოქმედებაში პეკინის ოლიმპიური თამაშების ასახვას.

2. ქვეყანაში სპორტითა და ოლიმპიზმით დაინტერესებულ ხელოვანთა წარმოჩენა, მათი დაინტერესების სტიმულირება, ნამუშევართა პოპულარიზაცია და ჩაყენება საქართველოს სპორტის სამსახურში.

3. გრაფიკასა და ქანდაკებაში სპორტისა და ოლიმპიზმის კუთხით საუკეთესო ნამუშევრების შერჩევა და წარდგენა საერთაშორისო არენაზე.

3. ჩატარების დრო, ადგილი და მონაწილეები

1. საქართველოს რეგიონალური გამოფენა-კონკურსი მოეწყობა 2008 წლის მარტამდე.

- რეგიონალური გამოფენა კონკურსი გაიხსნება 2008 წლის 1 თებერვალს.

2. გამოფენა-კონკურსში მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია.

4. ჩატარების პირობები

1. რეგიონალური გამოფენა-კონკურსი ეწყობა ორ ნომინაციაში - გრაფიკა და ქანდაკება.

2. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს გამოფენა-კონკურსზე წარმოადგინოს 2-2 ნამუშევარი.

3. მონაწილეობის პირობები:

- გრაფიკა - ნამუშევრის ზომა 1,5X1,0 მ (ჩარჩოთი).

- ქანდაკება - შესრულება მყარ მასალაში, ზომა 1,5X1X1 მ, იმის გათვალისწინებით, რომ ქანდაკება და მრავალჯერადი ყუთი შეიძლება შეიფუთოს გასაგზავნად და მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს.

4. გამოფენა-კონკურსში მონაწილეობის მსურველი მონაწილეობის სურვილს აცნობს საორგანიზაციო კომიტეტს 2007 წლის 1 აგვისტომდე, ხოლო გამოფენის კატალოგის საჭიროებისთვის ნამუშევრის სურათს შესაბამისი განმარტებით წარმოადგენს 2007 წლის 1 დეკემბრისთვის.

5. გამარჯვებულთა დაჯილდოება

1. ეროვნული გამოფენა-კონკურსის თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

- პირველი პრემია - 1000 ლარი
- მეორე პრემია - 700 ლარი
- მესამე პრემია - 500 ლარი

გამარჯვებულებს გადაეცემათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

გამოფენა-კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატები.

2. რეგიონალურ გამოფენა-კონკურსში პირველ ადგილზე გამოვლენილი ნამუშევრები გაგზავნება საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე ნომინირებული ნამუშევრები გადადის სეოკ-ის საკუთრებაში და განთავსდება საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმში.

3. რეგიონალური გამოფენა-კონკურსის შედეგებს შეაჯამებს სეოკ-ისა და საქართველოს მხატვართა კავშირის ერთობლივი ჟიური.

სეოკ-ი, საქართველოს მხატვართა კავშირი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ბიუროს 2007 წლის 11 მარტის სხდომის

დადგენილება

პროფ. ა. ციბაძის სახელობის 2007 წლის კონკურსის ჩატარების შესახებ

სეოკ-ის აღმასკომის ბიურო აღდგენს:

1. 2007 წელს ჩატარდეს პროფ. ა. ციბაძის სახელობის კონკურსი ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, პუბლიცისტური ნაწარმოებების, ასევე სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის მიზნით.

2. კონკურსის ჩატარების წესები და პირობები დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. კონკურსის შედეგები შეჯამდეს 2007 წლის 15 დეკემბრისთვის. კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობა ეთხოვოს სეოკ-ის საინფორმაციო-საგამომცემლო და ოლიმპიური განათლების კომისიას (ბ-ნი ე. ბერიშვილი).

პროფ. ა. ციბაძის სახელობის 2007 წლის კონკურსის ჩატარების წესები და პირობები

1. ძირითადი ცნებები

1.1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ოლიმპიური ფონდის და საქართველოს ოლიმპიური აკადემიის მიერ პროფ. ა. ციბაძის სახ. 2007 წლის კონკურსი ეძღვნება ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილი საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, პუბლიცისტური ნაწარმოებების, აგრეთვე სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საკითხებს, რომლებიც გამოქვეყნებული იქნება 2007 წელს.

1.2. კონკურსი ეწყობა 2007 წლის 1 დეკემბრამდე, ჟიური შედეგებს შეაჯამებს 15 დეკემბრისთვის.

1.3. საკონკურსო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნას ავტორის ან ავტორთა კოლექტივის მიერ, შესაბამისი ორგანიზაციის რეკომენდაციით, სეოკ-ში (თბილისი 0102, დ. აღმაშენებლის გამზ. 65) 1 დეკემბრამდე (საფოსტო გზავნილით ან პირადი ჩაბარებით).

2. მონაწილეები

2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს. საკონკურსო მასალა წარმოდგენილ უნდა იქნას ერთ ეგზემპლარად, შესრულებული ქართულ ენაზე ბეჭდური წესით.

3. საკონკურსო ნომინაციები და ჩატარების პირობები

I ნომინაცია - "ოლიმპიზმი, ოლიმპიური მოძრაობა და ოლიმპიური იდეალები", ისტორია, აწმყო და მომავალი.

ერთი პრემია 600 ლარის ოდენობით.

II ნომინაცია - "ოლიმპიური მოძრაობა და საქართველო" (წარსული, აწმყო და მომავალი)

ერთი პრემია 500 ლარის ოდენობით.

III ნომინაცია - "ოლიმპიზმი და "სპორტი ყველასათვის" ურთიერთობის პერსპექტივები", (თანამედროვე მეთოდები და განათლების პერსპექტივები საქართველოში).

ერთი პრემია 400 ლარის ოდენობით.

IV ნომინაცია - "ახალმძღვანელოები სპორტსმენთათვის სპორტის ოლიმპიურ სახეობებში"

სამი პრემია 500 ლარის ოდენობით.

V ნომინაცია - სამეცნიერო, სამეცნიერო მეთოდური და პუბლიცისტური ნაშრომები ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის, სპორტის ცალკეული სახეობების სწავლებისა და დაინერგვისთვის, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისთვის და სხვა საკითხებზე.

სამი პრემია 300 ლარის ოდენობით.

4. კონკურსში გამარჯვებულებს ფულად პრემიასთან ერთად გადაეცემათ სეოკ-ის სიგელები, ხოლო მონაწილეებს - სერტიფიკატები.

სეოკ-ი, საქართველოს ოლიმპიური ფონდი



ჯინობილის საფირმო გარღვევა

NBA. ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ. 1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲡ!

ᲓᲐᲡᲙᲕᲚᲘᲗᲘ

ᲘᲣᲢᲐ (5)-Ს. ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ (3) 79:91

20:21, 22:29, 20:13, 17:28

იუტა: დ. უილიამსი (27 ქ. 10 პ. 3 მ. 3 ჩ), ბუზერი (18 ქ. 9 მ), ფიშერი (9 ქ. 4 ჩ), კირილენკო (9 ქ. 8 მ. 4 დ).

სან ანტონიო: ჯინობილი (22 ქ. 6 მ. 3 ჩ), დანკანი (19 ქ. 9 მ. 5 დ), ტ. პარკერი (17 ქ. 2 ჩ), ფინლი (13 ქ), ობერტო (11 ქ. 11 მ).

ᲡᲔᲠᲘᲐ: 1:3

ᲡᲝᲚᲢ ᲚᲔᲘᲙ ᲡᲘᲢᲘᲨᲘ "ᲡᲞᲣᲠᲡᲘ" ჯერ კიდევ **დევიდ რობინსონის** ეპოქიდან ყველაზე საძულველ გუნდად ითვლება. ამის მიზეზის პოვნა ჩვენს ამერიკელ კოლეგებს ახლაც უჭირთ, მაგრამ ფაქტია, რომ როგორც კი "ჯაზი" "სან ანტონიოს" ხვდება, "ენერჯი სოლუშენ არენა" ვულკანივით ამოსახეთქად ემზადება.

"სან ანტონიომ" წინა მატჩში დაისვენა, **გრეგ პოპოვიჩმა** კი, მეოთხე შეხვედრის წინ აღნიშნა, ჩემები ფლეი ოფში ზედიზედ ორ მატჩს ქალებივით არ თამაშობენ და სულ სხვა კალათბურთი იქნებაო.

"სან ანტონიომ" თავისი კალათბურთი ითამაშა და რაკიღა გაუვალი დაცვის დაყენება გრეგ პოპოვიჩს ყველაზე კარგად გამოსდის, საბოლოო შედეგის პროგნოზირება პირველი ნახევრის მერევე შეიძლებოდა.

მესამე მეოთხედში, მასპინძლებმა **დერონ უილიამსისა** და **კარლოს ბუზერის** აქტიურობით ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ თუ მანამდე **ტონი პარკერი, მაიკლ ფინლი** და **ტიმ დანკანი** აქტიურობდნენ, უკანასკნელი 12 წუთი "ჯაზისთვის" კოშმარად **მანუ ჯინობილიმ** აქცია.

არგენტინელი ყველაფერს მარტივად აკეთებდა - შესვლა, კონტაქტი მცველთან, სროლისთვის აწეული ხელი, ერთი წამოყვირება და მსაჯი მაშინვე ორი საჯარიმოთი აჯილდოვებდა სტუმართა მსროლელს.

ჯინობილიმ თავისი 22 ქულიდან 16 ბოლო მეოთხედში დააგროვა, 11 ქულა კი საჯარიმოს ხაზიდან აიღო. მანუმ **მეჰმეთ ოქური** გააგდო, **დერეკ ფიშერს** ზედიზედ ორი ტექნიკური მიაღებინა, ამის გამო გამწარებული **ჯერი სლოუნიც** ამდენივე ტექნიკურით ფიშერის გზას გაუყენა.

ვერ ვიტყვით, რომ მსაჯობა მიკერძოებული იყო, მაგრამ ფაქტია, რომ "სან ანტონიომ" "იუტაზე" გაცილებით ბევრი ჯარიმა ისროლა. სტუმრებმა 41 საჯარიმოდან 30 გამოიყენეს, მასპინძლებმა კი 20 იდენტური სროლა შეასრულეს და 14-ჯერ ივარგეს.

"იუტას" არ მისდიოდა სამიანები, თუმცა უფრო სწორი იქნება იმის აღნიშვნა, რომ სტუმრებმა არ მისცეს მასპინძლებს შორი ტყორცნების შესრულების საშუალება. მთელი მატჩის განმავლობაში "ჯაზმა" მხოლოდ 7 სამიანი ისროლა და 6 გააფუჭა, ხოლო სტუმრების ანგარიშზე კი 5 ზუსტი შორეული გასროლა იყო.

ნამატჩევს, პოპოვიჩმა კითხვაზე - სერიის 4:1 დასრულების მერე სუპერფინალამდე გუნდს როგორ მოამზადებო, მხრები აიჩეჩა - ჩემები მე-5 თამაშს აუცილებლად წააგებენ და დასასვენებელ დროს თავადვე გაინახევრებენო. მანვე დასძინა - დღეს თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, ეს პირველ რიგში **ფაბრიციო ობერტოაო.**

არგენტინელმა მართლაც მაგრად ითამაშა. "ფინიქსთან" სერიაში **ამარე სტაუდმაიერის** ფონზე დაკარგულმა ობერტომ, "იუტასთან" თავისი გამოცდილება მშვენივრად გამოიყენა და მეტოქის ფარზე 6 მოხსნა მოიმკო.

დანკანი შორს იყო იმ დომინანტისგან, რომელიც ფლეი ოფის პირველი მატჩიდან დაწყებული, სისხლს უშრობდა და უშანსოდ ტოვებდა თავის ნებისმიერ ოპონენტს, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს "სან ანტონიოა", ანუ გუნდი, რომელიც თუნდაც **კობი ბრაიანტის** კალიბრის მოთამაშეს არ გაახარებს.

"ჯაზის" ფანები კი ძალიან ულამაზოდ მოიქცნენ.

პირველ მეოთხედში ტიმ დანკანს თავში პოპკორნის პარკი მოხვდა.

მეორე მეოთხედში **ბრიუს ბოუენი ანდრეი კირილენკოზე** დაჯარიმდა, ხოლო როდესაც პოპოვიჩმა ის **რობერტ ორით** შეცვალა, ბრიუსს ზურგში "რედ ბულის" ბოთლი გაარტყეს.

კვლავ მეორე მეოთხედი - ტონი პარკერის წყობიდან გამოსაყვანად, ერთ-ერთმა გაუზრდელმა ფანმა გამოფინა პოსტერი, სადაც პარკერის საცოლე - **ევა ლონგორია** და "სან ანტონიოს" თითქმის ყველა მოთამაშე... შიშვლები დგანან.

მეოთხე მეოთხედი - გრეგ პოპოვიჩს ვიღაცამ დაუყვირა - ბარემ არგენტინული პასპორტი მიიღე, ცოლს გაშორდი და მანუზე იქორწინეო.

მატჩის შემდეგ, ბრიუს ბოუენმა შეხვედრის წამყვანს მიკროფონი სთხოვა და "ჯაზის" გულშემატკივრებს "კაცური" ქომაგობისთვის მადლობა გადაუხადა. ბოუენი ეგრევე სხვადასხვა საგნების წვიმაში მოხვდა და დაცვის თანხლებით იგი გვირაბში შეიყვანეს.

"მაგარი თამაში იყო. ფინალისთვის მზადებაზე საუბარი ჯერ ადრეა. იმედი მაქვს, კარიერას ჩემპიონის ბეჭდით დავასრულებ", - განაცხადა მაიკლ ფინლიმ. შეგახსენებთ, რომ ვეტერანი მსროლელი ამ ფლეი ოფით თავის შესანიშნავ კარიერას დაასრულებს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ საფრანგეთის ღია პირველობაზე მესამე ნომრად განთესილი ამერიკელი **ენდი როდიკი** გამოეთიშა, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა პირველ წრეში მონინავეთა შორის განთესილი ჩოგბურთელის დამარცხება სენსაციად არ შეიძლება ჩაითვალოს. სამაგიეროდ, მოულოდნელობა იყო ტურნირიდან ჩილელი **ფერნანდო გონსალესის** გავარდნა. მომდევნო ეტაპზე იოლად გავიდნენ მოწინავე განთესილები - მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და საფრანგეთის ღიას წინა ორი გათამაშების ჩემპიონი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**.

ერთი ძლიერი მოთამაშე ქალთა ბადესაც გამოეთიშა - რუსმა **ნადეჟდა პეტროვამ** წელის ტრავმის გამო შეწყვიტა ჩეხ **კვეტა პეშკესთან** თამაში და მერე განაცხადა, შეიძლება უიმბლდონზეც ვერ მიხილოთო.

ფედერერმა ამერიკელ **მაიკლ რასელს** სამ სეტში მოუგო. ეს ის ჩოგბურთელია, ვინც 2001 წლის როლან გაროსის მეოთხე წრეში დიდი პრობლემები შეუქმნა ტურნირის სამგზის ჩემპიონ ბრაზილიელ, **გუსტავო კუერტენს,** მაგრამ ამჯერად, შვეიცარიელ მაესტროს ჯეროვანი ვერაფერი დაუპირისპირა.

მათი შეხვედრა ორშაბათს დაიწყო, მაგრამ წვიმის გამო გუშინ დასრულდა. თამაში რომ განახლდა, ფედერერმა სწრაფად დაუსვა წერტილი მეორე სეტს, მესამე კი ერთადერთი ბრეიკის (მეხუთე გეიმში მოპოვებული) წყალობით მოიგო. მისი მომდევნო მეტოქე ფრანგი **ტიერი აშონეა**, ვინც სამ სეტში მოუგო ხორვატ **მარინ ჩილიჩს**.

პირველი წრე გაიარა ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმაც**, რომელმაც სამ სეტში მოუგო ბელარუს **მაქს მირნის**. ჰიუიტს, ვინც საფრანგეთის ღიამდე ზედიზედ ორი სათიხნარო ტურნირის ნახევარფინალში ითამაშა, მომდევნო მეტოქედ არგენტინელი **გასტონ გაუდიო** ეყოლება, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში დაჯაბნა ფრანგი **მარკ გიშელი**.

ტურნირს გამოეთიშა მისი ერთადერთი ბრიტანელი მონაწილე **ტიმ ჰენმანი**, რომელსაც საკმაოდ იოლად მოუგო ლატვიელმა **ერნესტს გულბისმა**, ვინც კარიერაში პირველად ითამაშა სასლემო ტურნირზე.

გონსალესი, ვინც ბევრისთვის მოულოდნელად, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ითამაშა, ჩეხ **რადეკ სტეპანეკთან** სამ სეტში დამარცხდა. ჩილელმა თავისი კლასი ვერაფრით გამოავლინა. მან ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მეტოქეს მაშინღა გაუწია, როცა სტეპანეკმა მესამე სეტის მეცხრე გეიმში სამი მატჩ პოინტი გაანიავა. თუმცა, მან მომდევნო გეიმში თავისი შანსი მაინც გამოიყენა. მოკლედ, გონსალესისთვის საფრანგეთის ღიაზე საუკეთესო მიღწევად კვლავაც 2003 წლის ტურნირის მეოთხედფინალში თამაში რჩება.

დაბოლოს ნადალის შესახებ. მას პირველივე წრეში ფორტუნამ ყოფილი სპარინგ-პარტნიორი, არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პორტო** შეახვედრა. შეხვედრის დასაწყისში ვერ იტყოდით, რომ კორტის ერთ მხარეს მსოფლიოს მეორე ჩოგანი იდგა, მეორეზე კი რეიტინგის 59-ე საფეხურზე მყოფი ჩოგბურთელი. უფრო მეტიც, საწყისი სეტის მერვე გეიმში დელ პორტომ ბრეიკი მოიპოვა, მომდევნოში კი სეტზე აწოდებდა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ნერვიულობა დაეწყო, რამაც ცუდი სამსახური გაუწია. და ნადალმა ბრეიკითვე უპასუხა. ცოტაც და ესპანელმა კიდევ ერთხელ შეძლო მეტოქის სერვისის აღება და თითქმის საათიანი წვალების შემდეგ, სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

პირველი სეტის წაგებამ არგენტინელს ნერვები უფრო აუშალა, ნადალმა კი სისხლი იგრძნო თუ არა, კიდევ უფრო აგრესიულად ათამაშდა. შედეგად, მომდევნო გეიმის პირველი ოთხი გეიმი იოლად მოიგო. ამის შემდეგ, მან თავს მოდუნების საშუალება მისცა, რაც კარგად გამოიყენა დელ პორტომ და ერთი ბრეიკი კიდევ მოიპოვა, თუმცა ესპანელმა იქვე კიდევ ერთხელ მოიგო მისი მოწოდება და სეტსაც წერტილი დაუსვა.

ნადალს პრობლემები აღარც მესამე სეტში შექმნია. მეოთხე გეიმში მან ბრეიკი აიღო, მეექვსეში კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის სერვისი და შეხვედრაც გამარჯვებით დაასრულა.

ნადალის მომდევნო მეტოქე იქნება იტალიელ **ფლავიო ჩიპოლასა** და **თეიმურაზ გაბაშვილს** შორის გამარჯვებული. მათი შეხვედრა გუშინ დაიწყო, იტალიელმა ორი სეტიც მოიგო (7:6 (6), 6:3), მაგრამ დაუღამდათ რის გამოც თამაშს დღეს დაასრულებენ.

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

როჯერ ფედერერი (შვეი, 1)-მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:2, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 7)**-არნო კლემანი (საფრ) 6:1, 7:5, 7:6(2); **ტომი რობრედო (ესპ, 9)**-სერჯო როიტმანი (არგ) 6:3, 6:4, 6:2; **რიშარ გასკე (საფრ, 11)**-ნიკოლა მაიუ (საფრ) 6:3, 6:2, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 13)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) ჰერნიხმა არ ითამაშა; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 18)**-ფაბრის სანტორო (საფრ) 6:7(5), 6:0, 6:3, 6:3; **გილერმო კანიასი (არგ, 19)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 6:1, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტ, 27)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:4, 7:5, 6:4; **ფილიპო ვოლანდრი (იტა, 29)**-პოლ კაპდევილი(ჩილე) 6:3, 7:5, 6:3; **კარლოს ბერლოში (არგ)**-ჟულიან ბენეტიუ (საფრ, 30) 6:7(5), 7:5, 6:2, 6:3; **მარტინ ვასალო არგელო (არგ)**-ალეხანდრო ფალა (კოლუ) 6:3, 6:3, 6:7(3), 7:6(4); **ვერნერ ეშაუერი (ავსტ)**-ალექსანდრ სიდორენკო (საფრ) 6:3, 3:6, 6:3, 5:4 სიდორენკო გამოეთიშა; **კრისტოფ ვლიგენი (ბელ)**-დანაი უდომჩოკე (ტაი) 6:2, 6:4, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი (ეკვა)**-ალექსანდერ პეია (ავსტ) 6:1, 6:4, 2:1, პეია გამოეთიშა; **კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბ)**-კრის გუჩონე (ავსტრა) 6:7(6), 6:4, 6:4, 6:1; **მატიე მონკური (საფრ)**-ბენიამინ ბეკერი (გერ) 6:3, 6:1, 6:3; **ტიერი აშონე (საფრ)**-მარინ ჩილიჩი (ხორვ) 6:2, 6:2, 6:1; **სიმონე ბოლელი (იტა)**-მარტინ ფერკერკი (ჰოლ) 6:1, 6:4, 6:4; **შტეფან კუბეკი (ავსტ)**-კრისტოფ როხუსი (ბელგ) 6:7(7), 7:6(1), 6:4, 1:2 როხუსი გაოეთიშა; **ხუან მონაკო (არგ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 3:6, 2:6, 6:1, 6:2, 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეი)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 0:6, 5:7, 6:2, 7:5, 6:4; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 32)**-ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4, 6:4, 6:4; **ალბერტ მონტანესი (ესპ)**-რობინ სოდერლინგი (შვე, 25) 7:6(4), 4:1, სოდერლინგი გამოეთიშა; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 15)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ) 6:2, 6:1, 3:6, 3:2, 6:3; **მიშელ ლოდრა (საფრ)**-ნიკოლა დევილდერი (საფრ) 6:4, 6:3, 6:3; **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფრ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:1, 4:1 დანიელი გამოეთიშა; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21)**-ალესიო დი მაურო (იტა) 6:3, 6:4, 3:6, 6:3; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 16)**-სებასტიან გროჟანი (საფრ) 6:3, 6:2, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 17)**-ამერ დელიჩი (აშშ) 6:7(2), 6:3, 6:3, 6:4; **ოლივიე პატიენსი (საფრ)**-ჯონათან ეისერიკი (საფრ) 6:1, 3:6, 6:2, 6:4; **გაელ მონფილსი (საფრ)**-ოლივიე როხუსი (ბელგ) 4:6, 6:4, 6:2, 3:6, 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 14)**-მაქს მირნი (ბელ) 6:3, 6:1, 6:3; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-ჯერომ ჰენელი (საფრ) 4:6, 6:2, 6:2, 6:0; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 28)**-ლუკაშ დლუში (ჩეხ) 6:2, 3:6, 7:5, 4:6, 9:8; **იარკო ნიემინენი (ფინ, 20)**-ფელიციანო ლოპესი (ესპ) 6:2, 6:4, 7:6(2); **იგორ ანდრეევი (რუს)**-ენდი როდიკი (აშშ, 3) 3:6, 6:4, 6:2, 6:4; **ივან ნავარო პასტორი (ესპ)**-ბორის პაშანსკი (სერბ) 7:6(1), 6:4, 6:4; **კრისტიან პლესი (დან)**-იენ-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 6:2, 7:6(1); **ერნესტს გულბისი (ლატ)**-ტიმ ჰენმანი (ბრიტ) 6:4, 6:3, 6:2; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 5) 6:2, 6:2, 6:4; **პოლ-ანრი მატიე (საფრ)**-ფლორიან მაიერი (გერ, 31), 6:3, 6:4, 6:2; **ბოჰდან ულირახი (ჩეხ)**-დომინიკ ჰრბატი (სლვკ, 24) 2:6, 7:5, 7:6(3), 4:6, 3:4; **იან ჰაიეკი (ჩეხ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 7:5, 76(3), 7:6(3); **ნიკოლას მასუ (ჩილე)**-ლუის ორნა (პერუ) 6:4, 7:5, 3:6, 6:7(1), 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ხუან მარტინ დელ პორტო (არგ) 7:5, 6:3, 6:2; **მარიანო საბალეტა (არგ)**-აგუსტინ კალერი (არგ, 26), 6:4, 6:7(5), 7:6(5), 7:5; **გასტონ გაუდიო (არგ)**-მარკ გიშელი (საფრ) 3:6, 6:3, 3:6, 6:4, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 8) 4:6, 6:4, 7:5, 7:5; **ხუან პაბლო ბრუეიეკი (არგ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:1, 3:6, 6:2, 6:1; **ფლორან სერა (საფრ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:3, 6:0, 6:2; **ლორან რეკუდერი (საფრ)**-სემ ქვერი (აშშ) 7:6(4), 2:6, 6:0, 6:7(5), 6:3; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-პეტერ ლუბიკი (ავსტრალ) 6:7(4), 5:7, 6:3, 6:3, 6:1; **ჟილ სიმონი (საფრ)**-ვინს სპადეა (აშშ) 2:6, 6:4, 6:4, 6:3

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ელენა იანკოვიჩი (სერბ, 4)-სტეფანი ფორეეი (საფრ) 6:2, 6:2; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 6)**-ემანუელე გალიარდი (იტა) 6:4, 6:3; **კვეტა პეშკე (ჩეხ)**-ნადია პეტროვა (რუს, 11) 7:5, 5:7, 6:0; **ელენა დემენტიევა (რუს, 13)**-ანგლიკ კერბერი (გერ) 6:3, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფრ, 18)**-არავანე რეზაი (საფრ) 6:2, 6:4; **სიბილ ბამერი (ავსტ, 20)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:4, 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 23)**-ივონე მოისბურგერი (ავსტ) 6:2, 6:4; **მარა სანტანჯელო (იტა, 28)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:1, 6:4; **პაულინ პარმენტიე (საფრ)**-მარია კორიცევა (უკრ) 6:4, 3:6, 7:5; **ტიმეა ბაჩინსკი (შვეი)**-ძი ჭენი (ჩინ) 7:6(3), 6:0; **ტამარინ ტანასუგარნი (ტაი)**-კეისი დელაკვა (ავსტრა) 6:3, 4:6, 6:4; **შენაი პერი (აშშ)**-ოლივა სანჩესი (საფრ) 3:6, 6:4, 6:3; **ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-ანა სმაშნოვა (ისრ) 6:2, 7:5; **ოლგა სავჩუკი (უკრ)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 7:5, 7:5; **მარია კირილენკო (რუს)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:3, 6:0; **სტეფანი კოენ ალორო (საფრ)**-ანასტასია იაკიმოვა (ბელა) 7:6(3), 6:1; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-ვანია კინგი (აშშ) 7:6(5), 4:6, 6:3; **ციპორა ობზილერი (ისრ)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:3, 6:4; **მილაგროს სეკერა (ვენ)**-ვირჟინი რასანო (საფრ) 5:7, 6:3, 9:7; **მათილდ იოჰანსონი (საფრ)**-ანა-ლენა გრიონეფელდი (გერ) 7:5, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-იარმილა გაიდოშოვა (სლვკ) 4:6, 6:3, 6:3;

კატალინა კასტანო (კოლუ)-ემა ლაინე (ფინ) 1:6, 7:5, 6:4

გონსალესი გარეთ დარჩა



ფორმულა 1. ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან

გაკვეთილებს არ ვიძლევი

ჩემპიონი აცხადებს, რომ თანაგუნდელი ჰემილტონი მას მაქსიმალური დისკომფორტის შექმნას დაპირდა

მონაკოს გრან-პრის ტრიუმფატორმა - ესპანელმა ფერნანდო ალონსომ, რბოლის შემდეგ ინტერვიუ მისცა ესპანურ გაზეთ AS-ს. მასში სოფლიო ჩემპიონი ხაზს უსვამს იმას, რომ კარიერაში ასეთი იოლი გამარჯვება არ ჰქონია. მისი თქმით, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რბოლის ბოლოს, მას პუბლიკაზე თამაშის საშუალებაც მიეცა.

- მონაკოში გამარჯვება ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. გვერდიდან ისე ჩანდა, რომ მთელი დისტანციის განმავლობაში, ეჭვი არავის შეპარვია ეტაპის საბოლოო შედეგში...

- ეჭვი ყოველთვის არსებობს. საბედნიეროდ, ქულებს სტაბილურად ვაგროვებთ. ჯერჯერობით, ასეთი შესაძლებლობა არსებობს. თავიდან, ყველა პილოტი თანაბარ სიტუაციაში იმყოფება, მაგრამ მე სხვებზე მეტად გამიმართლა, რადგან ხუთი ეტაპიდან ორის მოგება შევძელი, თანაც ოთხჯერ პოდიუმზე ავედი. ამ გამარჯვებას ძალიან ვაფასებ.

მაგრამ ამასთან ერთად, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ არცერთხელ ჩემს კარიერაში, მესამე ადგილზე გასული პილოტისთვის ნუთზე მეტი არ მომიგია. ამით ძალიან დიდი კმაყოფილება მივიღე. რბოლის ბოლოს, პუბლიკის გასართობადაც კი მოვიცალე.

- გამოდის, რომ თქვენს პარტნიორ ლუის ჰემილტონს, გამოცდილი მრბოლელის ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარეთ?

- გაკვეთილებს არავის ვუტარებ (იცინის). მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ. ზოგიერთ რბოლაში საქმე უკეთ წავიდა, ზოგშიც - არა. მაგალითად, ბაჰრეინში არც ისე წარმატებული გამოსვლა მქონდა. ესპანეთში, შესაძლოა ზედმეტად არ უნდა შემეტია მასასთვის. ამის გამო, მანქანას ბოლო მოვუღე. მაგრამ, უილბლობა დაუსრულებლად არ გრძელდება. ამჯერად ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა.

- მონტე კარლოში ნარუმატებლად გამოვიდნენ რაიკონენი და მასა...

- მათ რისკზე წასვლა მოუწიათ. სხვათა შორის, გარკვეულ მომენტებში მეც ვღელავდი - ერთ პატარა შეცდომას, შეიძლება ყველაფერი გაეფუჭებინა. მასა სტარტზე ჩემს უკან იდგა და მე მისგან მეტ წინააღმდეგობას ველოდი, რადგან პრაქტიკულად, თანაბარ პირობებში ვიმყოფებოდით. მაგრამ, ის ჩამოგვრჩა.

- ვარაუდობდით, რომ თქვენს პარტნიორთან მოგიწევდათ ბრძოლა?

- ჰემილტონი დამპირდა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში მაქსიმალურ დისკომფორტს შემიქმნის. ვნახოთ. თუმცა, ჩვენთვის მთავარი - კონსტრუქტორთა თასზე გამარჯვებაა. რა თქმა უნდა, ტიტულის შენარჩუნებაც მინდა, მაგრამ ერთმა შეცდომამ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. იმედი მაქვს, ჩემი მხრიდან ამას ადგილი არ ექნება.

- მონაკოში შესრულებული დუბლით, "მაკლარენმა" მორალური დარტყმა მიაყენა მთავარ კონკურენტს - "ფერარის". შეძლებთ ჩემპიონატის ბოლომდე ამ ფორმის შენარჩუნებას?

- გადამწყვეტი მომენტი უკვე დადგა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩემი და ჩემი მანქანის პოტენციალი, მხოლოდ სეზონის მეორე ნაწილში გამოჩნდებოდა, თან ამაში გუნდიც უნდა დამხმარებოდა. დადებითი დინამიკა იმაში მდგომარეობს, რომ პირველი ხუთი რბოლის დროს, ჩვენ ძალიან სტაბილურები ვიყავით და თეორიულად, მეექვსე და მეშვიდე ეტაპების მოგებაც შეგვიძლია.

მე, უბრალოდ შედეგებზე დაყრდნობით ვმსჯელობ. პირველ ხუთ ეტაპზე 38 ქულის მოპოვება შევძელი. თუ მომდევნო ხუთ რბოლაშიც იგივე შედეგს ვაჩვენებ, ჩემპიონატს მოვიგებ. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, ათი ეტაპის შემდეგ, სწორედ 76 ქულა მქონდა. იმედი მაქვს, ახლაც ასე იქნება.

- შემდეგი გრან-პრი ამერიკაში გაიმართება. "ფერარი" ფავორიტად არის მიჩნეული. ალბათ, ამ მოსაზრებას არ ეთანხმებით...

- მოდით, დაველოდოთ ამ რბოლას. წლეულს, ჩვენ და "ფერარი" დაახლოებით თანაბარ პირობებში ვიმყოფებით. ინდიანაპოლისში რთული ბრძოლა იქნება, მაგრამ მჯერა, რომ კვლავ შევძლებთ ფავორიტთა შორის შესვლას.

ფორმულა 1. მოსალოდნელი სკანდალი

მაკლარენი დაისჯება?

ბრიტანულმა საჯინიბომ სპორტული კოდექსი დაარღვია

სანამ, **ფერნანდო ალონსო** მონაკოში მოპოვებული გამარჯვებით ტკბება, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA), შესაძლოა სანქციები გამოიტანოს "მაკლარენის" წინააღმდეგ. FIA გამოიძიებს მონაკოს გრან-პრის დროს მომხდარ ინციდენტს. საქმე ეხება რბოლის მიმდინარეობისას "მაკლარენის" შეფების მითითებას **ლუის ჰემილტონის** მისამართით, რომლის მიხედვითაც, ბრიტანელ პილოტს სიჩქარე უნდა დაეგდო და ფერნანდო ალონსოს წინააღმდეგ შეტევა უნდა შეეწყვიტა.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მონტე კარლოს ეტაპის დროს, ჰემილტონმა ლიდერ ალონსოსთან ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, თანაც, ბრიტანელი ყოველ წრეზე, მოქმედ მსოფლიო ჩემპიონზე უკეთეს დროს აჩვენებდა.

მაგრამ, მოულოდნელად ბრიტანელის ტემპი ნელ-ნელა დაეცა და ფინიშზე, პირველ და მეორე ადგილს შორის სხვაობამ - 4 წამი შეადგინა. ამის მიზეზი შეიძლება მანქანასთან დაკავშირებული პრობლემები ყოფილიყო, მაგრამ რბოლის შემდეგ გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ყველაფერი "მაკლარენის" ბოსების მითითებით მოხდა.

ეს ეჭვი ეტაპის შემდეგ, ჰემილტონის დაუფიქრებელმა განცხადებამ გამოიწვია. ბრიტანელის თქმით, მან გუნდისგან ტემპის დაგდების მითითება მიიღო და მას ხელი არ უნდა შეეშალა ალონსოსთვის.

თუ მართლა ყველაფერი ასე მოხდა, მაშინ გამოდის, რომ "მაკლარენმა" საერთაშორისო სპორტული კოდექსი დაარღვია, რომლის მიხედვითაც, გუნდს არ შეუძლია თავისი მითითებებით გავლენა იქონიოს რბოლაში ადგილების გადანაწილებაზე. ეს წესი 2002 წლიდან მოქმედებს და ის მას შემდეგ შემოიღეს, რაც ავსტრიის გრან-პრიზე, "ფერარის" ბოსების მითითებით, **რუბენს ბარიკელომ** თანაგუნდელი **მიხაელ შუმახერი** გაატარა და მას პირველი ადგილი დაუთმო.

თუმცა, ჰემილტონის სიტყვებს არ ადასტურებს "მაკლარენის შეფი - **რონ დენისი**: *"ასეთ მითითებებს არ ვიძლევით. ჩვენთან ყველაფერი რბოლის წინ იგეგმება და პილოტები შემუშავებულ სტრატეგიას მიჰყვებიან. არ დავმალავ, რომ პირველი პიტსტოპის შემდეგ, პილოტებს ვთხოვე უფრო წყნარად ევლოთ, რათა მოსალოდნელი გართულებები აგვეცილებინა თავიდან".*

FIA ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს, თუ რა სანქციები შეიძლება დაეკისროს "მაკლარენს" ბრალის დამტკიცების შემთხვევაში. შეგახსენებთ, რომ ხუთი ეტაპის შემდეგ, კონსტრუქტორთა თასზე ეს გუნდი უკვე 20 ქულით უსწრებს "ფერარის".



ჰემილტონს (უკან) პირველობისთვის ბრძოლის შანსი ჰქონდა

30 მაისი. ოთხშაბათი

HTB-კლასი (უსაბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
16:55 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.
17:55 კოპა ამერიკას წინ.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 პირდაპირი ხაზი.
20:20 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
21:50 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:05 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
00:35 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:35 ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის გოლები.

SPORT 1 (უკრაინა)

07:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-კიევი.
09:20 სპორტინფორმი.
09:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:30 სპორტინფორმი.
10:40 ფეხბურთი. ინგლისის თასი. ფინალი. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
17:02 მშვილდოსნობა. მსოფიო თასი.
17:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
19:02 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. I მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა.
21:30 სპორტინფორმი.
21:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. ესპანიოლი-სევილია. გლაზგო. შოტლანდია.
00:55 სპორტინფორმი.
01:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი.
03:45 კრივი.
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა (LIVE).
06:35 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის მიმოხილვა.

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVI ეტაპი.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. III დღე.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:45 აფროსნობა.
22:50 მულტისპორტი.
22:55 ცხენოსნობა. სუპერლიგა. იტალია.
23:55 ცხენოსნობა. ჟოკეების კლუბი.
00:00 მულტისპორტი.
00:05 გოლფი. ევროპის ტური. BMW-ის ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
00:35 გოლფი-კლუბი.
00:40 აფროსნობა.
00:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
01:45 ბრძოლა წესების გარეშე.
02:45 მულტისპორტი.
04:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი.
13:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XVII ეტაპი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
19:30 მულტისპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:15 ექსტრემალური სპორტი.
22:45 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი. იაპონური ლიგა.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

შვედეთი

II დივიზიონი

სანდსვალი-ლანდსკრონა	2:0

ირლანდია

ბრეი-დუბლინი	2:1
დერი-უოტერფორდი	1:1
ლონგფორდი-გალვეი	0:3
სლიგო-დროგედა	0:2
შემროკი-კორკი	2:0

ინგლანდია

ფრამი-პაუნარი	0:2

პოლონეთის ლიგის თასი

ლეჩნა-ლეგნა	2:2
ვისლა-ლუხი	3:2

კალათბურთი

ესპანეთი

ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

ხერონა-გრან კანარია	93:76

ქრივი

ტაისონი იბრაჰიმოვის სეკუნდანტი იქნება

როგორც ცნობილია, არიზონის შტატ მარიკოპის ოლქის სასამართლოში ცნობილი მოკრივის - **მაიკ ტაისონის** პროცესი მიმდინარეობს. მორიგი სხდომა 9 ივნისისთვის არის დანიშნული.

მანამდე კი, მოსამართლეებმა ნარკოტიკების მიღება-შენახვაში ეჭვმიტანილ მოკრივეს არიზონასა და კალიფორნიის შტატების საზღვრებს გარეთ გადაადგილების უფლება მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ "რკინის მაიკი" მომავალ კვირას, ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ატლანტიკ-სიტიში ჩავა და თავისი მეგობრის - **სულთან იბრაჰიმოვის** ბრძოლას დაესწრება. ამ უკანასკნელმა 2 ივნისს უნდა დაიცვას WBO-ს ვერსიით საჩემპიონო ტიტული **შენონ ბრიგზთან** ორთაბრძოლაში.

როგორც იბრაჰიმოვის შტაბიდან იტყობინებიან, ტაისონი რუს მოკრივეს ბრძოლის დროს სეკუნდანტობას გაუწევს.

ოლიმპიზმი

ნორვეგია ოლიმპიადისთვის იბრძოლებს

ნორვეგიის სპორტის კონფედერაციამ 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა განიზრახა და კანდიდატიც შეარჩია - ეს არის ქალაქი ტრომსიო, რომელსაც "შორეული ჩრდილოეთის პარიზს" უწოდებენ.

ნოლისყრის პირველ წრეში, ამ პატარა ქალაქმა ტრონჰეიმი გამოთიშა ბრძოლას, შემდეგ კი, კონფედერაციის პრეზიდენტის - **ოდ როარ ტორდსენის** ორმაგი ხმის წყალობით, 7:6 დაამარცხა ქვეყნის დედაქალაქი - ოსლო.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲝᲑᲘ ᲬᲐᲡᲕᲚᲘᲗ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ

"ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡ ᲚᲔᲘᲙᲔᲠᲡᲘᲡ" ლიდერი - **კობი ბრაიანტი** უკმაყოფილოა გუნდის ამჟამინდელი პოლიტიკით. როგორც ESPN იტყობინება, ბრაიანტს სურს, "ლეიკერსის" გენერალური მენეჯერის პოსტზე **ჯერი უესტი** იხილოს. წინაალმდეგ შემთხვევაში, კალათბურთელი ხელმძღვანელებს სხვა გუნდში გაცვლას მოსთხოვს.

გარდა ამისა, ბრაიანტის უკმაყოფილება სატრანსფერო ბაზარზე კლუბის შეფუების პასიურმა პოზიციამაც გამოიწვია. კობის სურს, "ლეიკერსთან" ერთად ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, მაგრამ მისი აზრით, მენეჯერები არაფერს აკეთებენ გუნდის გასაძლიერებლად.

დღეისთვის, "ლეიკერსის" გენერალური მენეჯერი **მიტჩ კუპჩაკი** გახლავთ. რაც შეეხება უესტს, ბოლო ხუთი წელიწადი მან "მემფისში" იმუშავა და ამ კლუბთან მის კონტრაქტს 1 ივლისს გასდის ვადა.

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ ᲞᲐᲞᲐᲚᲣᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲐ

ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვის ცსკა-ს ბერძენ გამთამაშებელს - **ტეო პაპალუკასს** "მაიამი ჰიტი" ეპატიჟება. NBA-ის ჯერაც მოქმედი ჩემპიონი, წლევანდელი ევროლიგის საუკეთესო მოთამაშეს ორწლიან და 10-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობს.

ამ ცნობას ამერიკული პრესა გამოეხმაურა და ფლორიდულმა გაზეთმა "სან სენტინელმა", პაპალუკასის სავარაუდო ტრანსფერზე "ჰიტის" ერთ-ერთი წარმომადგენლის კომენტარი დაბეჭდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ "მაიამის" არანაირი წინადადებით არ მიუმართავს 30 წლის ბერძენისთვის.

აღსანიშნავია, რომ "მაიამის" შემადგენლობაში არცერთი ლეგიონერი არ ირიცხება. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მეორე ასეთი კლუბი - "ნიუ იორკ ნიქსი" გახლავთ.

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲡ ᲚᲐᲠᲘ ᲰᲘᲣᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ

ᲐᲚᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ კონფერენციის ფინალურ სერიაში, "კლივლენდ კავალიერზს" შესაძლოა, სასტარტო ხუთეულის წევრი - **ლარი ჰიუზი** გამოაკლდეს.

ამ კალათბურთელმა სერიის მესამე მატჩში ფეხი გადაიბრუნა და ამის გამო, კლუბის ბოლო ვარჯიშებში მონაწილეობა არ მიუღია.

ჰიუზსს გუშინ უნდა გაევლო დაწვრილებითი სამედიცინო შემოწმება, რომლის შემდეგაც გაირკვეოდა, თუ რამდენი ხანი ვერ შეძლებს ეს მცველი მოედანზე გასვლას.

28 წლის ჰიუზმა ამ ფლეი ოფში 13 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14 ქულას, 4.6 მოხსნასა და 2.8 შედეგიან პასს აგროვებდა.

შეგახსენებთ, რომ სამი მატჩის შემდეგ, სერიას "დეტროიტ პისტონზი" იგებს - 2:1.

ᲞᲝᲠᲢᲘ

ᲛᲔᲚᲝᲜᲘ ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲡ ᲣᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ სეზონიდან, "ფინიქს კოიოტზს" ახალი გენერალური მენეჯერი ეყოლება. ამ პოსტს 48 წლის **დონ მელონი** დაიკავებს, რომელიც ბოლო 9 წელიწადი, "ნიუ იორკ რეინჯერსის" გენერალური მენეჯერის ასისტენტის ფუნქციებს ასრულებდა.

"რეინჯერსის" ყოფილმა ჰოკეისტმა აქტიური კარიერა 1991 წელს დაასრულა. სულ, მან რეგულარულ ჩემპიონატში 765 მატჩი ჩაატარა და 564 ქულა (214 გოლი+350 შედეგიანი პასი) დააგროვა.

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲛᲐ ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲘ ᲓᲐᲘᲭᲝᲕᲐ

"ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲔᲜᲡᲘᲡ" კონტრაქტი გაახანგრძლივა რუს მცველ **ანდრეი მარკოვთან**.

ახალი შეთანხმების თანახმად, 28 წლის ჰოკეისტი კანადურ კლუბში კიდევ ოთხ სეზონს ჩაატარებს და ამ დროის განმავლობაში 23 მილიონ დოლარს მიიღებს.

მარკოვი ექვსი წელიწადი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თამაშობს. მის ანგარიშზე 441 მატჩი და 207 ქულა (46 გოლი+161 პასი) გახლავთ.

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲨᲣᲛᲐᲮᲔᲠᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ

"ᲤᲔᲠᲐᲠᲘᲡ" შეფი - **ჟან ტოდტი** გამოეხმაურა ბოლო დროს გავრცელებულ ჭორებს, თითქოს იტალიური კონცერნის სპორტული განყოფილების შეფად მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი - **მიხაელ შუმახერი** ინიშნება.

"მიხაელს ყველანაირი თვისება და უნარი აქვს იმისთვის, რომ სპორტულ განყოფილებას ჩაუდგეს სათავეში. ეს ვარიანტი იდეალურად მეჩვენება. მაგრამ, სამწუხაროდ, შუმახერს ეს თანამდებობა არ აინტერესებს. მან იცის, რომ Gestione Sportiva-ს სათავეში ყოფნა, ოფისში ყოველდღიურად 10-12 საათის გატარებას ნიშნავს. მას კი, ასეთი პერსპექტივა ნამდვილად არ ხიბლავს", - ამბობს ჟან ტოდტი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი ავტოდრომის - Texas Motor Speedway-ის მფლობელმა **ედი გოსაჯმა,** ფორმულა 1-ის გენერალურ პრომოუტერს - **ბერნი ეკლსტოუნს** წინადადებით მიმართა. ამერიკელი ფუნქციონერი ფორმულას შეფობას, ღამის რბოლის ჩატარებაში დახმარების გაწევას სთავაზობს.

სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში გოსაჯი აცხადებს, რომ მან ეკლსტოუნს IRL-ის სერიის ღამის რბოლაზე დასწრება შესთავაზა, რომელიც ტექსასურ ოვალზე 9 ივნისს, ფორმულა 1-ის კანადური ეტაპის წინა დღეს გაიმართება. მსგავსი რბოლები ტექსასში 1997 წლიდან ტარდება.

გოსაჯს, რა თქმა უნდა, ესმის, რომ ბეტონისსაფარიან ოვალზე ფორმულას მანქანების გაშვება, მით უმეტეს ღამით, ნაკლებად არის შესაძლებელი, მაგრამ ის მზადაა გამოცდილება გაუზიაროს ფორმულას მეპატრონეს და თავის თავზე აიღოს ამერიკის სხვა რომელიმე ავტოდრომზე ღამის რბოლის გამართვის საორგანიზაციო საკითხები.

ექსტოუნს ამ შემოთავაზებაზე რეაგირება ჯერ არ გაუკეთებია.

მოენი გამარჯვების გოლს ზეიმობს

NHL. ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲘᲮᲕᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ-ᲝᲢᲐᲕᲐ 3:2

1:1, 0:1, 2:0

გოლები: 0:1 ფიშერი-4 (მეზაროში-5, კომრი-4), 1:1 ე. მაკდონალდი-6 (სელიანე-8), 1:2 რედენი-3 (ალფრედსონი-8, სპეცა-14), 2:2 გეტცლაფი-6 (პერი-6, ჯეკმენი-1), 3:2 მოენი-5 (რ. ნიდერმაიერი-4, ს. ნიდერმაიერი-7).

ᲡᲔᲠᲘᲐ 1:0

ᲒᲣᲨᲘᲜ დილით, ანაჰაიმში სტენლის თასის ფინალური სერია დაიწყო. ადგილობრივმა "დაქსმა" აღმოსავლეთი კონფერენციის გამარჯვებულ "ოტავას" უმასპინძლა.

ის ფაქტი, რომ სწორედ ეს გუნდები გავიდნენ სტენლის თასის ფინალში, მოულოდნელი არ ყოფილა. "ანაჰაიმმა" რეგულარული სეზონი დამაჯერებლად განვლო და ჩემპიონატის მოგებამდე სულ ცოტა დააკლდა. **რიკ კარლაილის** გუნდი ფლეი ოფშიც კარგად გამოიყურებოდა, თუმცა, კონფერენციის ფინალში მას "დეტროიტთან" წაგებას უწინასწარმეტყველებდნენ. აქ გადამწყვეტი სიტყვა "იხვების" მეკარემ - **ჟან-სებასტიან ჟიგერმა** თქვა, რომელიც ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშის პრიზის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია.

რაც შეეხება "ოტავას", მან ფლეი ოფში ყველაზე ცოტა - სამი მატჩი წააგო. ერთნაირი ანგარიშით - 4:1, ზედიზედ მოუგო "პიტსბურგს", "ნიუ ჯერსისა" და "ბაფალოს", არადა, სწორედ ამ უკანასკნელს მიიჩნევდნენ აღმოსავლეთიდან მთავარ ფავორიტად.

ფინალური სერიის ერთ-ერთ მთავარ ინტრიგად მეკარეების დაპირისპირებას მიიჩნევდნენ. თუ ჟიგერს სტენლის თასის ფინალში თამაშის გამოცდილება აქვს, ოტაველი **რეი ემერისთვის** ეს მხოლოდ მეორე ფლეი ოფი გახლავთ. ასე რომ, ამ მხრივ მცირე უპირატესობა "ანაჰაიმის" მხარესაა.

იგივე ითქმის დაცვის ხაზზეც, სადაც "ანაჰაიმს" **კრის პრონგერის, სკოტ ნიდერმაიერისა** და **ფრანსუა ბოშემენის** სახით უმაღლესი დონის შემსრულებლები ჰყავს. თუმცა, "ოტავას" რიგებში თამაშობენ **კრის ფილიპსი, უეიდ რედენი** და **ანტონ ვოლჩენკოვი**, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ნებისმიერი მეტოქის შეჩერება შეუძლიათ. სხვათა შორის, რუსი ვოლჩენკოვი, ფლეი ოფის ლიდერია ბლოკირებული დარტყმების რაოდენობით - 61.

შეტევაში კი, სერიოზული უპირატესობა "ოტავას" აქვს. ამ გუნდის მთავარი კოზირია **დენი ჰიტლის, ჯეისონ სპეცასა** და **დანიელ ალფრედსონის** სამეული, რომელმაც ფლეი ოფის 15 მატჩში, ჯამში 58 (!) ქულა დააგროვა. "ანაჰაიმში" კი, წლევანდელ სტენლის თასზე კლუბის საუკეთესო ბომბარდირი ამპლუით მცველი - კრის პრონგერი გახლავთ.

თუმცა, რიკ კარლაილს წამყვანი ოტაველი ფორვარდების გასანეიტრალებლად კარგი იარაღი აქვს. ესენი არიან **სამუელ პალსონი, ტრევის მოენი** და **რობ ნიდერმაიერი**. წინა მატჩებში, ამ ფორვარდებმა დაამტკიცეს, რომ კარგად ეხერხებათ მეტოქეთა შეტევების ჩაშლა.

მოკლედ, ასეთი იყო ძალთა წინასამატჩო თანაფარდობა. პირველ შეხვედრაში, "ანაჰაიმმა" ყველა თავისი კოზირი კარგად გაითამაშა.

პირველ პერიოდში, მასპინძლებმა "სენატორებს" მხოლოდ სამჯერ დაარტყმევინეს კარში, მაგრამ ეს 20-წუთიანი ფრედ - 1:1 დასრულდა.

მეორე პერიოდში, მეტოქეებმა თანაბარი რაოდენობით დარტყმები შეასრულეს. თამაშის ამ მონაკვეთის გმირი რეი ემერი გახდა, რომელმაც "იხვების" ათივე დარტყმა მოიგერია, "ოტავამ" კი, მეორედ შეხვედრაში, რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა - რედენმა თითქმის ცისფერი ხაზიდან უზუსტესი პასით, მეორედ გაიყვანა წინ სტუმართა გუნდი.

"სენატორებს" მეორე პერიოდში სოლიდური უპირატესობის მოპოვება შეეძლოთ. პერიოდის ბოლოს, მათ თითქმის ორი წუთი, ორი მოთამაშით მეტი ჰყავდათ მოედანზე, მაგრამ ეს უდიდესი უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

ასე თუ ისე, ბოლო პერიოდის წინ, სტუმრები ერთი შაიბით იყვნენ წინ.

მესამე პერიოდი კი, თითქმის ცალკარა თამაში წავიდა. მართალია, "ოტავამ" ბოლო 20 წუთში შვიდი ზუსტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ ჟიგერის კართან რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე პრაქტიკულად, არ მისულა. "ანაჰაიმი" კი, შეტევაში კარგად მოქმედებდა და პერიოდის მეექვსე წუთზე **რაიან გეტცლაფის** მიერ გატანილი გოლი, სრულიად კანონზომიერი გახლდათ - 2:2.

მასპინძლებს არც ამის შემდეგ დაუგდიათ ტემპი. მათ ყოველგვარი სიფრთხილე უკუაგდეს და ზედიზედ უტევდნენ ემერის კარს. ამ ყველაფერმა შედეგი მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გამოიღო. უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ტრევის მოენმა გამარჯვების შაიბა გაიტანა და სერიაში "ანაჰაიმი" დააწინაურა.

ქულის გარეშე დატოვა მოედანი ფლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირმა - **დენი ჰიტლიმ**. მასპინძლებმა შეძლეს მთავარი ამოცანის შესრულება და პრაქტიკულად, გასაქანი არ მისცეს "სენატორთა" წამყვან ფორვარდებს.

სამაგიეროდ, ერთი საგოლე პასი გააკეთა "ანაჰაიმის" ვეტერანმა ფორვარდმა - **ტეემუ სელიანემ**, რომელიც NHL-ში 14-ნლიანი კარიერის განმავლობაში, პირველად თამაშობს სტენლის თასის ფინალში. მატჩის წინ, "დაქსის" ჰოკეისტებმა ემოციური განცხადებები გააკეთეს - ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ 36 წლის სელიანემ სტენლის თასი მოიგოსო. სხვათა შორის, ფინელი რეგულარულ ჩემპიონატში კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო - 48 გოლი და 94 ქულა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲐᲢᲐ ᲗᲝᲗᲝᲐᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲭᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲩᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ
ᲒᲝᲩᲐ ᲤᲠᲘᲓ ᲚᲔᲜᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲔᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲛᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲟᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲐᲠᲘᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲛᲐᲜᲐᲜ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲔᲚᲔᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲖᲠᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
(დირექტორის მოადგილე),
ᲒᲘᲕᲘ ᲕᲔᲨᲐᲐᲫᲔ,
ᲫᲘᲗᲘᲕᲔᲜᲐ ᲓᲘᲓᲑᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲫᲐᲠ ᲑᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ᲚᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲛᲝ ᲛᲐᲮᲐᲢᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲡᲘᲚᲐᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-დან)

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ: **ᲨᲡᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲚᲔᲚᲝ, ᲨᲡᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲛᲔᲓᲘᲐ**

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛ�პᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗᲘ
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

ᲒᲐᲛᲝᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ